# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 21 ნოემბერი 2001 №223 (1496) | ფასი 50 თეთრი


# ბარსელონამ ლივერპულს ბურთი და ენა წაართვა


REUTERS

„ლივერპული" — „ბარსელონა" 1:3. ირჟი დუდეკი მესამედ მარკ ოვერმარსმა წააქცია

გუშინ „ენფილდ როუდზე" საოცარი ამბები მოხდა.

უმთავრესით დავიწყოთ.

ბურთი, ეს უსულო საგანი, მგრძნობიარე და ბუტია რომ იყო, აქამდე თუ იცოდით? ჰოდა, დღეიდან შეგიძლიათ, თამამად თქვათ: ბურთი სულიერი არსებაა. საქმე ისაა, რომ გუშინ, ჩემპიონთა ლიგის მეორე ჯგუფური ეტაპის პირველ მატჩში „ლივერპული" „ბარსელონას" მასპინძლობდა. დიდებული მატჩი იყო, რომ იტყვიან, უმაღლესი დონის ფეხბურთი. მთავარი ფიგურა კი მაინც ბურთი გახლდათ, მეორე ტაიმის დაწყებიდან დაახლოებით 15 წუთის შემდეგ ლივერპულელებს რომ შემოსწყრა და არა და არ გაეკარა ინგლისელთა თავფეხს, მხოლოდ ბარსელონელებს „დაუმეგობრდა", მათ ბრძანებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდა.

კიდევ ერთი საოცრება ის იყო, რომ ამის შემყურე 41 521 ინგლისელს ენა ჩაუვარდა, „ენფილდი" დამუნჯდა, დადუმებული „ენფილდი" კი კარგა ხანია, ალარავის ახსოვს. ინგლისელთათვის ეს არ იყო მხოლოდ მარცხი. მარცხიც საკმაოდ უნახავთ. ეს იყო უსიტყვო კაპიტულაცია.

ბურთ და ხმადაკარგული ინგლისელების ხილვის მერე კი უბრალო ამბად ჩანს იმის თქმა, ჩემპიონთა ლიგაში აქამდე დაუმარცხებელი „ლივერპული" მაიკლ ოუენის გოლით დაწინაურდა, მაგრამ მერე პატრიკ კლუივერტმა, ფაბიო როჩენბაკმა და მარკ ოვერმარსმა ინგლისელთა ჩეხ მეკარე ირჟი დუდეკს სამჯერ გამოატანინეს ბურთი კარიდანო. ასეთები ხომ მომხდარა და მოხდება.

იხილეთ მეორე გვერდი

# ასანიძე & იბერკომპანი: გაუწიეთ კამპანი!

## მადლი ჰქენი, სპორტში ჩადე, მთელ ქვეყანას წინ დახვდება

პირველად იყო საქართველოს 2000 წლის საუკეთესო სპორტსმენობა და 300-ლარიანი სტიპენდია.

ამას ევროპის ჩემპიონობა, 1000-დოლარიანი საკრედიტო ბარათი და ავტომანქანის ბენზინით მომარაგება მოჰყვა.

ბოლოს კი მსოფლიოს ჩემპიონობა და...

ნავთობკომპანია „იბერკომპანი-ჰოლდინგს" ძალოსან გიორგი ასანიძის არცერთი წარმატება არ დაუტოვებია უყურადღებოდ. ამ თანადგომა-თანამშრომლობის ყველაზე ხმაურიანმა ნოტამ გუშინ გაიჟღერა, როცა კომპანიამ თავისსავე ოფისში სახელოვან სპორტსმენს ავტომანქანა BMW გადასცა საჩუქრად.

იხილეთ მეთოთხმეტე გვერდი






„იბერკომპანის" ნაჩუქარ BMW-ს ბედი ჰქონია: მის საჭეს მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი ასანიძე მიუჯდება

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## მეორე ჯგუფური ეტაპი. პირველი ტური. გუშინ

### A ჯგუფი

#### ბაიერნი 1:1 მანჩესტერი

0:1 ვან ნისტელროი (74), 1:1 სერჯიო (87)
ბაიერნი: კანი, სანიოლი, კუფური, რ. კოვაჩი, ლიზარაზუ, სალიჰამიჯიჩი, ჰარგრივსი, ეფენბერგი (სფორცა 67), სერჯიო, ელბერი (იანკერი 67), პიზარო
მწვრთნელი: ოტმარ ჰიცფელდი
მანჩესტერი: ბართეზი, გ. ნევილი, ბრაუნი, ბლანი, ირვინი (სილვესტრი 46), ბექჰემი, ვერონი, კინი, ფორჩუნი, სქოულზი, ვან ნისტელროი (იორკი 83)
მწვრთნელი: ალექს ფერგიუსონი
გაფრთხილება: ბრაუნი, ბლანი, სერჯიო
მსაჯი: ანდერს ფრისკი (შვედეთი)
59 000 მაყურებელი

#### ბოავიშტა 1:0 ნანტი

1:0 სანჩესი (24)
ბოავიშტა: რიკარდუ, რუი ოსკარი (მარტელინიუ 19), ფრეშაუ, ერივენი, პაულუ ტურა, მარიუ, სანჩესი, ბოსინგვა (პედრუ სანტუში 58), ალეშანდრე (ჟორჟე სილვა 63), დუდა, ელპიდიუ სილვა
მწვრთნელი: ჟაიმე პაშეკუ
ნანტი: ლანდრო, ლასპალი, ფაბრი, ჟოლე, არმანი, და როშა, ბერსონი, ოლემბე (ზიანი 77), დელომო, აპამადა (ვაირუა 67), ანდრე (ვ. დალმა 67)
მწვრთნელი: რეინალდ დენიო
გაფრთხილება: ბერსონი, ლასპალი, ზიანი, სანჩესი, და როშა
მსაჯი: იან ვეგერეეფი (ჰოლანდია)
21 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოავიშტა | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| მანჩესტერი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ბაიერნი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნანტი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |

### B ჯგუფი

#### ლივერპული 1:3 ბარსელონა

1:0 ოუენი (27), 1:1 კლუივერტი (41), 1:2 როჩემბაკი (65), 1:3 ოვერმარსი (84)
ლივერპული: დუდეკი, კარაგერი, ჰიიპია, ანრი, რიისე, შმიცერი (ლიტმანენი 79), ჯერარდი, მაკალისტერი (ბერგერი 69), მერფი, ოუენი, ჰესკი (ფაულერი 66)
მწვრთნელი: ფილ ტომპსონი (თანაშემწე)
ბარსელონა: ბონანო, ფ. დე ბური, პ. ანდერსონი, კოკო, კრისტენვალი, ხავი, კოკუ, გაბრი (როჩემბაკი 57), ლუის ენრიკე (ოვერმარსი 17), რივალდო, კლუივერტი (რაიციგერი 88)
მწვრთნელი: კარლოს რექსაჩი
გაფრთხილება: ლუის ენრიკე, გაბრი, დე ბური
მსაჯი: ჰელმუტ კრუგი (გერმანია)
41 521 მაყურებელი

#### გალათასარაი 1:1 რომა

1:0 პერესი (22), 1:1 ემერსონი (90)
გალათასარაი: მონდრაგონი, ბიულენთ ქორქმაზი, ემრე ასიქი, კაპონე, ბიულენთ აკინი (ფლურკინი 46), ჰაქან უნსალი, სერგენი, პერესი, აიჰანი, ჰასან საში, უმით კარანი (არიფი 88)
მწვრთნელი: მირჩა ლუჩესკუ
რომა: ანტონიოლი, კაფუ, ალდაირი, ძებინა (ფუზერი 81), სამუელი, ლიმა (ასუნსაო 74), კანდელა, ემერსონი, ტომაზი (კასანო 46), ტოტი, ბატისტუტა
მწვრთნელი: ფაბიო კაპელო
გაფრთხილება: ემრე ასიქი
მსაჯი: კლოდ კოლომბო (საფრანგეთი)
22 000 მაყურებელი

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბარსელონა | 1 | 1 | 0 | 0 | 3:1 | 3 |
| რომა | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| გალათასარაი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ლივერპული | 1 | 0 | 0 | 1 | 1:3 | 0 |






ლივერპული — ბარსელონა. ირჟი დუდეკს პატრიკ კლუივერტმა, რივალდომ და მათმა თანაგუნდელებმა თავში ხელი სამჯერ შემოარტყმევინეს



პორტუ — ნანტი. მასპინძელთა კაპიტანი ედვინ სანჩესი ფრანგულ შლაგბაუმთან გაჩერდა



ბაიერნი — მანჩესტერი. რუუდ ვან ნისტელროიმ კანსაც გადაუგდო და „ბაიერნსაც" შეუგდო

## ინგლისი

### I დივიზიონი

#### გადადებული მატჩები

ნორვიჩი 2:2 ძრიუ
უიმბლდონი 2:2 უოლსოლი
პრესტონი 1:1 ბრედფორდი

### II დივიზიონი. XIX ტური

ბლეკპული 0:0 ნოტსი
ბორნმუთი 0:0 პორტ ვეილი
ბერი 2:2 ბრისტოლი
კემბრიჯი 0:2 რეძვეში
კარდიფი 1:1 კოლჩესტერი
ჰადერსფილდი 1:1 ბრენტფორდი
რედინგი 4:1 ტრანმერი
უიგანი 1:1 ჩესტერფილდი
უიკომბი 2:1 ნორთჰემპტონი

### III დივიზიონი. XIX ტური

დარლინგტონი 1:0 როჩდეილი
როვერსი 0:1 მენსფილდი
კარლაილი 0:1 შრიუსბერი
ჩელტენემი 4:1 მაკლსფილდი
ლეიტონი 3:0 ოქსფორდი
ლინკოლნი 0:1 კიდერმინსტერი
ლუტონი 0:1 ჰალი
რაშდენი 0:0 სკანთორპი
საუთენდი 0:1 პლიმუთი
ტორკი 0:2 ექსეტერი
იორკი 0:2 სუონსი
ჰარტლპული 3:0 ჰალიფაქსი

## გერმანია

### ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

#### გადადებული მატჩი

ფორტუნა 0:2 მაგდებურგი

## ჰოლანდია

### II დივიზიონი

#### გადადებული მატჩები

ემენი 0:0 ზვოლე
დენ ჰააგი 1:1 ტელსტარი

## პოლონეთი

### თასის მეოთხედფინალი

#### I მატჩი

ლეგია 2:4 რუხი

1:0 სვიტლიცა (15), 1:1 ბიჟაცკი (18), 1:2 ჯიძია (30), 2:2 ჩერეშევსკი (53), 2:3 ბიჟაცკი (63), 2:4 შრუტვა (70)

## უეფას თასი. მერვედფინალი

UEFA CUP

### პირველი მატჩები. გუშინ

ჰაპოელი (თელ ავივი, ისრაელი) 2:1 ლოკომოტივი (რუსეთი)
1:0 ოსტერცი (42), 1:1 იზმაილოვი (56), 2:1 ა. დომბი (89)
ლოკომოტივი: ნიგმატულინი, ლეკხეტო, იგნაშევიჩი, იზმაილოვი, მამინოვი, ობიორა, ლოსკოვი, ჩერევჩენკო, სენნიკოვი, ობრადოვიჩი, პიმენოვი (სარქისიანი 83)
ზაზა ჯანაშია განაცხადში ვერ მოხვდა
მწვრთნელი: იური სიომინი
გაძევება: ჩერევჩენკო (90)
14 000 მაყურებელი
ბორდო (საფრანგეთი) 1:0 როდა (ჰოლანდია)
1:0 პაულუ მირანდა (49)



გალათასარაი — რომა. გაბრიელ ბატისტუტამ თურქებში „საყრდენი მცველი" გამოძებნა



ბაიერნი — მანჩესტერი. კარსტენ იანკერს ბურთიც დაეცა და ლორან ბლანიც

# ჩემპიონთა ლიგა II ჯგუფური ეტაპი. I ტური: დღეს

## C ჯგუფი

### პანათინაიკოსი — პორტუ

**სავარაუდო შემადგენლობები**

ნიკოპოლიდისი, ჰენრიკსენი, სეიტარიდისი, პაულუ სოუზა, ფისასი, მიკაელსენი, ვოკოლოსი, კონსტანტინუ, ბასინასი, ოლისადებე, კარაგუნისი

სანტუში, იბარა, მარიუ სილვა, ანდრადე, კარვალიუ, კოშტინია, პარედესი, დეკო სოუზა, კლეიტონი, ნუნუ კაპუშუ, პენა

ათენი. „სპიროს ლუისი". მსაჯი: გრემ პოლი (ინგლისი)

### სპარტა — რეალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ჩეხი, ფლახბარტი, ჰუბშმანი, ირჟი ნოვოტნი, ლაბანტი, სიონკო, ჰაშეკი, იაროშიკი, მიხალიკი, ჰარტიგი, კინცლი

კასილიასი, სალგადო, რობერტო კარლოსი, იერო, პავონი, ელგერა, მაკელელე, ფიგუ, ზიდანი, რაული, მორიენტესი

პრაღა. „ლეტნა". მსაჯი: სტეფანო ბრასკი (იტალია)

## რეალისტი პრაღელები და მორიდებული მადრიდელები

**მადრიდის „რეალი"** „სპარტაზე" გაცილებით მაღალი დონის კლუბია, მაგრამ ესპანეთის ჩემპიონი ჩეხურ გუნდს სათანადოდ აფასებს და მასთან გასვლით მატჩში იოლ გასეირნებას არ ელის. ეს ჩვენი ვარაუდი არ არის, ივან ელგერაც ადასტურებს — პრაღაში ორი დღით ადრე იმიტომ ჩამოვედით, რომ მეტოქის შესაძლებლობებზე წარმოდგენა შევიქმნათ და რაიმე ლაფსუსებისგან თავი დავიზღვიოთ — განაცხადა ევროპის წლის საუკეთესო ფეხბურთელის ნომინანტთა შორის მოხვედრილმა ესპანელმა.

„სპარტასადმი" მორიდებულობა „რეალის" სპორტულ დირექტორ ემილიო ბუტრაგენიოსაც ეტყობა: „ჩეხებს ძალიან კარგი გუნდი ჰყავთ. ისიც ცხადია, რომ ჩვენს წინააღმდეგ გაათმაგებული ენერგიით ითამაშებენ. „რეალთან" ყველა თავის გამოჩენას ცდილობს".

ისიც ვთქვათ, როგორ ითამაშეს „რეალმა" და „სპარტამ" თავიანთი ჩემპიონატების ბოლო ტურში. ესპანეთის ჩემპიონმა 2:1 მოიგო, ხოლო ჩეხეთისამ 11 მატჩში პირველი მარცხი იწვნია — 1:2 წააგო.

„სპარტას", ალბათ, ორი მოთამაშე დააკლდება — მცველი ზდენეკ გრიგერა და თავდამსხმელი ლუკას ჰარტიგი. ამის მიუხედავად, ჩეხთა თავკაცს, იაროსლავ ჰრებიკს ცოტაოდენი ოპტიმიზმი შერჩენია და აცხადებს: „რეალურად ძალიან მცირე შანსია იმისა, რომ მოვიგებთ, თუმცა მის გამოყენებას მაინც შევეცდებით. მაჩვენეთ გუნდი, თუგინდ „რეალი", რომელსაც ნებისმიერ მეტოქესთან მოგება ან წაგება განაღდებული აქვს".

„სამეფო კლუბის" მწვრთნელი ვისენტე დელ ბოსკე კი ფეხბურთის დაუწერელ კანონს არ ღალატობს. მას დღესაც ის ფეხბურთელები გაჰყავს მინდორზე, რომლებმაც „სევილიას" მოუგეს. ფერნანდო მორიენტესი ნელნელა იბრუნებს ფორმას და სასტარტო შემადგენლობაში ადგილს. იგი თავდასხმაში რაულს დაეხმარება.



REUTERS

პრაღის აეროპორტში ყველაზე მეტი ხალხი რეალელთაგან ზინედინ ზიდანს შემოეხვია

„სპარტა" და „რეალი" სულ 4-ჯერ შეხვედრიან ერთმანეთს. 1967-68 წლების სეზონში „სამეფო კლუბმა" 3:0 მოიგო, ხოლო პრაღელებმა 2:1. 1983-84 წლებში „სპარტამ" 3:2 გაიმარჯვა, მეორე მატჩი კი 1:1 დასრულდა.

პრაღიდან ათენში გადავინაცვლოთ, სადაც „პანათინაიკოსი" „პორტუს" მასპინძლობს. ბერძენთა უპირველეს მეგოლე ემანუელ ოლისადებეზე თქვეს, ხელმძღვანელობასთან კონფლიქტის გამო დღეს არ ითამაშებსო. გაპოლონელებულ ნიგერიელს არც საბერძნეთის ჩემპიონატის წინა ტურში უთამაშია. თუმც თავად ოლისადებე ტელევიზიით გამოვიდა და თქვა, მწვრთნელთან ან სხვა ხელმძღვანელთან უთანხმოება არ მომსვლია, თავს ბედნიერად ვგრძნობ და არც კლუბიდან წასვლას ვაპირებო. მოკლედ, მის თავს გვარიანად ჩახლართული ამბავია.

„პანათინაიკოსს" ტრავმების მოშუშების შემდეგ ანგელოს ბასინასი და ფორვარდი ნიკოს ლიბეროპულოსი დაუბრუნდნენ.

„პორტუს" მხოლოდ ერთი ფეხბურთელი, ჟორჟე კოშტა აკლია, ისიც იმის გამო, რომ მწვრთნელისთვის ბოდიშის მოხდას არ კადრულობს. სხვა ყველა ჯანზეა და არც დისკვალიფიცირებულია ვინმე.

**ნიკა შუბლაძე**

## D ჯგუფი

### დეპორტივო — არსენალი

**სავარაუდო შემადგენლობები**

მოლინა, ექტორი, დონატო, ნაიბეტი, რომერო, ვიქტორი, სერხიო, მაურო სილვა, ვალერონი, ტრისტანი, მაკაი

რ. რაიტი, დიქსონი, კიოუნი, გრიმანდი, პარლოუ, ვიეირა, ლიუნგბერგი, პირესი, ვან ბრონკჰორსტი, ანრი, კანუ

ლა კორუნია. „ესტადიო რიასორი". მსაჯი: ტერიე ჰაუგე (ნორვეგია)

### იუვენტუსი — ლევერკუზენი

**სავარაუდო შემადგენლობები**

ბუფონი, ტურამი, ტუდორი, იულიანო, ძამბროტა, ტაკინარდი, დავიდსი, პესოტო, ნედვედი, დელ პიერო, ტრეზეგე

ბუტი, სებესკენი, ლუსიო, იენს ნოვოტნი, პლასენტე, რამელო, ზე რობერტო, ბაშთურქი, ბალაკი, კირსტენი, ნოივილი

ტურინი. „დელე ალპი". მსაჯი: ურს მაიერი (შვეიცარია)

## ვენგერი ანრის გარისკავს

**უბრალო** კითხვა დავსვათ: ვინ არის დიეგო ტრისტანი? „დეპორტივოს" მცოდნე უპასუხებს, რომ დიეგო ტრისტანი ის კაცია, ვისაც ჩემპიონთა ლიგის პირველ ჯგუფურ ეტაპზე სამი გოლი გაუტანია, ხოლო პრიმერადივიზიონში — შვიდი. იქ საუკეთესო ბომბარდირიცაა და თუ „დეპორტივო" ორივე ფრონტზე ასე კარგად თამაშობს, სწორედ მისი დამსახურებაა. მაგრამ „დეპორტივოს" მცოდნე იმასაც იტყვის, რომ ტრისტანის არყოფნით არაფერი იცვლება და წინა შაბათს მის ნაცვლად მოთამაშე როი მაკაიმ „რეალ-სოსიედადს" ჰეთ თრიქი შეუხრულა.

ამ საკითხზე თავად ტრისტანი ამბობს: „დეპორტივო" ის გუნდია, სადაც ყურადღების ოღნავი მოდუნება ძირითად შემადგენლობაში ადგილს დაგაკარგვინებს. აი, მე საუკეთესო მეგოლე ვარ, მაგრამ ჩემს არყოფნაში მაკაის გააქვს ბურთები. მაკაი არ იქნება? მაშინ ვალტერ პანდიანი გავა და იგივეს გააკეთებს. ამიტომაც ვამბობ, რომ თამაშებს მე კი არა, გუნდი იგებს".

დღეს „დეპორტივო" ლონდონურ „არსენალს" მასპინძლობს და ტრისტანი შეგვიძლია დავამშვიდოთ — როი მაკაი მისი კონკურენტი არ იქნება, რაკი ხავიერ ირურეტა ჰოლანდიელს მარჯვენა ფლანგზე გაამწესებს, მას კი — ცენტრფორვარდად.

ზემოთ ნახსენებ შაბათის მატჩში მწვრთნელმა ხუან კარლოს ვალერონი, დონატო და ნურედინ ნაიბეტი დაასვენა და დღეს ათამაშებს. ვალერონის სასტარტო შემადგენლობაში ყოფნა კი ჯალმინიას სათადარიგოთა სკამზე დასმას ნიშნავს.

და ისევ დიეგო ტრისტანი: „ვფიქრობ, „არსენალთან" მატჩი გადამწყვეტი იქნება, რაკი მას უმთავრეს კონკურენტად ვთვლი. თუ გავიმარჯვეთ, მეოთხედფინალში გასვლა ფაქტობრივად განაღდებული გვექნება".

ჯგუფიდან გასვლაზე ლაპარაკი, ალბათ, ნაადრევია, თუმცა, მეორე მხრივ, ესპანელებს ინგლისელთა დამარცხების კარგი შანსი აქვთ და აი, რატომ:

დაშავებულია ტიერი ანრი და თუმც ორშაბათს სრული დატვირთვით ივარჯიშა, არსენ ვენგერი ამბობს, ოდენ ოცი პროცენტით არის მზადო. მიუხედავად ამისა, ფრანგი მწვრთნელი თანამემამულე თავდამსხმელის სასტარტო შემადგენლობაში შეყვანას, ალბათ, გარისკავს.

დენის ბერხკამპს, მოგეხსენებათ, ფრენის ეშინია და ლა კორუნიაში ამიტომ ვერ ჩავიდა, ხოლო ფრენსის ჯეფერსი კოჭის ტკივილმა დატოვა ლონდონში. მუხლი სტკივა სილვენ ვილტორდს, რომელსაც ფრედერიკ ლიუნგბერგი შეცვლის, თუმცა ისინი ერთი ამპლუის მოთამაშეები არ არიან. ამასთანავე, არც ლიუნგბერგია ჯანზე, რაკი მხრის ტრავმა სულ ახლახან მოიშუშა.

ჯგუფის მეორე მატჩი ტურინში, „დელე ალპიზე" გაიმართება. ვთქვათ და, „იუვენტუსი" დამარცხდა, ამ შემთხვევაში მარჩელო ლიპი თავს გახშირებული ტრავმებით ვერ გაიმართლებს, ყველა ფეხბურთელი ჯანმრთელად ჰყავს. მათ შორის არიან ლილიან ტურამი და იგორ ტუდორი, რომლებმაც კვირას „პარმასთან" მატჩი გამოტოვეს. აქ, ცხადია, არ ვგულისხმობთ მარსელო სალასსა და ანტონიო კონტეს, რომლებიც იმდენი ხანია, დაშავებულნი არიან, მგონი, აღარავის ახსოვს.

ერთადერთი ფეხბურთელი, ვინც გუნდს დააკლდება ურუგვაელი პაოლო მონტეროა, რომელიც ავსტრალიასთან პლეი ოფის საპასუხო მატჩისთვის ემზადება.

საპირისპირო ბანაკში კლაუს ტოპმიოლერი მოისაკლისებს ნახევარმცველ ბერნდ შნაიდერს, რომელიც „კიოლნთან" მატჩისას დაშავდა და შესაცვლელი შეიქნა. „ლევერკუზენს" სხვა მხრივ პრობლემები არა აქვს.

ბოლოს გავიხსენოთ, რომ ლევერკუზენელები ბუნდესლიგაში ერთადერთ დაუმარცხებელ გუნდად რჩებიან, სადაც უკვე ცამეტი ტური გაიმართა.

**გიორგი დარჯანია**



დიეგო ტრისტანი ინგლისელებისთვის გოლების გატანას ჩვეულია





ვესტჰემელი პოლ კიტსონის ჰეთ თრიქი ჯონათან იოჰანსონის მაკრატელამ ქულამდე გააუფასურა

# თუ გატანაა, სამი იყოს!
## პოლ კიტსონი კაცია ჰეთთრიქიანი

### ინგლისი

**ჩარლტონი 4:4 ვესტ ჰემი**

0:1 კიტსონი (3), 1:1, 2:1 იუელი (21, 28), 2:2 კიტსონი (30), 3:2 იოჰანსონი (61), 3:3 კიტსონი (64), 3:4 დეფო (84), 4:4 იოჰანსონი (90)
ჩარლტონი: დ. კელი, კ. პაუელი, იანგი (ჯ. რობინსონი 84), ფიში, მ. ბრაუნი, კონჩესკი, პარკერი (ბარტლეტი 84), კინსელა, იენსენი, იუელი, იოჰანსონი
მწვრთნელი: ალან კერბიშლი
ვესტ ჰემი: ჰისლოპი, ფოქსი, რეპკა, დეილი, შემელი, ტ. სინკლერი, ჰატჩისონი (ჯ. კოული 61), კარიკი, მინტო (ლომასი 61), დი კანიო, კიტსონი (დეფო 76)
მწვრთნელი: გლენ როედერი
მსაჯი: უილი
23 198 მაყურებელი

**ორშაბათის** მატჩში ლონდონურმა კლუბებმა ერთმანეთს ოთხ-ოთხი გოლი გაუტანეს, ქულა მიითვალეს და ცხრილშიც მეზობლებად დარჩნენ.

ისე ჩანდა, პოლ კიტსონის ჰეთ თრიქი და ვესტჰემელი ძველი ბიჭის ჯერმენ დეფოს (ვინც დევიდ ბექჰემის დას ჰყვარობს) გვიანი გოლი „ჩაქუჩთათვის" სამი ქულის გასანაღდებლად საკმარისი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ჩარლტონელთა თავკაცი ალან კერბიშლი ფეხბურთელობისას სწორედ „ვესტ ჰემში" თამაშობდა და იქაურთა ავან-ჩავანი კარგად უწყის. მეოთხე რომ გაუშვა, მინდორზე სასწრაფოდ რობინსონი და ბარტლეტი შეიყვანა, რომლებმაც თამაში გაამწვავეს, რაც წამატებულ წუთებზე ჯონათან იოჰანსონის შედეგიანი მაკრატელათი დასრულდა.

შესულებმა თამაში გაამწვავესო რომ ვთქვით, ცოტა არ იყოს, სასაცილოდ მოჩანს, რაკი მატჩში ამდენი გოლი რომ გავა, რაღა გამწვავება უნდა, თუმც ფაქტი ფაქტად რჩება. ყველაზე საინტერესო კი აი, რა გახლავთ: 1997 წლის მაისის მერე „ვესტ ჰემის" ფეხბურთელებს ჰეთ თრიქი არ შეუსრულებიათ და მაშინაც „შეფილდ უენსდის" კარში სამი ბურთი პოლ კიტსონმა შეაგდო.

ჰო, არანაკლებ საინტერესოც: ოცდაათი წლის კიტსონი მხოლოდ იმიტომ იყო მინდორზე, რომ „ვესტ ჰემს" ფრედერიკ კანო დაშავებული ჰყავს. აქვე ბარემ ისიც ვთქვათ, რომ მასპინძელთათვის მეოთხე გოლის გამტანმა დეფომ სწორედ „ჩარლტონში" დაიწყო კარიერა.

გოლების აღწერას კი, ვფიქრობთ, აზრი არა აქვს, რაკი ეს საქმე ძალიან შორს წაგვიყვანს და მიმოხილვისთვის გამოყოფილი ადგილიც არ გვეყოფა.

**ირაკლი ნინიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლივერპული | 11 | 7 | 2 | 2 | 21:11 | 23 |
| ლიდსი | 12 | 6 | 5 | 1 | 15:7 | 23 |
| ასტონ ვილა | 12 | 6 | 4 | 2 | 17:11 | 22 |
| მანჩესტერი | 12 | 6 | 3 | 3 | 30:20 | 21 |
| არსენალი | 12 | 5 | 5 | 2 | 25:14 | 20 |
| ნიუკასლი | 12 | 6 | 2 | 4 | 22:17 | 20 |
| ჩელსი | 12 | 4 | 7 | 1 | 16:11 | 19 |
| ბოლტონი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:17 | 19 |
| ბლექბერნი | 13 | 4 | 6 | 3 | 21:16 | 18 |
| ტოტენჰემი | 13 | 5 | 3 | 5 | 20:18 | 18 |
| ფულემი | 12 | 4 | 5 | 3 | 15:13 | 17 |
| ევერტონი | 12 | 4 | 4 | 4 | 18:17 | 16 |
| სანდერლენდი | 13 | 4 | 4 | 5 | 12:14 | 16 |
| მიდლსბრო | 13 | 4 | 3 | 6 | 16:20 | 15 |
| ვესტ ჰემი | 12 | 4 | 3 | 5 | 16:25 | 15 |
| ჩარლტონი | 12 | 3 | 5 | 4 | 16:17 | 14 |
| დერბი ქაუნთი | 12 | 2 | 4 | 6 | 10:22 | 10 |
| ლესტერი | 13 | 2 | 3 | 8 | 7:25 | 9 |
| იფსვიჩი | 13 | 1 | 5 | 7 | 14:22 | 8 |
| საუთჰემპტონი | 12 | 2 | 1 | 9 | 10:22 | 7 |

### საფრანგეთი
**II დივიზიონი**

მე-17 ტური: ბოვე — კრეტეი 2:0; კაენი — სენტ ეტიენი 2:4; შატორუ — გრენობლი 0:0; ისტრი — მარტიგი 0:0; ლავალი — გენიონი 0:1; ნანსი — ლე მანი 0:1; ნიცა — ლე ავრი 0:1; ნიმი — ვალკეალი 2:3; ნიორი — აიაჩო 0:0; სტრასბური — ამიენი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბოვე | 17 | 9 | 6 | 2 | 21:9 | 33 |
| სტრასბური | 16 | 9 | 5 | 2 | 24:10 | 32 |
| აიაჩო | 17 | 9 | 5 | 3 | 24:13 | 32 |
| ლე ავრი | 17 | 7 | 8 | 2 | 23:12 | 29 |
| კაენი | 17 | 7 | 6 | 4 | 25:23 | 27 |
| ამიენი | 17 | 7 | 5 | 5 | 25:17 | 26 |
| გენიონი | 17 | 6 | 7 | 4 | 20:21 | 25 |
| ნანსი | 17 | 6 | 6 | 5 | 20:17 | 24 |
| ლავალი | 17 | 7 | 3 | 7 | 20:20 | 24 |
| ნიცა | 17 | 7 | 2 | 8 | 22:18 | 23 |
| შატორუ | 17 | 6 | 5 | 6 | 18:19 | 23 |
| სენტ ეტიენი | 17 | 5 | 7 | 5 | 19:19 | 22 |
| ლე მანი | 17 | 5 | 6 | 6 | 16:21 | 21 |
| ისტრი | 17 | 4 | 6 | 7 | 15:19 | 18 |
| ნიორი | 17 | 3 | 8 | 6 | 17:22 | 17 |
| გრენობლი | 16 | 4 | 5 | 7 | 11:25 | 17 |
| ვასკეალი | 17 | 4 | 4 | 9 | 17:25 | 16 |
| ნიმი | 17 | 2 | 9 | 6 | 15:19 | 15 |
| მარტიგი | 17 | 3 | 5 | 9 | 10:22 | 14 |
| კრეტეი | 17 | 2 | 6 | 9 | 13:24 | 12 |

### თურქეთი

მე-12 ტური: მალათია — გიოზთეფე 3:1; რიზე — ტრაბზონი 1:1; იოზგათი — სამსუნი 2:0; გალათასარაი — დიარბაქირი 5:1; ქოჯაელი — ისთანბული 2:0; ანკარაგიუჯიუ — გაზიანთეფი 1:1; ფენერბაჩე — გენჩლერბირლიგი 2:0; ანთალია — ბეშიქთაში 1:4; დენიზლი — ბურსა 0:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| გალათასარაი | 12 | 9 | 2 | 1 | 31:16 | 29 |
| ფენერბაჩე | 12 | 9 | 1 | 2 | 25:12 | 28 |
| ისთანბული | 12 | 7 | 1 | 4 | 10:8 | 22 |
| ბეშიქთაში | 12 | 6 | 3 | 3 | 30:20 | 21 |
| ქოჯაელი | 12 | 6 | 3 | 3 | 21:14 | 21 |
| ბურსა | 12 | 6 | 2 | 4 | 19:19 | 20 |
| გაზიანთეფი | 12 | 5 | 3 | 4 | 13:13 | 18 |
| გიოზთეფე | 12 | 4 | 5 | 3 | 11:13 | 17 |
| ტრაბზონი | 12 | 4 | 3 | 5 | 20:18 | 15 |
| დენიზლი | 12 | 3 | 5 | 4 | 21:14 | 14 |
| ანკარაგიუჯიუ | 12 | 4 | 2 | 6 | 29:23 | 14 |
| სამსუნი | 12 | 4 | 2 | 6 | 11:17 | 14 |
| ანთალია | 12 | 3 | 4 | 5 | 18:29 | 13 |
| იოზგათი | 12 | 3 | 3 | 6 | 15:22 | 12 |
| გენჩლერბირლიგი | 12 | 2 | 5 | 5 | 22:26 | 11 |
| რიზე | 12 | 2 | 5 | 5 | 15:19 | 11 |
| დიარბაქირი | 12 | 2 | 3 | 7 | 17:28 | 9 |
| მალათია | 12 | 3 | 0 | 9 | 10:27 | 9 |

### უკრაინა
**თასის 1/4 ფინალი**
**საპასუხო მატჩები**

ცსკა — დნიპრო 0:0 (პენ.3:4) (0:0)
დინამო — მეტალისტი (1:1), ზაკარპატია — მეტალურგი (დონეცკი) (0:1) და კარპატი — შახტარი (0:2) 26 ნოემბერს გაიმართება

### გერმანია
**II ბუნდესლიგა. XIII ტური**

**მაინცი 1:1 აინტრახტი**

0:1 სკელა (64), 1:1 ფრიდრიხი (78)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მაინცი | 13 | 10 | 2 | 1 | 29:11 | 32 |
| ჰანოვერი | 13 | 8 | 5 | 0 | 35:10 | 29 |
| არმინია | 13 | 8 | 2 | 3 | 25:11 | 26 |
| აინტრახტი | 13 | 7 | 4 | 2 | 21:13 | 25 |
| ბოხუმი | 13 | 5 | 5 | 3 | 24:20 | 20 |
| კარლსრუე | 13 | 6 | 2 | 5 | 20:21 | 20 |
| ალენი | 13 | 6 | 2 | 5 | 24:30 | 20 |
| უნიონი | 13 | 5 | 4 | 4 | 25:17 | 19 |
| ფიურტი | 13 | 5 | 4 | 4 | 18:14 | 19 |
| როიტლინგენი | 13 | 5 | 2 | 6 | 24:25 | 17 |
| უნტერჰახინგი | 13 | 5 | 2 | 6 | 14:15 | 17 |
| ალემანია | 13 | 4 | 3 | 6 | 13:23 | 15 |
| დუისბურგი | 13 | 3 | 5 | 5 | 17:20 | 14 |
| შვაინფურტი | 13 | 3 | 3 | 7 | 9:24 | 12 |
| ვალდჰოფი | 13 | 2 | 5 | 6 | 12:21 | 11 |
| ბაბელსბერგი | 13 | 3 | 2 | 8 | 15:31 | 11 |
| ობერჰაუზენი | 13 | 2 | 3 | 8 | 18:24 | 9 |
| ზაარბრიუკენი | 13 | 1 | 3 | 9 | 9:22 | 6 |

### იტალია
**სერია B. XIII ტური**

**ჯენოა 2:2 ვიჩენცა**

0:1 მარკოლინი (4), 0:2 კიანეზე (7), 1:2 სტრომბა (37), 2:2 ფრანჩიოზო (51)

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| კომო | 12 | 8 | 1 | 3 | 17:12 | 25 |
| მოდენა | 12 | 7 | 3 | 2 | 25:8 | 24 |
| ემპოლი | 12 | 7 | 3 | 2 | 20:11 | 24 |
| ჯენოა | 12 | 6 | 3 | 3 | 16:9 | 21 |
| რეჯინა | 11 | 6 | 3 | 2 | 14:7 | 21 |
| ვიჩენცა | 12 | 5 | 5 | 2 | 19:19 | 20 |
| პალერმო | 12 | 5 | 3 | 4 | 16:17 | 18 |
| სალერნიტანა | 12 | 5 | 2 | 5 | 16:18 | 17 |
| კოზენცა | 12 | 5 | 2 | 5 | 18:21 | 17 |
| მესინა | 11 | 4 | 4 | 3 | 12:12 | 16 |
| ნაპოლი | 12 | 4 | 4 | 4 | 11:12 | 16 |
| ანკონა | 12 | 4 | 3 | 5 | 10:12 | 15 |
| ბარი | 11 | 4 | 2 | 5 | 8:12 | 14 |
| სამპდორია | 11 | 3 | 3 | 5 | 11:12 | 12 |
| კროტონე | 12 | 2 | 4 | 6 | 14:16 | 10 |
| ტერნანა | 12 | 1 | 7 | 4 | 10:13 | 10 |
| პისტოიეზე | 12 | 2 | 4 | 6 | 5:10 | 10 |
| ჩიტადელა | 11 | 3 | 1 | 7 | 13:20 | 10 |
| კალიარი | 12 | 1 | 6 | 5 | 7:14 | 9 |
| სიენა | 11 | 1 | 5 | 5 | 9:16 | 8 |

### დანია
**XVI ტური**

**ოდენსე 2:1 მიდტიულანდი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ბრონდბიუ | 16 | 12 | 3 | 1 | 42:8 | 39 |
| აკადემისკი | 16 | 8 | 6 | 2 | 26:14 | 30 |
| კოპენჰაგენი | 16 | 8 | 5 | 3 | 24:14 | 29 |
| ოლბორგი | 16 | 8 | 3 | 5 | 24:24 | 27 |
| ესბიერგი | 16 | 8 | 2 | 6 | 22:23 | 26 |
| ოდენსე | 16 | 6 | 5 | 5 | 24:24 | 23 |
| მიდტიულანდი | 16 | 5 | 7 | 4 | 19:15 | 22 |
| ვიბორგი | 16 | 3 | 7 | 6 | 18:21 | 16 |
| ორჰუსი | 16 | 3 | 5 | 8 | 17:26 | 14 |
| ლიუნგბიუ | 16 | 2 | 7 | 7 | 16:26 | 13 |
| ვაილე | 16 | 3 | 4 | 9 | 20:40 | 13 |
| სილკებორგი | 16 | 1 | 4 | 11 | 12:29 | 7 |

## მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი
### სამხრეთ ამერიკა-ოკეანეთი. პლეი ოფი. პირველი მატჩი

# ავსტრალია 1:0 ურუგვაი

**1:0 მუსკატი (79პ)**

შვარცერი, მუსკატი, კ. მური, ოკონი, ტ. ვიდმარი, შ. მერფი, ემერტონი, სკოკო, ვიდუკა, კიუელი, ლაზარიდისი (აგოსტინო 46)

კარინი, ტაისი, ლემბო, პ. მონტერო, დ. როდრიგესი, გიგუ, პაბლო გარსია, დე ლოს სანტოსი, რეკობა, ჩევანტონი (რეგუერო 77), მაგალიანესი (ჯაკომაცი 72)

მელბურნი. „კრიკეტ გრაუნდი". მსაჯი: გრაციანო ჩეზარი (იტალია). 84 000 მაყურებელი

# საკონტინენტთაშორისო მწვანე მელბურნს ლურჯი მონტევიდეო უპასუხებს

**კევინ მუსკატმა** მელბურნის „კრიკეტ გრაუნდის" ტრიბუნებზე შეკრებილი 85 ათასამდე ავსტრალიელის თვალწინ პენალტი გაუტანა ურუგვაის ნაკრებს. ავსტრალიამ 1:0 მოიგო. ამ შედეგმა კი ჯერჯერობით უპასუხოდ დატოვა კითხვა, თუ ვინ იქნება გაისად მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე 32-ე გუნდი. პასუხს ურუგვაიდან შევიტყობთ, სადაც კვირას საპასუხო მატჩი გაიმართება.

პენალტი კი 79-ე წუთზე იტალიელმა მსაჯმა გრაციანო ჩეზარიმ შეცვლაზე შესული პოლ აგოსტინოს წაქცევისთვის დანიშნა. ეს უკანასკნელი ჰარი კიუელის ჩაწოდებული ბურთისკენ გარბოდა, თუმცა პაოლო მონტერომ საჯარიმოში აკრძალული ხერხით შეაჩერა. ვულვერჰემპტონელმა მუსკატმა, რომელმაც ახლახან საფრანგეთთან ამხანაგურ მატჩში კრისტოფ დიუგარის დამტვრევით გაითქვა სახელი, პენალტი ზუსტად დაარტყა. „იუვენტუსის" სათადარიგო მეკარე ფაბიან კარინი ვერაფერს გახდა.

ავსტრალიელები თავიდანვე შეეცადნენ მატჩის სადავეების ხელში აღებას, თუმც სტუმრებს ხეირიანად თითზე ჩამოსათვლელად თუ შეუტიეს. ყველაზე რეალური შანსი მეორე ტაიმში ჰქონდათ, როცა აგოსტინოს დარტყმულმა ხარიხა შეაზანზარა. კრეიგ მურმაც გაისროლა ერთხელ თავით, თუმცა კარინიმ იყოჩაღა და არ გაატანინა.

თავის მხრივ ურუგვაიც ჩხვლეტდა მეტოქეს. ყველაზე მეტად მილანის „ინტერის" ფორვარდი ალვარო რეკობა გამოირჩეოდა, რომელმაც ერთი-ორ ეპიზოდში „მიდლსბროს" მეკარე მარკ შვარცერი კარგა გვარიანად ახტუნა, თუმცა, ამ უკანასკნელის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მასპინძელთა კარი მაინც მშრალად დარჩა. შვარცერი კი ძირითადი მეკარე მარკ ბოსნიჩის ტრავმის გამო ჩადგა კარში. „ჩელსის" კარის დარაჯი პრემიერლიგის ბოლო ტურში მეტად უწყინარ ვითარებაში დაშავდა.

ახლა მეტოქეები სხვა კონტინენტზე უნდა გაემგზავრონ და ურუგვაის დედაქალაქ მონტევიდეოში ეძებონ იმის პასუხი, რასაც მელბურნში ვერ მიაგნეს.

**ნიკა ჟუღლაძე**




REUTERS მელბურნიდან

ზურგი ზურგს და ბურთი ურუგვაელ გონსალო დე ლოს სანტოსს

# NANDROLONE



# გას(ტ)ამდა

## ნანდროლონყვარულები, მსოფლიო შეთქმულება, ჰოლანდიური ჩურჩხელა და შემცდარი ლაბორანტები



იაპ სტამი

**ჰოლანდიელი** ფეხბურთელების თავს რაღაც ამბავი ტრიალებს. გაზაფხულზე იყო და, ევროპა ფრანკ დე ბურისა და ედგარ დავიდსის დოპინგ-ჩავარდნამ შეძრა, ახლა კი იაპ სტამის ორგანიზმში აღმოაჩინეს ნანდროლონის გადამეტებული რაოდენობა. ეს ამბავი 13 ოქტომბერს ჩატარებული „ლაციო" — „ატალანტას" მატჩის შემდეგ მოხდა. მოგეხსენებათ, სტამი „ლაციოში" თამაშობს.

რატომ მოეძალათ ჰოლანდიელებს დოპინგი? აქ რამდენიმე ვარიანტია.

ვარიანტი პირველი: ჰოლანდიელები განზრახ ყლაპავენ აკრძალულ აბებს. მაგრამ, თუ საკუთრივ ჰოლანდიაში გამოთქმულ პროტესტებს მივუგდებთ ყურს, შესაძლოა, ამ ვარიანტის სისწორეში ეჭვი შეგვეპაროს. გარდა ამისა, დაგვეთანხმებით, დავიდსის და დე ბურის შემდეგ იგივეს გამეორება ლენჩობა იქნებოდა.

ვარიანტი მეორე: ჰოლანდიელთა წინააღმდეგ მსოფლიო შეთქმულებაა. ლოგიკურია, თუ გავითვალისწინებთ, რომ დე ბურს დოპინგ-ცუღლუტობა ესპანეთში დაუმტკიცეს, დავიდსსა და სტამს კი იტალიაში, მაგრამ ალოგიკურია, თუ გავიხსენებთ, რომ ჰოლანდიის ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატიდან გავარდა. მაშინ გამოდის, რომ ვიღაც-ვიღაცებს უბრალოდ ჰოლანდიელები ეზიზღებათ და საჭმელ-სასმელში ნანდროლონს უყრიან. ესე იგი გიჟების საერთაშორისო ორგანიზაციასთან გვქონია საქმე.

ვარიანტი მესამე: ჰოლანდიურ ეროვნულ სამზარეულოში არსებობს კერძი, რომელიც დიდი რაოდენობით ნანდროლონს შეიცავს. წარმოვიდგინოთ, რაღაც ჰოლანდიური ჩურჩხელა ან საცივი, რომლის გარეშე ცხოვრება ერთ ჰოლანდიელსაც არ შეუძლია და მადიანად რომ შეექცევიან, დოპინგ-კონტროლზე ჩავარდებიან ხოლმე.

ვარიანტი მეოთხე: ყველაფერი შეცდომაა. ლაბორატორია ესპანეთშიც შეცდა და ორჯერ იტალიაშიც. მაგრამ, ეს ძალიან ჰგავს კადრს ერთი ამერიკული კინოდან, სადაც ცოლი ქმარს საყვარელთან წაუსწრებს. შიშველი ქმარი ლოგინიდან თავს წამოჰყოფს და იძახის: ჩემი ძვირფასო, ეს სულაც არ არის ის, რაც შენ გგონიაო.

„სტამი თავისი ნებით აკრძალულ ნივთიერებას არ მიეკარებოდა — აღშფოთდა „ფეიენოორდის" მწვრთნელი ბერტ ვან მარვიკი. მოგეხსენებათ, ადრე სტამი „ფეიენოორდის" მოთამაშე იყო — ჩვენი ფეხბურთელები აღშფოთდნენ და ღელავენ. ველარ გაუგიათ, რა ხდება ან საიდან უნდა ელოდონ ხიფათს".

„მგონი იმას რაც ხდება, ვერაფერს ვუპირისპირებთ და ეს გვაშინებს" — განაცხადა ჰოლანდიის ნაკრების თავდამსხმელმა პიერ ვარ ჰოიდონკმა.

„იმედი მაქვს რომ ლაბორატორია შეცდა. სტამი პატიოსანი ადამიანია. თუ ვცრუობდე, ხელი მომაჭერით. არადა, „ლაციოში" ეს უკვე მეორე შემთხვევაა (პირველად იყო ფერნანდო კოუტუ), რაც ჩვენს გასახდელში ფსიქოზს იწვევს. გარდა ამისა თავიდან ბოლომდე ვენდობით ჩვენს ექიმს ანდრეა კამპის, რომელმაც სწორედ „ლაციო" — „ატალანტადან" ოთხი დღის შემდეგ ჩაატარა დოპინგ-ტესტი და ყველა ფეხბურთელი სუფთა დაუხვდა" — შეშფოთდა „ლაციოს" თავკაცი ალბერტო მაკერონი.

„რომ გამოაცხადეს სტამის ორგანიზმში ნანდროლონი ყოფილაო, კინაღამ სკამიდან გადმოვვარდი. იმ თამაშიდან ოთხი დღის შემდეგ ჩემი ხელით ჩავუტარე სტამს ანალიზი და ფაქტია, ის სუფთა იყო. დღეს „ლაციოს" გასახდელში პანიკაა. გუნდში სტამს ყველა იცნობს. ყველამ იცის, რომ ის ჩვეულებრივ ვიტამინებსაც კი არ ყლაპავს" — გაოცდა ზემოხსენებული ანდრეა კამპი.

დაველოდოთ განმეორებით ანალიზს.

**ბაჩუნა ძიძია**

# მოგებული გააგდეს, ნაგებულს რაღას უზამდნენ...

*მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე ერთი მატჩიღა დარჩა გასამართი — ურუგვაი უმასპინძლებს ავსტრალიას. დანარჩენები ან კორეა-იაპონიაში წასასვლელად ემზადებიან ან ახალი შესარჩევი ციკლისთვის. ამ დროს ჩვეულებრივი ამბავია შედეგების შეჯამება და წარუმატებლობის შემთხვევაში დამნაშავეთა ძებნა. დამნაშავენი, როგორც წესი, მწვრთნელები არიან...*



სერხიო მარქარიანი: რა უნდოდათ, რას მერჩოდნენ

**ვალერი ლობანოვსკის** 1986 წელს რომ მიეტოვებინა მწვრთნელობა (როცა კიევის „დინამოს" თასების მფლობელთა თასი მოაგებინა), დღეს ერთი კრიტიკოსიც არ ეყოლებოდა. მაგრამ ის დარჩა, ჩემპიონთა ლიგაში მეტნაკლებ წარმატებას მიაღწია, მაგრამ მთავარი მიზანი, უკრაინის მსოფლიოს ჩემპიონატზე გაყვანა, ვერ შეასრულა. ამიტომ ახლა, როცა ვალერი ვასილიევიჩმა გადადგომის თაობაზე განაცხადა, მხოლოდ „დინამოში" ვიმუშავებო, კალთები არავის დაუხევია.

ითქვა, რომ ნაკრების ახალი მესაჭის სახელი 15 დეკემბერს გახდება ცნობილი. ამ დღეს უკრაინის ფეხბურთის ფედერაციის კონგრესია დანიშნული. ყველაზე რეალური კანდიდატი კი ლეონიდ ბურიაკია.

„ჯერ ძალიან ახალგაზრდა ვარ, რათა გადავდგე" — თქვა რუმინელთა ახალგამომცხვარმა და უიღბლო მწვრთნელმა გეორგე ჰაჯიმ. მართალია, ჰაჯი საკმაოდ ახალგაზრდაა, მაგრამ მის პოსტზე დასატოვებლად რუმინული ფედერაციისთვის ეს არგუმენტი სულაც არ არის საკმარისი. ფედერაციის პრეზიდენტ მირჩა სანდუს თქმით, ახალი მწვრთნელის დანიშვნა მხოლოდ დროის საქმეა, რაკი ჯერჯერობით კანდიდატურების ძებნაში არიან. ჰაჯის კი ურჩევნია, თავის გამონათქვამებში უფრო კორექტული იყოს და ხანდახან ჭკვიან ხალხსაც მოუსმინოს, ასე რომ მოქცეულიყო, მსოფლიოს ჩემპიონატზე გავიდოდითო, დაამატა პრეზიდენტმა.

ავსტრიელები კი ოტო ბარიჩზე არიან განრისხებულნი, რომლის თავკაცობითაც ავსტრია თურქეთთან განადგურდა. ხორვატის ადგილს კი დიდი კონსტანტინი (ბარიჩის თანაშემწე), ჰანს კრანკლი (ნაკრების ყოფილი ფორვარდი) და ვერნერ ლორანტი („მიუნხენის" ყოფილი მწვრთნელი) უმიზნებენ.

წყალი აქვს შემდგარი ფედერაციის პრეზიდენტ იოზეფ მაუხარტსაც, ვინც ავსტრიულ ფეხბურთს 17 წელია, მეთაურობს.

მიროსლავ ბლაჟევიჩმა კი ყველანი მოგვატყუა — დაგვპირდა, ირანის ნაკრებს კორეა-იაპონიაში თუ ვერ წავიყვან, თავს ჩამოვიხრჩობო. ახლა კი დახეთ, რას ამბობს: „სიამოვნებით გავაგრძელებდი ირანში მუშაობას კიდევ ოთხი წლით".

ბლაჟევიჩის მიმდინარე კონტრაქტს იანვარში გასდის ვადა, თუმც ირანში ისეთი განწყობაა, ხორვატს, ალბათ, არ დატოვებენ. მისი ლანძღვა შესარჩევ ჯგუფში ბაჰრეინთან სენსაციური და საბედისწერო მარცხის მერე დაიწყო და ახლაც გრძელდება. სუსტი ხასიათი აქვს, გუნდში თავისი ფავორიტები ჰყავს და იმათ თუ არ დაეკითხა, დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ვერ იღებსო — ამბობენ ნაკრების ის წევრები, რომლებიც ბლაჟევიჩის ფავორიტებად არ ითვლებიან.

აქამდე მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერგასულ ნაკრებთა მწვრთნელებზე ვლაპარაკობდით, ახლა პარაგვაიზე ვთქვათ, რომელმაც კორეა-იაპონიის ბილეთები სამხრეთამერიკული შესარჩევი ეტაპის დასრულებამდე ორი ტურით ადრე შეუკვეთა, მაგრამ მწვრთნელი მაინც დაკარგა. სერხიო მარქარიანს ბოლო ორ, არაფრისმომცემ მატჩში დამარცხება არ აპატიეს.

გაპარაგვაებული სომეხის მემკვიდრედ კი კარლოს ბიანკის ასახელებენ. გავიხსენოთ: ბიანკიმ „ბოკა ხუნიორს" ზედიზედ ორჯერ მოაგებინა ლიბერტადორესის თასი (ჩემპიონთა ლიგის სამხრეთამერიკული ანალოგი), შარშან დეკემბერში, ტოკიოში, მადრიდის „რეალიც" დაამარცხა და ახლა იმავე საკონტინენტთაშორისო თასისთვის მიუნხენის „ბაიერნს" შეებრძოლება.

ეს მატჩი 28 ნოემბერს შედგება და ბიანკიმ პარაგვაის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ოსკარ ჰარისონს შეუთვალა, „ბაიერნს" რომ მოვითავებ, პასუხს მერე გაგცემო.

**გიორგი დარჯანია**

## ფეხბურთის რუკასთან



**ინგლისის** ფეხბურთის ასოციაციის პრესმდივნის პოლ ნიუმენის განცხადებით, ასოციაციამ „ტოტენჰემს" მისი ფანების საქციელის გამო შესაძლოა, სანქცია დააკისროს. საქმე „ტოტენჰემ" — „არსენალის" პრემიერლიგურ მატჩს ეხება, რომლესაც „არსენალში" ახლახან გადასულ სოლ კემპბელს გულშემატკივრებმა ლუდის ქილები ესროლეს და არც სხვა სტუმარი ფეხბურთელები და მწვრთნელი დაინდეს. ფეხბურთის ასოციაცია გადაწყვეტილებას მას შემდეგ მიიღებს, რაც მსაჯისგან ახსნა-განმარტებას მოისმენს.

**შოტლანდიური „სელტიკის" თავდამსხმელი დიდიე აგატი „ჰართსთან" 1:0 მოგებულ მატჩში დაშავდა და ხუთშაბათს უეფას თასზე „ვალენსიასთან" ვერ ითამაშებს. „მისი შემცვლელის პოვნა გამიჭირდება" — თქვა შოტლანდიელთა მწვრთნელმა მარტინ ონილმა. რამდენ ხანს ვერ ითამაშებს აგატი, ჯერჯერობით უცნობია, მას მუხლი გაუსივდა.**

**ბრაზილიური** „სან პაულუს" ნახევარმცველმა ლეონარდომ ფეხბურთიდან წასვლა გადაიფიქრა. „მილანის" ყოფილმა ფეხბურთელმა აზრი კლუბის პრეზიდენტ პაულუ ამარალთან შეხვედრის შემდეგ იცვალა. მისი თქმით, ფეხბურთს 2002 წლის ივნისამდე ითამაშებს, მანამდე კი შეეცდება, „სან პაულუსთან" ერთად ჩემპიონატი მოიგოს. „სან პაულუ" ქვეყნის ჩემპიონი ბოლოს 1991 წელს იყო.

**ინგლისის ფეხბურთის ასოციაციამ მესამე დივიზიონის „ოქსფორდის" თავკაცი „ოქსფორდ" — „სკანთორპის" მატჩის შავკანიანი არბიტრის ჯოროსის შეურაცხყოფისთვის ოთხმატჩიანი დისკვალიფიკაციითა და 1750 გირვანქით დააჯარიმა. თავად მწვრთნელი ამტკიცებს, რომ მან არა რასისტული, არამედ მხოლოდ უცენზურო სიტყვები იხმარა.**

**გერმანული** ბუნდესლიგის აუტსაიდერმა „ნიურნბერგმა" ლევერკუზენის „ბაიერის" 28 წლის ბრაზილიელი თავდამსხმელი რობერტო პაულო რინკი შეიძინა. რინკის დებიუტი შაბათს, მიუნხენის „ბაიერნის" წინააღმდეგ შედგება.

**ჰოლანდიური „პსვ ეინდჰოვენის" 22 წლის მცველმა კევინ ჰოფლანდმა მუცლის კუნთი დაიზიანა და თავის კლუბს უეფას თასზე ბერძნული პაოკ-ის წინააღმდეგ ვერ დაეხმარება. პარასკევს გაირკვევა, შეძლებს თუ არა ჰოფლანდი კალენდარულ მატჩში „აიაქსთან" თამაშს.**

**გერმანული** „შალკეს" და ბელგიის ნაკრების ფეხბურთელმა ნიკო ვან კერკჰოვენმა თავის კლუბთან 2004 წლის ივნისამდე გააზანგრძლივა კონტრაქტი. კლუბის მენეჯერის, რუდი აზაუერის თქმით, ვან კერკჰოვენი კლუბის ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელია.

**თურქული „ბეშიქთაშის" ახალგაზრდა ნახევარმცველი ნიჰატ ქანვეჩი ესპანურ „რეალ-სოსიედადში" გადადის. კლუბები უკვე შეთანხმდნენ და მომდევნო სეზონიდან თურქი ბასკური კლუბის ღირსებას დაიცავს.**

**გერმანული** ბუნდესლიგის ერთ-ერთმა მაჩანჩალამ „კიოლნმა" 2,5-წლიანი კონტრაქტი გაუფორმა შვეიცარიული „სენტ გალენის" 28 წლის მცველ მარკ ცელვეგერს.

**ბრაზილიური „ფლამენგოს" გულშემატკივრები კლუბის ავტობუსს დაესხნენ თავს. დაზარალდა მეკარეების მწვრთნელი მარკუშ ლემე, ხოლო კლუბის იუგოსლავიელი ლეგიონერი დეიან პეტკოვიჩი, რომელმაც წინდაუხედავად განაცხადა, გავარდნის შემთხვევაში ქვედა ლიგაში თამაშს სულაც არ ვითაკილებო, ცემას ძლივს გადაურჩა. ფანების რისხვა „ფლამენგოს" საშინელმა თამაშმა გამოიწვია. ჩემპიონატის დამთავრებამდე სულ რაღაც 3 ტურით ადრე „ფლამენგო" 28 გუნდიან ჩემპიონეტში 25-ე ადგილზეა.**

**ფრანგული** „პარი სენ ჟერმენი" ცდილობს, „ნიუკასლში" გაყიდული მარცხენა შემტევი ნახევარმცველის, ლორან ლობერის შემცვლელი მოძებნოს. სატრანსფერო ფანჯრის გახსნასთან ერთად მოსალოდნელია, რომ პსჟ-ში ტურინის „იუვენტუსის" 24 წლის ბრაზილიელი ფეხბურთელი ატირსონი აღმოჩნდეს. ჯერჯერობით პარიზული კლუბი არც უარყოფს და არც ადასტურებს ამ ცნობას.

**იტალიის ფეხბურთელთა კავშირის განცხადებით, კონფლიქტი რობერტო ბაჯოსა და „ვენეციას" მცველ ფაბიო ბილიკას შორის ამოწურულია. საქმე „ბრეშა" — „ვენეციას" მატჩისას მომხდარ ინციდენტს ეხება, როდესაც ბილიკა ბაჯოს დაემუქრა, ფეხს მოგტეხ და უმსოფლიოსჩემპიონატოდ დაგტოვებო. ამ მატჩის დროს ბაჯომ მართლაც მიიღო ტრავმა, ოღონდ არა ბილიკასთან, არამედ ანტონიო მარასკოსთან შეჯახებისას. ბაჯო ორი თვე ვერ გავა მოედანზე, თუმცა კავშირში აცხადებენ, რომ სწორედ მათ მიერ მოწყობილ შეხვედრაზე შერიგდნენ ბაჯო და ბილიკა.**

**ფრანგული** „ლიონის" თავდამსხმელმა სიდნეი გოვუმ ჩემპიონატის ბოლო ტურში „ლორიანთან" მატჩისას ფეხის თითი იტკინა. ექიმები ჯერ ვერაფერს ამბობენ, მაგრამ სავარაუდოდ ფეხბურთელი უეფას თასზე „ბრიუგესთან" ვერ ითამაშებს.

**ინგლისური „იფსვიჩის" ფრანგმა თავდამსხმელმა ულრიხ ლე პენმა თავის სადებიუტო მატჩში ფეხის ტრავმა მიიღო და სულ მცირე თვის ბოლომდე ვერ ითამაშებს. შეგახსენებთ, რომ ლე პენი „იფსვიჩში" ფრანგული „ლორიანიდან" წინა კვირას გადავიდა.**

**მაკედონიის** ნაკრების მცველმა გორან სტავრევსკიმ განაცხადა, რომ ეროვნულ გუნდში აღარ ითამაშებს. იგი მიზეზად ნაკრებში შექმნილ ვითარებას ასახელებს. „ბოლო მატჩი 0:5 წავაგეთ. ჩვენი მწვრთნელი იოვანოვსკი ნაკრების გაახალგაზრდავებას ცდილობს, მაგრამ როგორ შეიძლება ამ საბაბით უარი თქვა ისეთ ფეხბურთელებზე, როგორებიც გიორგი ხრისტოვი და ტონი მიჩევსკი არიან? მათ გარეშე გუნდი ნამდვილ ცირკს დაემსგავსა" — ამბობს სტავრევსკი. მისი თქმით, ის უკვე ელაპარაკა მწვრთნელს და გადაწყვეტილებას აღარ შეცვლის.

**ინგლისური „ჩელსის" იტალიელმა თავკაცმა კლაუდიო რანიერიმ „ევერტონთან" უგოლო ფრის შემდეგ გუნდის ჰოლანდიელი ლეგიონერი ბუდევინ ზენდენი გააკრიტიკა. რანიერის თქმით, ზენდენმა აშკარად მოიმატა წონაში და მოედანზე 90 წუთს ველარ ძლებს. მწვრთნელი მატჩის შემდეგ ელაპარაკა ჰოლანდიელს, რომელიც კვირაში 40 000 გირვანქას იღებს და გააფრთხილა, რომ აღარ ათამაშებს, სანამ ფეხბურთელი ზედმეტ კილოგრამებს არ ჩამოყრის.**

**გერმანული** „კაიზერსლაუტერნის" ფრანგი ნახევარმცველი იური ჯორკაეფი იმედოვნებს, რომ დეკემბრისთვის მინდორზე დაბრუნდება. მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა 27 ოქტომბერს „შალკესთან" მატჩში ირჟი ნემეცთან შეტაკებისას მარცხენა ტერფი დაიშავა. ჯორკაეფმა სამომავლო გეგმებზეც ილაპარაკა და კიდევ ერთხელ გამოთქვა „კაიზერსლაუტერნის" დატოვების სურვილი: „თუკი გერმანელებს ჩემში ფულის აღება უნდათ, ახლა უნდა გამიშვან, რადგან ივნისში კონტრაქტი ისედაც მიმთავრდება".

# ახალი ლიერსი, ძველი შეყილაძე, უმუშევარი წერეთელი

**ბელგიის „ლიერსის" ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ვერც ერთი ქართველი თამაშობს. თუ მამუკა წერეთელი უკვე კარგა ხანია, გუნდის განაცხადშიც ვერ ხვდება, მოულოდნელი იყო გელა შეყილაძემ ბელგიის ჩემპიონატის ზედიზედ ორი შეხვედრა რომ ამოტოვა. თუმც მან შაბათს ქვეყნის თასის მატჩში ითამაშა, როგორც თავად გვითხრა, მწვრთნელს თავი მოაწონა და მომავალ ტურში, ალბათ, კვლავ ძირითადში ითამაშებს.**

— სამი კვირის წინ ტრავმა მივიღე. მეტოქემ ფეხი კოჭში ჩამარტყა და ორი-სამი დღე ვმკურნალობდი. როცა გამოვჯანმრთელდი და ვარჯიში სრული დატვირთვით განვაახლე, არ ვიცი რატომ, მწვრთნელმა აღარ მათამაშა, ორი ტური გამოვტოვე. მწვრთნელს ჩემი უთამაშებლობის მიზეზი არ დაუკონკრეტებია.

**— იქნებ სათანადო ფორმაში არ იყავი და ამიტომაც დაგასვენა?**

— არა მგონია. ვფიქრობ, საკმაოდ ნორმალურ ფორმაში ვარ. ვარჯიშებისას მწვრთნელი კმაყოფილი იყო და მპირდებოდა, გათამაშებო. როცა საქმე საქმეზე მიდგებოდა, სხვას მამჯობინებდა. რა ვიცი, მგონი, ახლა ისევ მოუბრუნდა გული, შაბათს თასის მატჩში მათამაშა.

**— დაგაბრუნებს ძირითად შემადგენლობაში?**

— ვნახოთ, არ ვიცი. თუმც მგონია, რომ ძირითადში თამაშს ვიმსახურებ. ყველაფერი ხომ მაინც მწვრთნელის გადასაწყვეტია.

**— ვეღარც „ლიერსი" თამაშობს წლეულს შარშანდელივით. მიზეზი რა არის?**

— ფაქტობრივად, ახალი გუნდი გვყავს, ახალი მწვრთნელი, მისი თანაშემწეები, პრეზიდენტი და ფეხბურთელები. ძველებიდან მე და კიდევ ორი-სამი ფეხბურთელი დავრჩით. ცხადია, ეს გუნდის თამაშზე აისახება. ფეხბურთელებს, მიუხედავად იმისა, რომ სეზონი უკვე დიდი ხნის დაწყებულია, შეთამაშება აკლიათ. მწვრთნელსაც ოპტიმალური შემადგენლობისთვის ჯერ ვერ მიუგნია. ორი თამაში მეც გამომატოვებინა, მაგრამ, ვფიქრობ, ჩემმა შემცვლელმა მას ვერ გაუმართლა და, როგორც ვთქვი, ალბათ, ისევ დამაბრუნებს ძირითად შემადგენლობაში. ერთი სიტყვით, „ლიერსში" ყველაფერი ახალია და შედეგიც აქედან გამომდინარეა.

**— „ლიერსის" მიზანი წლეულს რა არის?**

— როგორმე ათეულში უნდა მოვხვდეთ და თასის ფინალამდე გავაღწიოთ. უეფას საგზურს თუ მოვიპოვებთ, წარმატებად ჩაგვეთვლება.

**— მამუკა წერეთელი რატომ არ თამაშობს?**

— მას სამუშაო ვიზის პრობლემა შეექმნა. ბელგიაში დღესდღეობით საკმაოდ ბევრი უცხოელია და ამიტომაც ცოტა უცნაური კანონები მიიღეს. ძალიან ძნელია, ბელგიაში ჩამოსვლისთანავე გუნდში ადგილი დაიმკვიდრო. მამუკა წერეთელი სამუშაო ვიზას, ალბათ, ახალ წლამდე მიიღებს და ჩემპიონატის მეორე წრიდან, ეგებ ძირითადშიც ითამაშოს.



გელა შეყილაძე

**ძოზა ინასარიძე**

# არველაძემ ექიმებს ხრტილი ჩააბარა

## არჩილი სეზონის ბოლომდე დაისვენებს

**საქართველოს** ნაკრებისა და გერმანული „კიოლნის" თავდამსხმელმა არჩილ არველაძემ წინა კვირაში მუხლის ოპერაცია გაიკეთა და, ალბათ, სეზონის ბოლომდე დაისვენებს.

წლეულს გუნდის ძირითად შემადგენლობაში ქართველმა ფორვარდმა სულ ერთხელ ითამაშა, ორჯერ კი შემცვლელად. შემდეგ ის დაშავდა და, როგორც ვთქვით, დიდი ხნით მოუწევს უქმად ყოფნა.

— ახლა ყავარჯნებით დავდივარ. შვეიცარიაში, ყაველაშვილის ნაცნობ ექიმთან ვაპირებდი მკურნალობას, მაგრამ გადავიფიქრე და ოთხშაბათს აქვე გავიკეთე ოპერაცია. დაახლოებით ერთ თვეში ხელმეორედ მივაკითხავ ქირურგებს. ახლა მუხლიდან ხრტილი ამოაჭრეს და სპეციალურ ლაბორატორიაში გადაიტანეს. ნივთიერებების დახმარებით ხრტილი ოდნავ უნდა გაიზარდოს და შემდეგი ოპერაცია სწორედ ამ ხრტილის კვლავ მუხლში ჩასანერგავად საჭირო — გვითხრა არჩილ არველაძემ წუხელ, როცა კიოლნში დავუკავშირდით.

სხვათა შორის, არჩილს ახლაც ის ფეხი აწუხებს, რომელზეც უწინ, ჯერ კიდევ თურქეთში თამაშისას ორი ოპერაცია გადაიტანა.

— ექიმები მეუბნებიან, მკურნალობასა და აღდგენით პროცესს დაახლოებით ოთხი თვე დასჭირდებაო, თუმც არ ვიჩქარებ, ტრავმის გამიზეზებას მოვერიდები და, ალბათ, სეზონის ბოლომდე დავისვენებ. ყოველ შემთხვევაში, ახლა ასე ვფიქრობ და ღმერთმა ინებოს, თუ სარეაბილიტაციო პერიოდი წარმატებული იქნა, არ გამოვრიცხავ, ბუნდესლიგის მიწურულს ვითამაშო კიდეც.

შეგახსენებთ, ამჟამად „კიოლნს" არჩილ არველაძის გარდა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი ჰყავს ტრავმირებული და აუტსაიდერობის ერთ-ერთი მიზეზი, ალბათ ესეც არის.

**ძოზა ინასარიძე**

# რა გვინდოდა არადიპუში?!

**„ფრაიბურგს"** 29 სექტემბრის მერე ბუნდესლიგის ზედიზედ ოთხ ტურში არ წაუგია, წინა შაბათს კი ბადენვიურტემბერგულ დერბიში „შტუტგარტთან" 0:3 დამარცხდა. მართალია, მეორე და მესამე ბურთები სტუმრებმა ბოლო თხუთმეტ წუთში გაუშვეს, მაგრამ მთელი მატჩის მანძილზე შტუტგარტელთა უპირატესობა აშკარა იყო. ძირითადის სამივე ქართველი სასტარტოში ათამაშეს, მხოლოდ ცქიტიშვილი შეცვალეს ბოლოსკენ. „კიკერმა" სამივეს დაბალი ქულები, ხუთიანები დაუწერა, თუმც არც სხვა ფრაიბურგელებს მიუღიათ უკეთესი შეფასებები.

წაგების მიუხედავად, ფოლკერ ფინკეს გუნდი ისევ მეცხრე ადგილზე დარჩა, რადგან ვერც მისმა უშუალო მეზობლებმა, „მიონხენგლადბახმა" და „მიუნხენმა" ივარგეს. „ბორუსია" შინ „კოტბუსს" დაუზავდა — 0:0, ხოლო „1860" „ბაიერნთან" საზიარო „ოლიმპიაშტადიონზე" „დორტმუნდს" დანებდა — 1:3. საკითხავი ის არის, როგორი განწყობით ეწვევიან ფრაიბურგელები როტერდამს. ხვალ მათ უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის პირველი მატჩი აქვთ ჩემპიონთა ლიგიდან გამოსულ „ფეიენოორდთან".

შოტლანდიურ პრემიერლიგაში კვლავ გამოირჩა შოთა არველაძე, „დანფერმლაინს" (4:0) ორი ბურთი გაუტანა და ჩემპიონატის ხუთ შეხვედრაში ოთხი გოლი მოუგროვდა. ეგ არის, „რეინჯერსი" ისევ შვიდი ქულით ჩამორჩება ლიდერ „სელტიკს" და მომავალ ტურში სწორედ მას ხვდება. შოთასთვის ეს პირველი „ოლდ ფირმ დერბი" იქნება.

იტალიაში კარლო ანჩელოტის მთავარმწვრთნელობით „მილანმა" პირველი სერიული მატჩი გამართა და შინ „პიაჩენცას" ვერაფერი მოუხერხა (0:0). კახა კალაძემ შეუცვლელად ითამაშა, თუმცა თავისი თანაგუნდელების მსგავსად „რაიუნოსგან" დაბალი შეფასება (5,5) მიიღო.

შვეიცარიაში „ციურიხის" ციებ-ცხელება გრძელდება. ამჯერად ჟორჟ ბრეგის ბიჭები საკუთარ მინდორზე „ლუგანოსთან" დამარცხდნენ (2:3). ჩვენთვის სასიამოვნო მხოლოდ ის შეიძლება იყოს, რომ მიხეილ ყაველაშვილმა ჩემპიონატში მეათე გოლი გაიტანა, თუმცა ერთ დროს ბომბარდირთა მეთაური ახლა ლუგანოელ როსისთან მეხუთე-მეექვსე ადგილებს იყოფს. პირველი ოთხეული კი ასეთია: ხიმენესი („ბაზელი", 19), ნუნიესი („გრასჰოპერი", 15), ჰუიე („სიონი") და ტაჩი-მენსა („ნოიშატელი" 11-11).

უკრაინაში, როგორც იქნა, ჩემპიონატის მატჩი ჩაატარა სიმფეროპოლის „ტავრიამ". ამათ, თუ თასის შეხვედრებს არ ჩავთვლით, 12 ოქტომბრის მერე აღარ ეთამაშათ და კვირას მეხუთე ტურის გადადებულ მატჩში შინ კიევის „დინამოსთან" 1:5 წააგეს. კიევი ყირიმს ავადგამხდარი მწვრთნელის, ვალერი ლობანოვსკისა და ალექსანდრ გოლოვკოს გარეშე ეწვია, თუმცა ამას რა მნიშვნელობა ჰქონდა, ნათოვლარ მინდორზე თავისი მაინც დაამტკიცა. მასპინძელთაგან კი ერთადერთი გოლი ვასო გიგიაძემ გაიტანა. 78-ე წუთზე 0:4 იყო, როცა ვასომ მოწინააღმდეგის საჯარიმოში სამი მცველი მოატყუა და წააქციეს. პენალტი თავად დაარტყა და სეზონში თავისი მეოთხე ბურთი შეაგდო.

წინა შაბათს კი ლევან მიქაძის ცსკა უკრაინის თასიდან გავარდა. „დნიპროსთან" არმიელთა ორივე მეოთხედფინალი უგოლოდ დამთავრდა და დნეპროპეტროვსკელებმა პენალტებით მოიგეს. მიქაძემ თავისი წილი თერთმეტმეტრიანი კი შეაგდო, მაგრამ...

ბოლოს კი ერთ უცნაურ გუნდზე ვთქვათ, რომელშიც ორი ქართველი, გიორგი ქორიძე და გურამ ასპინძელაშვილი თამაშობენ. ეს არის კვიპროსის პატარა დაბა არადიპუს კლუბი „ერმისი". კვიპროსის ჩემპიონატის სიძლიერეზე, აბა, რა მოგახსენოთ, „არადიპუმ" კი პირველ ცხრა ტურში ცხრავე თამაში წააგო და ცხადია, ცხრილის ფსკერზეა. მათი ბოლო ექვსი მატჩიც გავიხსენოთ: ასიასის „ეთნიკოსთან" 1:7, ნიქოზიის „აპოელთან" 0:5, ახნასის „ეთნიკოსთან" 0:3, ლიმასოლის „აპოლონთან" 1:8, ლარნაკას „ალკისთან" 0:4 და კატოკოპიასის „დოქსასთან" 0:5...

**სოლომონ გულისაშვილი**



შოთა არველაძე

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:3 | 90 | | 13 | 3 | 9 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:3 | 90 | | 12 | 2 | 9 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:3 | 69 | შეცვალეს | 10 | 1 | 9 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:3 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 9 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | შტუტგარტი 0:3 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 9 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | ლევერკუზენი 1:2 | 0 | ტრავმირებულია | 3 | 0 | 17 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | ალემანია 1:2 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | საუთჰემპტონი 1:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 7 | 0 | 17 |
| 3 | გენკი (11) | | | | | | | 1:1 | 01.12 | | 5:0 | 4:2 | 4:2 | | 16.12 | | | 5:1 | 5:1 | 12 | 7 | 4 | 1 | 33:15 | 25 | 5 | 1 | 0 | 24:7 | 16 | 2 | 3 | 1 | 9:8 | 9 |
| 4 | ლოკერენი (4) | 0:1 | 0:1 | 19.12 | | | 3:2 | | | 1:0 | | | | 2:1 | | | 4:0 | 08.12 | : | 12 | 7 | 1 | 4 | 19:12 | 22 | 4 | 0 | 2 | 10:5 | 12 | 3 | 1 | 2 | 9:7 | 10 |
| 5 | ანდერლეხტი ბრიუსელი (1) | 2:0 | | 3:3 | 15.12 | | | | | 2:1 | | | 01.12 | | | 3:0 | 2:2 | | | 11 | 5 | 4 | 2 | 23:14 | 19 | 3 | 2 | 0 | 12:6 | 11 | 2 | 2 | 2 | 11:8 | 8 |
| 6 | ჟერმინალ ბეერსხოტი ანტვერპენი (6) | : | 1:2 | 1:1 | | 1:1 | | | | | 4:0 | 2:0 | 08.12 | | | 15.12 | | 8:2 | | 13 | 5 | 4 | 4 | 28:20 | 19 | 4 | 2 | 1 | 19:6 | 14 | 1 | 2 | 3 | 9:14 | 5 |
| 7 | სტანდარდი ლიეჟი (3) | | | | 0:2 | 1:0 | 3:0 | | | | 08.12 | : | 19.12 | 2:1 | | 4:2 | 2:1 | | | 11 | 5 | 4 | 2 | 16:12 | 19 | 5 | 0 | 1 | 12:6 | 15 | 0 | 4 | 1 | 4:6 | 4 |
| 8 | სენტ ტრუიდენი (13) | | | | 1:0 | : | 2:2 | 1:1 | | | 19.12 | 08.12 | 4:3 | 1:2 | | 3:1 | | | | 12 | 5 | 3 | 4 | 21:18 | 18 | 3 | 2 | 1 | 12:9 | 11 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| 9 | შარლერუა (9) | 08.12 | : | 0:3 | | | 19.12 | 0:0 | 0:3 | | | | | | 4:2 | | | 2:1 | 1:1 | 12 | 5 | 2 | 5 | 12:16 | 17 | 2 | 2 | 2 | 7:10 | 8 | 3 | 0 | 3 | 5:6 | 9 |
| 10 | ეენდრახტ აალსტი (16) | 1:3 | | | 2:1 | 1:5 | | | | 02.12 | | 0:2 | | 1:0 | | 0:0 | 16.12 | | | 12 | 5 | 1 | 6 | 13:24 | 16 | 2 | 1 | 3 | 5:11 | 7 | 3 | 0 | 3 | 8:13 | 9 |
| 11 | ლიერსი ლიერი (10) | 1:2 | 0:2 | | 1:1 | 2:0 | | | | 1:2 | | | | 15.12 | | 2:1 | 01.12 | | | 12 | 3 | 4 | 5 | 14:17 | 13 | 2 | 1 | 3 | 7:8 | 7 | 1 | 3 | 2 | 7:9 | 6 |
| 12 | ლომელი (დ) | | | | 3:4 | 2:2 | | | | 15.12 | : | 2:2 | | 3:2 | | 2:2 | 1:0 | | | 12 | 3 | 4 | 5 | 21:29 | 13 | 2 | 3 | 1 | 13:12 | 9 | 1 | 1 | 4 | 8:17 | 4 |
| 13 | ექსელსიორ მუსკრონი (7) | 0:1 | 19.12 | 08.12 | | | 3:1 | | | 0:1 | | | | | 1:2 | | 4:1 | : | 3:0 | 12 | 4 | 0 | 8 | 18:17 | 12 | 3 | 0 | 3 | 11:6 | 9 | 1 | 0 | 5 | 7:11 | 3 |
| 14 | ვესტერლო (8) | | | | 0:1 | 09.12 | 1:2 | | 0:0 | | 0:1 | 19.12 | 6:0 | | | : | | | | 11 | 3 | 2 | 6 | 16:18 | 11 | 1 | 1 | 3 | 7:4 | 4 | 2 | 1 | 3 | 9:14 | 7 |
| 15 | ანტვერპენი (12) | 2:3 | 1:2 | 3:0 | 01.12 | | | | | 2:0 | | | | 2:1 | | | 1:2 | 19.12 | | 13 | 3 | 2 | 8 | 17:24 | 11 | 3 | 0 | 3 | 11:8 | 9 | 0 | 2 | 5 | 6:16 | 2 |
| 16 | მოლენბეკი ბრიუსელი (დ) | 19.12 | 08.12 | : | | | 2:2 | | 1:2 | 0:1 | | | | | 0:1 | | | 1:0 | 3:0 | 12 | 3 | 2 | 7 | 13:20 | 11 | 2 | 1 | 3 | 7:6 | 7 | 1 | 1 | 4 | 6:14 | 4 |
| 17 | ლა ლუვიე (15) | | | | | 1:3 | | 3:1 | 1:0 | | 1:3 | 0:0 | 0:0 | | 01.12 | | | | 16.12 | 12 | 2 | 2 | 8 | 12:27 | 8 | 2 | 2 | 2 | 6:7 | 8 | 0 | 0 | 6 | 6:20 | 0 |
| 18 | ბევერენი (14) | | | | | 19.12 | 01.12 | 1:1 | 3:2 | | 0:4 | 1:1 | 0:2 | | 1:1 | 08.12 | | | | 12 | 1 | 4 | 7 | 10:31 | 7 | 1 | 3 | 2 | 6:11 | 6 | 0 | 1 | 5 | 4:20 | 1 |

# ბელგია. მეორე დივიზიონი. 2001-02. XIV ტური

| თარიღი | დრო | № | | | | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | ფს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 24.11.01 | 22.30 | 250 | 0:3მონსი; ფლაანდერენი0:1; 1:1ჰეუსდენი **გეელი** | V | **ვიზე** ტიენენი1:0; 2:3სტრომბეეკი; ვირტონი1:1 | 1,85 | 3,1 | 3,8 | | | | - | - | - | - |
| 24.11.01 | 22.30 | 251 | 0:0ინგელმუნსტერი; დენდერლეეუ5:1; 0:1სერკლი **დესელი** | V | **ჰეუსდენი** ფლაანდერენი5:0; მეხელენი1:1; 2:1ინგელმუნსტერი | 1,8 | 3,0 | 4,2 | | | | - | 2:1 1:1 | - | - |
| 24.11.01 | 22.30 | 252 | 1:1სერკლი; რუზელარე0:0; 1:1პატრო **ლიეჟი** | V | **დენდერლეეუ** რონსი1:2; 1:5დესელი; ინგელმუნსტერი1:0 | 1,85 | 3,1 | 3,8 | | | | - | 1:1 2:1 | - | - |
| 24.11.01 | 23.00 | 253 | 0:0რონსი; 1:1რუზელარე; პატრო1:0 **დაინცე** | V | **სერკლი** ლიეჟი1:1; 1:1რონსი; დესელი1:0 | 1,95 | 3,1 | 3,5 | | | | - | 0:2 2:4 | 4:1 0:1 | - |
| 24.11.01 | 23.00 | 254 | 1:1პატრო; მეხელენი0:3; 1:1ვიზე **ვირტონი** | V | **რუზელარე** დაინცე1:1; 0:0ლიეჟი; რონსი3:0 | 1,95 | 3,1 | 3,5 | | | | - | - | - | - |
| 25.11.01 | 17.30 | 255 | 1:1მეხელენი; ვიზე3:2; 1:1მონსი **სტრომბეეკი** | V | **პატრო** ვირტონი1:1; 0:1დაინცე; ლიეჟი1:1 | 1,35 | 3,8 | 7,0 | 1,95 | 3,2 | 2,4 | - | 2:2 2:4 | - | - |
| 25.11.01 | 17.30 | 257 | დაინცე0:0; 2:1დენდერლეეუ; სერკლი1:1 **რონსი** | V | **ინგელმუნსტერი** დესელი0:0; ჰეუსდენი1:2; 0:1დენდერლეეუ | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | - | - | - | - |
| 25.11.01 | 18.00 | 258 | 0:1ვიზე; მონსი1:1; 0:2ფლაანდერენი **ტიენენი** | V | **მეხელენი** სტრომბეეკი1:1; 1:1ჰეუსდენი; 3:0ვირტონი | 4,2 | 3,3 | 1,7 | | | | - | - | - | - |
| 25.11.01 | 18.00 | 259 | 0:5ჰეუსდენი; 1:0გეელი; ტიენენი2:0 **ფლაანდერენი** | V | **მონსი** გეელი3:0; 1:1ტიენენი; სტრომბეეკი1:1 | 2,0 | 3,1 | 3,4 | | | | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | მეხელენი (დ) | | 3:0 | | | | 1:1 | 3:1 | 2:0 | | | | | 2:0 | 2:0 | | | | 1:0 | 14 | 11 | 3 | 0 | 27:4 | 36 | 6 | 1 | 0 | 14:2 | 19 | 5 | 2 | 0 | 13:2 | 17 |
| 2 | ინგელმუნსტერი (6) | | | 0:0 | | 2:1 | | | 1:2 | | | | | 2:0 | | | 3:0 | 3:0 | 2:0 | 13 | 8 | 1 | 4 | 22:11 | 25 | 5 | 1 | 1 | 13:3 | 16 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| 3 | დესელ სპორტი (12) | 0:1 | | | 2:2 | | 5:2 | | : | 5:1 | | | 3:0 | | | 0:2 | | | | 13 | 6 | 4 | 3 | 25:12 | 22 | 3 | 1 | 2 | 15:8 | 10 | 3 | 3 | 1 | 10:4 | 12 |
| 4 | მონსი (4) | | 2:3 | | | | 1:1 | 3:0 | | | | | | 1:0 | 4:2 | 3:0 | | | 3:0 | 13 | 6 | 4 | 3 | 23:13 | 22 | 5 | 1 | 1 | 17:6 | 16 | 1 | 3 | 2 | 6:7 | 6 |
| 5 | ზიულ ვესტ ფლანდერენი (დ) | | | 1:1 | : | | | | | 2:1 | 1:0 | 2:0 | 1:2 | | | | | 2:0 | | 13 | 6 | 4 | 3 | 17:16 | 22 | 4 | 1 | 1 | 9:4 | 13 | 2 | 3 | 2 | 8:12 | 9 |
| 6 | სტრომბეეკი (10) | | 1:0 | | | 1:2 | | 3:1 | | | | | | | 2:2 | | 3:2 | 3:1 | : | 13 | 6 | 3 | 4 | 21:20 | 21 | 4 | 1 | 1 | 13:8 | 13 | 2 | 2 | 3 | 8:12 | 8 |
| 7 | რონსი (დ) | | : | | | 2:2 | | | | | 1:0 | | | 1:1 | 0:0 | | 4:2 | 0:0 | 4:0 | 14 | 5 | 5 | 4 | 20:19 | 20 | 3 | 4 | 0 | 12:5 | 13 | 2 | 1 | 4 | 8:14 | 7 |
| 8 | ჰეუსდენ ზოლდერი (11) | 1:1 | | | | 5:0 | 0:2 | | | | 1:1 | 2:1 | | | 4:1 | 1:1 | | 0:3 | | 14 | 4 | 6 | 4 | 18:16 | 18 | 3 | 3 | 2 | 14:10 | 12 | 1 | 3 | 2 | 4:6 | 6 |
| 9 | დენდერლეეუ (9) | 0:2 | 1:0 | | 2:1 | | | 1:2 | 0:0 | | | | 1:0 | | | 1:0 | | | | 13 | 5 | 3 | 5 | 12:17 | 18 | 4 | 1 | 2 | 6:5 | 13 | 1 | 2 | 3 | 6:12 | 5 |
| 10 | ექსელსიორ ვირტონი (დ) | 0:3 | | 0:2 | 1:1 | | 1:2 | | | | | 1:0 | : | | | 4:1 | | | | 13 | 4 | 4 | 5 | 14:14 | 16 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 | 2 | 3 | 2 | 7:5 | 9 |
| 11 | ლიეჟი (16) | 1:3 | | | 1:0 | | 1:0 | | | : | | | 0:0 | | 2:1 | : | | | | 12 | 4 | 4 | 4 | 11:12 | 16 | 3 | 1 | 1 | 5:4 | 10 | 1 | 3 | 3 | 6:8 | 6 |
| 12 | რუზელარე (8) | 0:0 | 1:3 | | 0:1 | | | 3:0 | 0:0 | | | | | 1:1 | 1:1 | | | | | 13 | 3 | 5 | 5 | 14:17 | 14 | 1 | 4 | 2 | 6:6 | 7 | 2 | 1 | 3 | 8:11 | 7 |
| 13 | სერკლ ბრიუგე (7) | | | 1:0 | | 0:0 | | | 2:2 | 2:0 | | 1:1 | | | | | 1:2 | | 2:0 | 13 | 3 | 5 | 5 | 11:14 | 14 | 3 | 3 | 1 | 9:5 | 12 | 0 | 2 | 4 | 2:9 | 2 |
| 14 | დაინცე (15) | | | | | 2:2 | | 0:0 | | | 0:2 | | | : | | | 2:0 | 3:0 | 1:0 | 14 | 3 | 5 | 6 | 15:21 | 14 | 3 | 2 | 1 | 8:4 | 11 | 0 | 3 | 5 | 7:17 | 3 |
| 15 | ვერბროედერინგ გეელი (5) | | 0:3 | | | 0:1 | 3:0 | 1:4 | | | | | | 2:0 | 2:0 | | : | | | 12 | 4 | 1 | 7 | 13:20 | 13 | 3 | 0 | 3 | 8:8 | 9 | 1 | 1 | 4 | 5:12 | 4 |
| 16 | ვიზე (დ) | 0:3 | | 1:1 | | | | | | 1:1 | 1:1 | 0:2 | 2:3 | | | | | 1:0 | | 13 | 3 | 3 | 7 | 16:26 | 12 | 1 | 3 | 3 | 6:11 | 6 | 2 | 0 | 4 | 10:15 | 6 |
| 17 | ტიენენი (13) | : | | 1:4 | 1:1 | | | | | 2:2 | 0:2 | 1:1 | | | | 3:1 | | | | 13 | 2 | 4 | 7 | 12:23 | 10 | 1 | 3 | 2 | 8:11 | 6 | 1 | 1 | 5 | 4:12 | 4 |
| 18 | პატრო მაასმეხელენი (14) | | | 0:2 | | | | | 1:0 | 0:1 | 1:1 | 1:1 | 4:3 | | | | 2:4 | | | 13 | 2 | 2 | 9 | 9:25 | 8 | 2 | 2 | 3 | 9:12 | 8 | 0 | 0 | 6 | 0:13 | 0 |

## თურქეთი. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. XIII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000 | 1999 | 1998 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 23.11.01 | 22.00 | 285 | 1:3მალათია; ანთალია0:0; 0:0რიზე **გიოზთეპე** V **ფენერბაჰჩე** გენჩლერბირლიგი2:0; 2:0გაზიანთეპი; 3:1მალათია | 3,6 | 3,1 | 1,9 | | | | : | - | 0:0 3:2 | - |
| 24.11.01 | 15.30 | 286 | 1:5გალათასარაი; იოზგათი1:1; 1:3კოჯაელი **დიარბაქირი** V **დენიზლი** ბურსა0:0; 2:2ტრაბზონი; ბეშიქთაში3:3 | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | | : | | | |
| 24.11.01 | 15.30 | 287 | 0:2კოჯაელი; ანკარაგიუჯიუ1:2; გაზიანთეპი0:1 **ისთანბული** V **იოზგათი** სამსუნი2:0; 1:1დიარბაქირი; ბურსა3:4 | 1,5 | 3,5 | 6,0 | | | | : | 0:3 0:4 | | |
| 24.11.01 | 15.30 | 288 | 1:1რიზე; დენიზლი2:2; 1:3გალათასარაი **ტრაბზონი** V **ანთალია** ბეშიქთაში1:4; 0:0გიოზთეპე; გენჩლერბირლიგი2:2 | 1,6 | 3,3 | 5,3 | | | | : | 4:0 3:2 | 2:0 2:0 | 1:0 2:3 |
| 24.11.01 | 21.00 | 289 | დიარბაქირი5:1; 0:5ბურსა; ტრაბზონი3:1 **გალათასარაი** V **სამსუნი** 0:2იოზგათი; 1:0კოჯაელი; 0:2ანკარაგიუჯიუ | 1,25 | 5,0 | 9,0 | 1,7 | 3,2 | 3,2 | : | 1:2 1:1 | 1:0 3:1 | 3:1 3:0 |
| 25.11.01 | 15.30 | 291 | 0:0დენიზლი; გალათასარაი5:0; 4:3იოზგათი **ბურსა** V **რიზე** ტრაბზონი1:1; 1:2ბეშიქთაში; გიოზთეპე0:0 | 1,6 | 3,3 | 5,3 | | | | - | 2:1 1:3 | - | - |
| 25.11.01 | 15.30 | 292 | გაზიანთეპი1:1; 2:1ისთანბული; სამსუნი2:0 **ანკარაგიუჯიუ** V **კოჯაელი** ისთანბული2:0; სამსუნი0:1; დიარბაქირი3:1 | 2,3 | 3,0 | 2,9 | | | | - | 1:0 0:4 | 3:2 1:4 | 0:2 1:0 |
| 25.11.01 | 15.30 | 293 | 1:1ანკარაგიუჯიუ; ფენერბაჰჩე0:2; 1:0ისთანბული **გაზიანთეპი** V **გენჩლერბირლიგი** 0:2ფენერბაჰჩე; მალათია1:2; 2:2ანთალია | 1,7 | 3,1 | 4,7 | | | | - | 0:2 1:0 | 1:0 2:1 | 2:2 0:3 |
| 25.11.01 | 21.00 | 294 | 4:1ანთალია; რიზე2:1; 3:3დენიზლი **ბეშიქთაში** V **მალათია** გიოზთეპე3:1; 2:1გენჩლერბირლიგი; ფენერბაჰჩე1:3 | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1,7 | 3,2 | 3,2 | - | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | გალათასარაი სტამბოლი (2) | | 2:0 | 02.12 | | 16.12 | | | 4:1 | 3:1 | 1:0 | | : | 2:1 | | | | 5:1 | | 12 | 9 | 2 | 1 | 31:16 | 29 | 6 | 0 | 0 | 17:4 | 18 | 3 | 2 | 1 | 14:12 | 11 |
| 2 | ფენერბაჰჩე სტამბოლი (1) | | | | 02.12 | | 16.12 | | | | 2:1 | 4:1 | 3:0 | 3:2 | 1:0 | 2:0 | | | | 12 | 9 | 1 | 2 | 25:12 | 28 | 6 | 0 | 0 | 15:4 | 18 | 3 | 1 | 2 | 10:8 | 10 |
| 3 | ისთანბულსპორი სტამბოლი (12) | | 1:0 | | | | | 0:1 | 0:0 | 2:1 | 09.12 | 1:2 | 0:1 | 23.12 | : | | | 1:0 | 1:0 | 12 | 7 | 1 | 4 | 10:8 | 22 | 4 | 1 | 3 | 6:5 | 13 | 3 | 0 | 1 | 4:3 | 9 |
| 4 | ბეშიქთაში სტამბოლი (4) | 2:2 | | 0:1 | | 4:2 | | 23.12 | | 1:2 | | | | | | 09.12 | 2:1 | 4:0 | : | 12 | 6 | 3 | 3 | 30:20 | 21 | 3 | 1 | 2 | 13:8 | 10 | 3 | 2 | 1 | 17:12 | 11 |
| 5 | კოჯაელისპორი იზმითი (13) | | 3:3 | 2:0 | | | | 02.12 | 2:0 | 1:0 | 23.12 | | 0:1 | 3:1 | | | | 3:1 | 2:0 | 12 | 6 | 3 | 3 | 21:14 | 21 | 6 | 1 | 1 | 16:6 | 19 | 0 | 2 | 2 | 5:8 | 2 |
| 6 | ბურსასპორი ბურსა (14) | 5:0 | | 1:2 | 2:2 | 2:1 | | 0:2 | | | | | | | | 23.12 | : | 2:1 | 09.12 | 12 | 6 | 2 | 4 | 19:19 | 20 | 3 | 1 | 2 | 12:8 | 10 | 3 | 1 | 2 | 7:11 | 10 |
| 7 | გაზიანთეპსპორი გაზიანთეპი (3) | 1:1 | 0:2 | | | | | | | | 0:0 | | 1:0 | 2:3 | 16.12 | : | 0:2 | | 1:0 | 12 | 5 | 3 | 4 | 13:13 | 18 | 2 | 2 | 3 | 5:8 | 8 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 |
| 8 | გიოზთეპე იზმირი (ღ) | | : | | 16.12 | | 2:0 | 09.12 | | | 1:1 | 2:1 | 2:1 | 0:0 | 0:0 | | | | | 12 | 4 | 5 | 3 | 11:13 | 17 | 3 | 3 | 0 | 7:3 | 12 | 1 | 2 | 3 | 4:10 | 5 |
| 9 | ტრაბზონსპორი ტრაპიზონი (5) | | 09.12 | | | | 5:0 | 2:1 | 23.12 | | 2:2 | 2:2 | 1:2 | : | 2:0 | | | | | 12 | 4 | 3 | 5 | 20:18 | 15 | 3 | 2 | 1 | 14:7 | 11 | 1 | 1 | 4 | 6:11 | 4 |
| 10 | დენიზლისპორი დენიზლი (11) | | | | 3:3 | | 0:0 | | | | | 16.12 | 02.12 | | 5:0 | 4:1 | 1:2 | | 4:1 | 12 | 3 | 5 | 4 | 21:14 | 14 | 3 | 2 | 1 | 17:7 | 11 | 0 | 3 | 3 | 4:7 | 3 |
| 11 | ანკარაგიუჯიუ ანკარა (6) | 09.12 | | | 3:4 | : | 0:1 | 1:1 | | | | | 2:0 | | | 2:5 | 23.12 | | 6:0 | 12 | 4 | 2 | 6 | 29:23 | 14 | 2 | 1 | 3 | 14:11 | 7 | 2 | 1 | 3 | 15:12 | 7 |
| 12 | სამსუნსპორი სამსუნი (8) | | | | 2:1 | | 1:2 | | | | | | | | | | 09.12 | | 23.12 | 12 | 4 | 2 | 6 | 11:17 | 14 | 1 | 0 | 1 | 3:3 | 3 | 3 | 2 | 5 | 8:14 | 11 |
| 13 | ანთალიასპორი ანთალია (15) | | | | 1:4 | | 02.12 | | | | 1:0 | 1:8 | 16.12 | | 3:3 | 2:2 | | | 2:1 | 12 | 3 | 4 | 5 | 18:29 | 13 | 2 | 2 | 2 | 10:18 | 8 | 1 | 2 | 3 | 8:11 | 5 |
| 14 | იიმპას იოზგატსპორი იოზგათი (7) | 23.12 | | | 1:3 | 09.12 | 3:4 | | | | | 02.12 | 2:0 | | | 0:2 | 2:1 | | 3:0 | 12 | 3 | 3 | 6 | 15:22 | 12 | 3 | 0 | 3 | 11:10 | 9 | 0 | 3 | 3 | 4:12 | 3 |
| 15 | გენჩლერბირლიგი ანკარა (10) | 1:3 | | 0:1 | | 2:2 | | | 02.12 | 16.12 | | | 2:2 | | | | 2:2 | 4:4 | 1:2 | 12 | 2 | 5 | 5 | 22:26 | 11 | 0 | 4 | 3 | 12:16 | 4 | 2 | 1 | 2 | 10:10 | 7 |
| 16 | რიზესპორი რიზე (9) | 3:6 | 1:2 | 16.12 | | 0:0 | | | 0:0 | 1:1 | | | | 1:1 | | | | 02.12 | | 12 | 2 | 5 | 5 | 15:19 | 11 | 0 | 4 | 2 | 6:10 | 4 | 2 | 1 | 3 | 9:9 | 7 |
| 17 | დიარბაქირსპორი დიარბაქირი (ღ) | | 23.12 | | | | | 2:3 | 1:2 | 3:1 | : | 2:1 | 1:1 | 09.12 | 1:1 | | | | | 12 | 2 | 3 | 7 | 17:28 | 9 | 2 | 2 | 2 | 10:9 | 8 | 0 | 1 | 5 | 7:19 | 1 |
| 18 | მალათიასპორი მალათია (ღ) | 0:2 | 1:3 | | | | | | 3:1 | 02.12 | | | | | | | 2:1 | 16.12 | | 12 | 3 | 0 | 9 | 10:27 | 9 | 2 | 0 | 2 | 6:7 | 6 | 1 | 0 | 7 | 4:20 | 3 |

## დანია. უმაღლესი დივიზიონი. 2001-02. XVII ტური

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 25.11.01 | 18.00 | 336 | 0:2სილკებორგი; ესბიერგი0:0; ორჰუსი1:4 **ოლბორგი** V **ლიუნგბიუ** აკადემისკი0:1; 1:1ვიბორგი; 1:4კოპენჰაგენი | 1,55 | 3,4 | 5,6 | | | | 2:1 | 1:2 0:0 2:0 | 0:2 2:3 1:1 | 2:2 1:1 3:3 |
| 25.11.01 | 18.00 | 337 | 2:0ესბიერგი; ვაილე6:1; 3:1მიდტიულანდი **ბრონდბიუ** V **სილკებორგი** ოლბორგი2:0; 0:1აკადემისკი; 1:2ოდენსე | 1,2 | 5,0 | 9,0 | 1,7 | 3,2 | 3,2 | 4:0 | 7:1 1:0 1:0 | 1:0 0:0 1:1 | 3:0 2:1 3:0 |
| 25.11.01 | 18.00 | 339 | 1:2ოდენსე; ორჰუსი2:0; ბრონდბიუ1:3 **მიდტიულანდი** V **ვაილე** ორჰუსი0:3; 1:6ბრონდბიუ; ვიბორგი1:2 | 1,7 | 3,2 | 4,4 | | | | 1:1 | - | - | - |
| 25.11.01 | 18.00 | 340 | 1:2კოპენჰაგენი; ლიუნგბიუ1:1; 2:1ვაილე **ვიბორგი** V **ოდენსე** მიდტიულანდი2:1; კოპენჰაგენი1:1; სილკებორგი2:1 | 2,3 | 3,1 | 2,8 | | | | 2:2 | 1:0 1:2 1:1 | 1:1 1:0 2:4 | - |
| 25.11.01 | 20.05 | 341 | 1:0ლიუნგბიუ; სილკებორგი1:0; ვაილე4:0 **აკადემისკი** V **კოპენჰაგენი** ვიბორგი2:1; 1:1ოდენსე; ლიუნგბიუ4:1 | 2,4 | 3,1 | 2,6 | | | | 2:0 | 0:1 2:2 0:0 | 1:2 2:1 0:2 | 4:1 0:0 0:1 |
| 26.11.01 | 22.00 | 342 | 3:0ვაილე; 0:2მიდტიულანდი; 4:1ოლბორგი **ორჰუსი** V **ესბიერგი** ბრონდბიუ0:2; 0:0ოლბორგი; 1:0ვიბორგი | 2,5 | 3,2 | 2,4 | | | | 1:4 | - | 1:0 1:0 4:3 | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ბრონდბიუ (2) | | | 09.12 | 0:0 | | 2:0 | | 0:0 | 5:0 | | 6:1 | : | 16 | 12 | 3 | 1 | 42:8 | 39 | 6 | 2 | 0 | 21:2 | 20 | 6 | 1 | 1 | 21:6 | 19 |
| 2 | აკადემისკი კოპენჰაგენი (10) | 1:3 | | : | | 2:0 | | 03.03 | 09.12 | 0:0 | 3:1 | 4:0 | 1:0 | 16 | 8 | 6 | 2 | 26:14 | 30 | 4 | 1 | 2 | 12:6 | 13 | 4 | 5 | 0 | 14:8 | 17 |
| 3 | კოპენჰაგენი (1) | | 0:2 | | 02.12 | | 1:1 | 1:1 | 2:1 | 03.03 | 4:1 | 4:1 | | 16 | 8 | 5 | 3 | 24:14 | 29 | 6 | 2 | 1 | 18:8 | 20 | 2 | 3 | 2 | 6:6 | 9 |
| 4 | ოლბორგი (5) | 1:3 | 0:2 | 1:1 | | 0:0 | 09.12 | 2:1 | | 1:4 | : | | | 16 | 8 | 3 | 5 | 24:24 | 27 | 3 | 2 | 3 | 9:13 | 11 | 5 | 1 | 2 | 15:11 | 16 |
| 5 | ესბიერგი (ღ) | 0:2 | 1:2 | 2:1 | | | 2:0 | | | 4:1 | | 02.12 | | 16 | 8 | 2 | 6 | 22:23 | 26 | 4 | 1 | 3 | 12:14 | 13 | 4 | 1 | 3 | 10:9 | 13 |
| 6 | ოდენსე (7) | 03.03 | 02.12 | 1:1 | 0:2 | | | 2:1 | | | | 5:1 | 2:1 | 16 | 6 | 5 | 5 | 24:24 | 23 | 4 | 2 | 2 | 15:11 | 14 | 2 | 3 | 3 | 9:13 | 9 |
| 7 | მიდტიულანდი (4) | 1:3 | 2:2 | 0:0 | | 09.12 | | | 1:1 | 2:0 | 0:0 | : | | 16 | 5 | 7 | 4 | 19:15 | 22 | 1 | 5 | 2 | 7:9 | 8 | 4 | 2 | 2 | 12:6 | 14 |
| 8 | ვიბორგი (6) | | | | 03.03 | 0:1 | : | 02.12 | | 0:0 | 1:1 | 1:2 | 2:0 | 16 | 3 | 7 | 6 | 18:21 | 16 | 1 | 3 | 4 | 8:11 | 6 | 2 | 4 | 2 | 10:10 | 10 |
| 9 | ორჰუსი (8) | 1:2 | 1:1 | | 1:3 | : | 0:1 | 0:1 | | | 09.12 | 3:0 | 2:2 | 16 | 3 | 5 | 8 | 17:26 | 14 | 1 | 2 | 4 | 8:10 | 5 | 2 | 3 | 4 | 9:16 | 9 |
| 10 | ლიუნგბიუ (9) | 02.12 | 0:1 | | | 2:0 | 2:3 | 0:4 | 2:2 | 1:1 | | 03.03 | | 16 | 2 | 7 | 7 | 16:26 | 13 | 2 | 3 | 3 | 10:13 | 9 | 0 | 4 | 4 | 6:13 | 4 |
| 11 | ვაილე (ღ) | | 1:1 | | 4:2 | | | 1:1 | 1:2 | 0:3 | 2:2 | | 09.12 | 16 | 3 | 4 | 9 | 20:40 | 13 | 2 | 3 | 3 | 13:14 | 9 | 1 | 1 | 6 | 7:26 | 4 |
| 12 | სილკებორგი სილკებორგი (3) | - | 1:1 | 0:1 | 2:0 | 03.03 | | 0:1 | 1:1 | 02.12 | 0:0 | | | 16 | 1 | 4 | 11 | 12:29 | 7 | 1 | 3 | 5 | 8:12 | 6 | 0 | 1 | 6 | 4:17 | 1 |

## ავსტრია. ბუნდესლიგა. 2001-02. გადადებული მატჩები

| თარიღი | დრო | № | მატჩი | ფსონი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.11.01 | 22.00 | 315 | ზალცბურგი1:2; 1:1გრაცერი; 0:0ტიროლი **შტურმი** V **ადმირა** 0:0აუსტრია; რიდი0:2; 0:3აუსტრია | 1,2 | 5,6 | 10,0 | 1,5 | 3,5 | 3,5 | 2:1 : : | 1:0 5:0 3:1 2:2 | - | - |
| 21.11.01 | 22.30 | 317 | კერნტენი0:1; 3:3ზალცბურგი; კერნტენი2:0 **ბრეგენცი** V **გრაცერი** 1:0ტიროლი; შტურმი1:1; რაპიდი1:0 | 2,5 | 3,0 | 2,5 | | | | 0:0 : : | 2:1 0:2 1:0 2:2 | 0:3 0:1 3:1 4:0 | - |
| 21.11.01 | 22.30 | 318 | 1:0ბრეგენცი; 0:2აუსტრია; 0:2ბრეგენცი **კერნტენი** V **ზალცბურგი** 2:1შტურმი; ბრეგენცი3:3; რიდი2:0 | 2,2 | 3,1 | 3,0 | | | | 2:1 : : | - | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | ტიროლი ინსბრუკი (1) | | 01.05 | 0:1 | 09.05 | 23.03 | 09.03 | 13.04 | 23.02 | 01.12 | 02.04 | 17 | 13 | 3 | 1 | 38:2 | 42 | 7 | 2 | 1 | 27:1 | 23 | 6 | 1 | 0 | 11:1 | 19 |
| 2 | შტურმი გრაცი (4) | 02.03 | | 01.12 | 02.04 | 1:2 | 23.03 | 27.04 | 04.05 | 16.03 | 13.04 | 17 | 9 | 5 | 3 | 29:14 | 32 | 6 | 1 | 1 | 15:4 | 19 | 3 | 4 | 2 | 14:10 | 13 |
| 3 | გრაცერი გრაცი (3) | 06.04 | 20.04 | | 01.05 | 09.03 | 23.02 | : | : | 30.03 | 09.05 | 18 | 9 | 4 | 5 | 34:25 | 31 | 5 | 3 | 1 | 18:6 | 18 | 4 | 1 | 4 | 16:19 | 13 |
| 4 | კერნტენი (ღ) | 16.03 | : | 02.03 | | : | 20.04 | 30.03 | 06.04 | 04.05 | 27.04 | 17 | 8 | 3 | 6 | 18:22 | 27 | 4 | 2 | 1 | 12:5 | 14 | 4 | 1 | 5 | 6:17 | 13 |
| 5 | ზალცბურგი ზალცბურგი (6) | 30.03 | 06.04 | 04.05 | 13.04 | | : | 02.03 | 16.03 | 27.04 | 01.12 | 18 | 7 | 5 | 6 | 20:20 | 26 | 3 | 3 | 3 | 10:9 | 12 | 4 | 2 | 3 | 10:11 | 14 |
| 6 | აუსტრია ვენა (5) | 04.05 | 30.03 | 27.04 | 01.12 | 02.04 | | 16.03 | 02.03 | 13.04 | 0:0 | 18 | 5 | 6 | 7 | 23:22 | 21 | 4 | 3 | 3 | 14:10 | 15 | 1 | 3 | 4 | 9:12 | 6 |
| 7 | რიდი ინკრაისის რიდი (7) | : | 23.02 | 02.04 | 23.03 | 01.05 | 09.05 | | 20.04 | 2:0 | 09.03 | 19 | 5 | 6 | 8 | 25:30 | 21 | 2 | 4 | 4 | 15:17 | 10 | 3 | 2 | 4 | 10:13 | 11 |
| 8 | ბრეგენცი ბრეგენცი (8) | 27.04 | 09.03 | 13.04 | 0:1 | 09.05 | 01.05 | 01.12 | | 02.04 | 23.03 | 18 | 5 | 5 | 8 | 21:35 | 20 | 3 | 2 | 4 | 10:16 | 11 | 2 | 3 | 4 | 11:19 | 9 |
| 9 | რაპიდი ვენა (2) | 20.04 | 09.05 | 23.03 | 09.03 | 23.02 | : | 06.04 | : | | 01.05 | 18 | 5 | 3 | 10 | 15:25 | 18 | 4 | 0 | 4 | 9:10 | 12 | 1 | 3 | 6 | 6:15 | 6 |
| 10 | ადმირა მიოდლინგი (9) | : | : | 16.03 | 23.02 | 20.04 | 06.04 | 04.05 | 30.03 | 02.03 | | 18 | 2 | 2 | 14 | 10:38 | 8 | 0 | 1 | 8 | 6:19 | 1 | 2 | 1 | 6 | 4:19 | 7 |

## იტალია. სერია B. 2001-02. გადადებული მატჩები

| თარიღი | დრო | № | მატჩი | კოეფიციენტი | | | ჰანდიკაპი | | | მს | 2000-01 | 1999-00 | 1998-99 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 21.11.01 | 21.30 | 142 | 1:0ჩიტადელა; ნაპოლი0:1; 0:1პისტოიეზე **ბარი** V **სიენა** პისტოიეზე0:0; პალერმო1:1; 1:2კოზენცა | 1,65 | 3,0 | 5,6 | | | | : | - | - | - |
| 21.11.01 | 21.30 | 143 | 1:3მოდენა; 2:1კროტონე; 0:0კალიარი **რეჯინა** V **მესინა** ნაპოლი2:1; კოზენცა3:1; 1:2კომო | 1,65 | 3,0 | 5,6 | | | | : : | - | - | - |
| 21.11.01 | 21.30 | 144 | 1:1კროტონე; 0:1ჯენოა; 1:1ნაპოლი **სამპდორია** V **ჩიტადელა** ბარი0:1; კალიარი0:2; 1:0ანკონა | 1,65 | 3,0 | 5,6 | | | | : : | 2:2 2:0 | - | - |

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | კომო (ღ) | | | | | | 1:0 | 3:0 | 1:0 | | 2:1 | 08.01 | 1:0 | | 16.12 | 1:1 | : | | | 02.12 | | 12 | 8 | 1 | 3 | 17:12 | 25 | 5 | 1 | 0 | 9:2 | 16 | 3 | 0 | 3 | 8:10 | 9 |
| 2 | მოდენა (ღ) | 3:0 | | 0:1 | 09.12 | 3:1 | | | | | 23.12 | 4:1 | | 2:0 | | | | | 02.12 | 3:0 | 2:2 | 12 | 7 | 3 | 2 | 25:8 | 24 | 5 | 1 | 1 | 17:5 | 16 | 2 | 2 | 1 | 8:3 | 8 |
| 3 | ემპოლი ფლორენცია (6) | 09.12 | | | | | | 5:3 | 3:1 | | 2:0 | 1:0 | 23.12 | | | 1:0 | | 1:1 | | : | : | 12 | 7 | 3 | 2 | 20:11 | 24 | 5 | 1 | 0 | 13:5 | 16 | 2 | 2 | 2 | 7:6 | 8 |
| 4 | ჯენოა გენუა (12) | 2:1 | | 16.12 | | 08.01 | 2:2 | | 4:0 | | 3:0 | 0:2 | | | 1:0 | 02.12 | | | : | | | 12 | 6 | 3 | 3 | 16:9 | 21 | 4 | 1 | 1 | 12:5 | 13 | 2 | 2 | 2 | 4:4 | 8 |
| 5 | რეჯინა რეჯო კალაბრია (ღ) | 4:1 | | 1:0 | | | | 1:1 | 09.12 | | : | : | | 0:0 | 2:0 | | 23.12 | | | | | 11 | 6 | 3 | 2 | 14:7 | 21 | 3 | 2 | 0 | 8:2 | 11 | 3 | 1 | 2 | 6:5 | 10 |
| 6 | ვიჩენცა (ღ) | | 0:5 | 02.12 | | 16.12 | | | | 3:2 | | | 2:1 | : | | | 1:1 | 1:1 | 2:1 | 08.01 | | 12 | 5 | 5 | 2 | 19:19 | 20 | 3 | 2 | 1 | 9:11 | 11 | 2 | 3 | 1 | 10:8 | 9 |
| 7 | პალერმო (ღ) | | 2:1 | | : | | 09.12 | | | 23.12 | | | | | | : | 3:0 | 1:0 | 3:1 | | | 12 | 5 | 3 | 4 | 16:17 | 18 | 4 | 0 | 0 | 9:2 | 12 | 1 | 3 | 4 | 7:15 | 6 |
| 8 | სალერნიტანა სალერნო (15) | | 08.01 | | | | : | 16.12 | | 2:1 | 1:2 | | 2:0 | | 2:0 | 0:0 | | 2:1 | | 1:0 | | 12 | 5 | 2 | 5 | 16:18 | 17 | 5 | 1 | 1 | 10:4 | 16 | 0 | 1 | 4 | 6:14 | 1 |
| 9 | კოზენცა (8) | 1:4 | : | 08.01 | 2:1 | 0:1 | | | | | | | | 02.12 | | | 2:2 | | 2:1 | 16.12 | 2:1 | 12 | 5 | 2 | 5 | 18:21 | 17 | 3 | 1 | 2 | 9:10 | 10 | 2 | 1 | 3 | 9:11 | 7 |
| 10 | მესინა (ღ) | | | | | | 0:0 | 2:0 | | 3:1 | | 2:1 | 1:1 | 16.12 | 02.12 | 08.01 | 1:1 | | | | : | 11 | 4 | 4 | 3 | 12:12 | 16 | 3 | 3 | 0 | 9:4 | 12 | 1 | 1 | 3 | 3:8 | 4 |
| 11 | ნაპოლი ნეაპოლი (ღ) | | | | | | 0:0 | 02.12 | : | 09.12 | | | 1:2 | | 1:1 | 0:0 | | | | 0:0 | 23.12 | 12 | 4 | 4 | 4 | 11:12 | 16 | 0 | 4 | 1 | 2:3 | 4 | 4 | 0 | 3 | 9:9 | 12 |
| 12 | ანკონა (10) | | 16.12 | | 1:1 | 1:0 | | 08.01 | | 2:3 | | | | | : | 1:0 | | 02.12 | 0:1 | | 0:0 | 12 | 4 | 3 | 5 | 10:12 | 15 | 2 | 2 | 2 | 5:5 | 8 | 2 | 1 | 3 | 5:7 | 7 |
| 13 | ბარი (ღ) | : | | 2:2 | 1:0 | | | 2:0 | 23.12 | | | 0:1 | 09.12 | | | 0:2 | | | | | : | 11 | 4 | 2 | 5 | 8:12 | 14 | 2 | 1 | 2 | 5:5 | 7 | 2 | 1 | 3 | 3:7 | 7 |
| 14 | სამპდორია გენუა (5) | | : | 0:2 | | | 23.12 | 1:2 | | 1:1 | | | | 3:0 | | | 09.12 | 2:0 | : | | | 11 | 3 | 3 | 5 | 11:12 | 12 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 | 1 | 2 | 3 | 4:7 | 5 |
| 15 | კროტონე (9) | | 1:2 | | | 1:2 | 3:4 | | | : | | | | | 1:1 | | | 23.12 | 1:2 | 4:2 | 09.12 | 12 | 2 | 4 | 6 | 14:16 | 10 | 1 | 1 | 4 | 11:13 | 4 | 1 | 3 | 2 | 3:3 | 6 |
| 16 | ტერნანა ტერნი (7) | | 0:0 | 1:1 | 0:0 | | | | 02.12 | | | 1:2 | 0:1 | 08.01 | | 16.12 | | 0:1 | | | 3:0 | 12 | 1 | 7 | 4 | 10:13 | 10 | 1 | 3 | 3 | 5:5 | 6 | 0 | 4 | 1 | 5:8 | 4 |
| 17 | პისტოიეზე პისტოია (16) | 0:1 | 0:0 | | 0:1 | : | | | | 0:1 | : | 16.12 | | 1:0 | | | | | 08.01 | | | 12 | 2 | 4 | 6 | 5:10 | 10 | 1 | 1 | 3 | 1:3 | 4 | 1 | 3 | 3 | 4:7 | 6 |
| 18 | ჩიტადელა პადოვა (14) | 23.12 | | 2:1 | | 0:2 | | | 4:4 | | 09.12 | 1:2 | | 0:1 | | | : | | | 0:2 | | 11 | 3 | 1 | 7 | 13:20 | 10 | 1 | 1 | 4 | 7:12 | 4 | 2 | 0 | 3 | 6:8 | 6 |
| 19 | კალიარი (11) | | | | 23.12 | 0:0 | | 0:0 | | | 0:0 | | : | 1:2 | 0:2 | | 1:1 | 09.12 | | | 1:1 | 12 | 1 | 6 | 5 | 7:14 | 9 | 0 | 5 | 2 | 3:6 | 5 | 1 | 1 | 3 | 4:8 | 4 |
| 20 | სიენა (13) | 0:1 | | | 0:1 | 02.12 | 2:4 | 1:1 | 2:1 | | | | | | 08.01 | | | 0:0 | 16.12 | | | 11 | 1 | 5 | 5 | 9:16 | 8 | 1 | 2 | 3 | 5:8 | 5 | 0 | 3 | 2 | 4:8 | 3 |

საქართველოს უმაღლესი ლიგა პირველი 13 ჩემპიონატი ლიგა ეტაპი **16 ტური** მიმოხილვა

# ანტიდინამო 2001
# კეთილი ნების თამაშები
## გივი ფაცა და სხვა მოცა?

**სულ** ცოტა ხნის წინ იყო, თბილისი „დინამო“ სტუმრად რომ აგებდა 0:3, 0:4, 0:5, 1:5, 1:6... ჩვენი საკლუბო ფლაგმანის ასეთნაირად მგვემელი გუნდები „ტილბურგი“, „ბრაგა“, „ბოავიშტა“, „ტიროლი“ და „ლევერკუზენი“ იყვნენ. ახლა კი ბორისოვოს ბატეს და „ვიტ ჯორჯიას“ ჯერია. თბილისის „დინამო“ ისეთ ცარიელ ბოთლს დაამსგავსეს, რომელსაც ტარაშიც არავინ ჩაიბარებს.

კლუბის ახალმა მეპატრონეებმა „დინამოში“ მომუშავე ახალგაზრდა ხალხი პანღურით მოისროლეს და ამას საქმის ახალი ფურცლით დაწყება უწოდეს. გუნდის ავანჩავანი კი კვლავ ბურუსითაა მოცული. არავინაა ისეთი, ფეხბურთელებს მაინც რომ განუმარტოს — დღეს თუ ასეა, ხვალ ისე იქნებაო. ვერც ის შევიტყვეთ, კონკრეტულად ვინ განაგებს კლუბში კადრების შერჩევას. ცხადია, „დინამოს“ ძალიან ცოტა გულშემატკივარი შემორჩა, მაგრამ ამის ბოროტად გამოყენების უფლება არავის აქვს.

„ვიტ ჯორჯია“ და მისი დამრიგებელი სერგო გაბელაია კი მხოლოდ და მხოლოდ ქების ღირსნი არიან. შეუპოვრობა, მწყობრი, დაბალანსებული თამაში და ცალკეული ფეხბურთელების უპირატესობა მეტოქესთან ორთაბრძოლებში — გაბელაიას გუნდმა ყველა კომპონენტში დაჩაგრა გივი ნოდიას სამწყო. „დინამოს“ ვერც მატჩის არბიტრის მერაბ მალაღურაძის საეჭვო გადაწყვეტილებამ უშველა — ანგარიში 1:3 იყო, როცა ვიტალი დარასელიამ კუთხურიდან ჩააზვია ბურთი ვიტელთა კარში, მაგრამ ამ ეპიზოდში „ვიტ ჯორჯიას“ მეკარე მირზა მერლანი დინამოელებმა რომ ლამის გადათელეს, ესეც ფაქტია.

ერთი სიტყვით, ტურის ცენტრალურმა მატჩმა ისედაც აშკარა ამბები, კიდევ უფრო გამოაშკარავა. ვფიქრობთ, დროა, თბილისის „დინამოს“ ხელმძღვანელობამ კეთილი ინებოს და ნორმალური პრესკონფერენცია მოაწყოს.

ჩემპიონობის მაძიებელ გუნდებს შორის სხვაობა კვლავ სამი ქულაა. „ლოკომოტივმა“ ბევრი საგოლე მომენტი შექმნა მეტოქის კართან და მხოლოდ ორჯერ იხეირა. რკინიგზელთა გუნდი „ტორპედოს“ კუდში მისდევს, ჩემპიონს არხეინად ყოფნის საშუალებას არ აძლევს, მაგრამ ქუთაისელებიც თავისაზე დგანან.

რევაზ ძოძუაშვილის „ტორპედო“ ისევ ლიდერია. მხოლოდ ფოთის „კოლხეთს“ და ისიც FAIR PLAY-ის პრინციპების დარღვევით მისცა ნება დაემარცხებინა. მე-16 ტურში „ტორპედოს“ რუსთავის „გორდა“ კარგა ხანს გაუძალიანდა, მაგრამ მეორე ტაიმის შუაწელში გადატყდა და სამი უპასუხო ბურთით დაეჩაგვრინა ჩემპიონს.

მეოთხედან მესამე ადგილზე აინაცვლა „ბათუმმა“, რომელმაც მეცამეტე ეროვნულში პირველად გაიმარჯვა სტუმრად. ბათუმელთა მსხვერპლი „სამგურალი“ აღმოჩნდა. წყალტუბოელებმა ფაქტობრივად ვერაფერი დაუპირისპირეს მეტოქეს. ეგაა, რომ ვეტერანმა მამუკა ხუნდაძემ თავისი 97-ე გოლი გაიტანა ეროვნულ ჩემპიონატში და ასიანებში მალე უნდა შეაბიჯოს.

ავჭალას ბოლოადგილოსანი „მეტალურგი“ სტუმრობდა და სენსაციური ქულაც წაიღო „სინათლედან“, არადა, მოგებაც შეეძლო, რადგან „მერანმა“ თავისი ერთ-ერთი ცუდი მატჩი ითამაშა მეცამეტე ეროვნულში. საერთოდ, ოთარ გაბელიას გუნდი ერთობ არასტაბილურად თამაშობს, რაც მის ზეექვსეულში ადგილის შენარჩუნებას დიდი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს.

ლოგიკური შედეგი დაფიქსირდა „ფაზისზე“. ბოლნისელებს ფოთში ერთხელაც არ უხეირიათ და ვერც ამჯერად გატეხეს ნავსი. „სიონი“ მატჩის მიწურულსღა გამოცოცხლდა, ოდენ ერთი გოლით დაიარხეინა თავი და, ეგ იყო და ეგ. ისე, არც „კოლხეთი“ გამოდგა დიდი ხვითო, მაგრამ მდარე ბურთაობითაც მოუგრიხა კისერი მეტოქეს. სოსო ფილიას გუნდის თამაშს დაღს ასვამს ტრავმირებული ფეხბურთელების არყოფნაც — მეკარე მამუკა გვასალიას, მარჯვენაფლანგელ ბადრი ახვლედიანს და შუახაზელ კახა კვეტენაძეს ახლა ფილიას ჯილა მეგოლე ჰამლეტ წივწივაძეც დაემატა.

**დავით თავართქილაძე**



„დინამო“ — „ვიტ ჯორჯია“. ვეტერინარმა გიორგი ჭანკოტაძემ (მარცხნივ) დინამოელთა მეგოლეს ზაზა ზირაქიშვილს ბურთი არ დაანება

ბადრი ქართველიშვილის ფოტო

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 8 - აშვეთია | ტორპედო |
| ბობოხიძე | დინამო |
| გაგუა | მერანი |
| ფიფფიაძე | კოლხეთი |
| დათვაძე | ლოკომოტივი |
| ქუთათელაძე | ტორპედო |

### სიმბოლური ნაკრები




გუნდი: ვიტ ჯორჯია

მწვრთნელი: სერგო გაბელაია

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 16 | 13 | 2 | 1 | 40:10 | 30 | 41 | 8 | 7 | 1 | 0 | 22:5 | 17 | 22 | 8 | 6 | 1 | 1 | 18:5 | 13 | 19 |
| 2 ლოკომოტივი | 16 | 12 | 2 | 2 | 32:8 | 24 | 38 | 8 | 7 | 1 | 0 | 17:3 | 14 | 22 | 8 | 5 | 1 | 2 | 15:5 | 10 | 16 |
| 3 ბათუმი | 16 | 8 | 4 | 4 | 23:21 | 2 | 28 | 8 | 7 | 0 | 1 | 16:5 | 11 | 21 | 8 | 1 | 4 | 3 | 7:16 | -9 | 7 |
| 4 დინამო | 16 | 8 | 3 | 5 | 36:17 | 19 | 27 | 8 | 3 | 3 | 2 | 25:11 | 14 | 12 | 8 | 5 | 0 | 3 | 11:6 | 5 | 15 |
| 5 მერანი | 16 | 8 | 2 | 6 | 27:23 | 4 | 26 | 8 | 6 | 1 | 1 | 19:6 | 13 | 19 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:17 | -9 | 7 |
| 6 კოლხეთი | 16 | 7 | 3 | 6 | 25:25 | 0 | 24 | 8 | 6 | 1 | 1 | 20:11 | 9 | 19 | 8 | 1 | 2 | 5 | 5:14 | -9 | 5 |
| 7 ვიტ ჯორჯია | 16 | 6 | 6 | 4 | 24:18 | 6 | 24 | 8 | 3 | 5 | 0 | 6:3 | 3 | 14 | 8 | 3 | 1 | 4 | 18:15 | 3 | 10 |
| 8 სიონი | 16 | 4 | 4 | 8 | 11:23 | -12 | 16 | 8 | 4 | 1 | 3 | 9:11 | -2 | 13 | 8 | 0 | 3 | 5 | 2:12 | -10 | 3 |
| 9 გურია | 16 | 2 | 6 | 8 | 12:26 | -14 | 12 | 8 | 1 | 4 | 3 | 4:10 | -6 | 7 | 8 | 1 | 2 | 5 | 8:16 | -8 | 5 |
| 10 გორდა | 16 | 2 | 4 | 10 | 13:31 | -18 | 10 | 8 | 2 | 1 | 5 | 8:14 | -6 | 7 | 8 | 0 | 3 | 5 | 5:17 | -12 | 3 |
| 11 სამგურალი | 16 | 2 | 4 | 10 | 12:31 | -19 | 10 | 8 | 2 | 3 | 3 | 10:11 | -1 | 9 | 8 | 0 | 1 | 7 | 2:20 | -18 | 1 |
| 12 მეტალურგი | 16 | 1 | 6 | 9 | 7:29 | -22 | 9 | 8 | 1 | 2 | 5 | 3:13 | -10 | 5 | 8 | 0 | 4 | 4 | 4:16 | -12 | 4 |



გიორგი ადამიამ (№22) წლეულს ბურთი ევროპაშიც გააგორა, თავი ფრანგულ „ტრუასთან“ გამოსცადა

*...მძიმედ გადმოვიდა მანქანიდან, ქუჩა ფრთხილად გადმოჭრა და თანაგუნდელებში სერიოზული სახით გაერია. მუშტაიდის სიახლოვეს, ძველ ფედერაციასთან საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები იკრიბებოდა.*

*... მას მაშინვე გამოარჩევ, ასაკისთვის შეუფერებელი მკაცრი გამომეტყველება აქვს, ტანზე იტალიური „რომას“ მაისურა მოურგია, შავი მზის სათვალეები შუბლზე ადგას და თითქმის არ იღიმება. ალბათ, იმიტომაც აქვს გულჩათხრობილი, „მოძველბიჭო“ მოთამაშის იმიჯი. გიორგი ადამია სინამდვილეში სულ სხვა ადამიანია, ისეთი, პირველი გასაუბრებისთანავე მისადმი კეთილად რომ განგაწყობს.*

*სწრაფი ფორვარდი დღეს „ვიტ ჯორჯიას“ ერთ-ერთი ლიდერია. გამორჩეული მოთამაშე თავისი საფეხბურთო თვისებებით — სწრაფი, მარდი, მოუხელთებელი თავდამსხმელი დღეს „სარბიელის“ სტუმარია. გაიცანით გიორგი ადამია, რომელმაც წინა შაბათს „დინამოს“ დიდი ანგარიშით დამარცხებაში ლომის წილი დაიდო.*

# რა დროს ნიჭია, გაგვასწრო ევროპამ
## გიორგი ადამია დაკვირვებული ბიჭია

— შაბათს „ვიტ ჯორჯიას“ გამარჯვება უფრო მეტად სჭირდებოდა და ამისთვის ყველაფერი გავიღეთ. „ეროვნულზე“ ჩვენთვის ზეექვსეულში მოხვედრა-არმოხვედრის ბედი წყდებოდა და ძალიან მოვინდომეთ. „ვიტ ჯორჯიამ“ თავისი საუკეთესო მატჩი ითამაშა, რასაც ვერ ვიტყვით „დინამოზე“. შაბათს ყველაფერი გამოგვდიოდა და შედეგიც ლოგიკური იყო.

**— გგონიათ, იმ გამარჯვების შემდეგ უპრობლემოდ მოხვდებით ზეექვსეულში?**

— არა, ჩვენ უბრალოდ ერთ-ერთი პრინციპული თამაში მოვიგეთ. ახლა მთავარია, დანარჩენ მატჩებშიც ისეთივე შემართებით ვიომოთ და დარწმუნებული ვარ, საწადელს ავისრულებთ. დარჩენილ ტურებშიც პრინციპული და ძნელი მატჩები მოგველის, ამიტომ მოდუნების დრო არ არის.

**— შეცვლილი ჩანხართ, არ გავხართ იმ გიორგი ადამიას, რომელიც თსუდან და სეზონის დასაწყისში „ვიტ ჯორჯიადან“ ხასიათის მოთამაშედ გვახსოვს.**

— რაღაც პერიოდში ფეხბურთელს გარდატეხის ხანა უდგება. ერთხელაც მივხვდი, რომ ნიჭისა და სწრაფი სირბილის წყალობით ფონს ვერ გავიდოდი. დღეს მე ბოლომდე ვიხარჯები ვარჯიშზე. მზად ვარ, ოფლი ვღვარო და წინსვლა განვაგრძო. მართალია, გარკვეულწილად შევიცვალე, სხვა მხრივ, ისევ ძველებური ვარ.

**— ცვლილება რამ გამოიწვია?**

— ერთი შეხედვით უბრალო დაკვირვებამ. დიდი ხანი არ არის, ვთამაშობ, მაგრამ სხვადასხვა ასაკის ნაკრებებში ძალები მომისინჯავს და ევროტურნირებიც დამიჭაშნიკებია. ვუყურებდი თანატოლ უცხოელ ფეხბურთელებს და ვატყობდი, რამხელა სხვაობა იყო ჩვენს შორის. ისინი გვჯობნენ ფიზიკურად, ტექნიკურად და ტაქტიკურად. სწორ ფეხბურთს თავიდანვე ეჩვევიან ევროპელები და ნიჭიერებითაც არავის ჩამოუვარდებიან. ამიტომ შრომის ფასად, ევროპული მენტალიტეტის შესისხლხორცებით შევძლებთ, მათ გავუტოლდეთ.

**— შრომა ყველგან დასაფასებელია, მაგრამ ეროვნულ ჩემპიონატში განუწყვეტლივ ზრდაც გამორიცხულია...**

— ჩვენი უცხოელი თანატოლების ერთი დიდი უპირატესობაც ის არის, ძლიერ გუნდებში რომ თამაშობენ. იქ პირობებიც სხვაგვარია, არაფერზე ფიქრობ ფეხბურთის გარდა და ევროპაში სპეციალისტები, თავისი საქმის ნამდვილი პროფესიონალები იძლევიან მითითებებს. მიუხედავად ამისა, გარკვეულ დონემდე წინსვლა ჩვენს ჩემპიონატშიც შეიძლება. მთავარია, თავად ფეხბურთელი მიხვდეს, როდის არის მზად ევროპაში წასასვლელად.

**— ფეხბურთს თამაშობთ, ოფლის ღვრით და ეს ყველაფერი რისთვის? რას გინდათ ცხოვრებაში მიაღწიოთ?**

— უპირველესად მინდა, მაღალი დონის პროფესიონალი ფეხბურთელი გავხდე და საქართველოს ეროვნულ ნაკრებში ვითამაშო. თუ ამას მივაღწევ, მერე სახელი, დიდება და ფულიც თავისთავად მოვა, თუმც ვიცი, იქამდე დიდი გზაა გასავლელი.

**— როგორია გიორგი ადამიას ერთი ჩვეულებრივი დღე?**

— ვარჯიშამდე ვცდილობ, სახლში ვიყო და ენერგია ფუჭად არ ვხარჯო. მერე ვარჯიშზე მივდივარ და იქიდან, თუ რაიმე განსაკუთრებული რამ არ მოხდა, კვლავ შინ მივდივარ, ვისვენებ. ისე არ გამიგოთ, თითქოს ოჯახში ვარ ჩაკეტილი. გარკვეულ დროს მეგობრებთანაც ვატარებ. განსაკუთრებული რეჟიმი არასდროს მქონია, მაგრამ ვცდილობ, ყველაფერში ზომიერი ვიყო.

**— თქვენზე ამბობენ, გულჩახვეული ბიჭიაო. გულშემატკივრებში უკარება კაცის სახელი დაგვარქმნიათ.**

— ეტყობა, კარგად არ მიცნობენ. მე მუდამ ვეძებ მეგობრებს. არასდროს ყოფილა შემთხვევა, ადამიანებთან ურთიერთობა გამჭირვებოდა. ძნელია საკუთარ თავზე ლაპარაკი, მოკლედ, ისეთი ვარ, როგორიც ვარ.

**მამუკა ქვანტალიანი**

**საქართველოს ნომერ პირველი ჩოგბურთელი ირაკლი ლაბაძე ორიოდ თვის წინ არც მსოფლიოს მასშტაბით იყო ურიგო ...ვილას. პირველად კარიერაში ჩოგბურთის რანგთა ტაბელის მოწინავე ასეულში შეიჭრა, 99-ე ადგილზე, ხოლო შანხაის ტურნირის შემდეგ ერთ-ერთი იმათგანია, რომელთაც აგასის დამმარცხებლის სტატუსი მოუპოვებიათ. ირაკლი თბილისში რამდენიმე დღით ჩამოვიდა (ახლა იგი უკვე გერმანიაშია) და ინტერვიუც მაშინ შედგა.**



ირაკლი ლაბაძე მონატრებულ თბილისურ ბინაში

# კერპის დამამსხვრეველი

— ვაჟთა კლასიფიკაცია ორი ტიპისაა — ამბობს ლაბაძე — ყოველწლიური „ჩემპიონთა რბოლა“ და ეგრეთ წოდებული „ენთრი სისტემი“, რომელიც, შეიძლება ითქვას, მთავარია და მე სწორედ მასში აღმოვჩნდი 99-ე ადგილზე, მაგრამ მხოლოდ ერთი კვირით. ახლა ისევ მიღმა ვარ, 108-ე ადგილზე.

**— წლევანდელი სეზონი თქვენს კარიერაში ყველაზე დატვირთული და წარმატებული იყო. ბოლოს სად ითამაშეთ?**

— ბოლოს სანკტ პეტერბურგში გამოვედი, ATP-ტურის ტურნირზე. იქ კვალიფიკაცია გავიარე, მაგრამ პირველ წრეში დავმარცხდი. წყვილებში კი მე და მარატ საფინმა ფინალამდე მივაღწიეთ. მერე ვიყავი აახენსა და ბრატისლ...ვაში, ესენი „ჩელენჯერებია“...

**გახსენებაზე, თქვენი და საფინის დუეტი შედგა. ერთად ადრე თუ გითამაშიათ?**

— არა, პირველად იყო და ახლა გადავწყვიტეთ, თუ რომელიმე ტურნირზე ერთად მოვხვდით, წყვილებშიც ერთად გამოვალთ...

**— საფინთან დიდი ხნის ნაცნობობა გაკავშირებთ?**

— ბავშვობიდან ვიცნობთ, ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს ტურნირ...ზე გამოვდიოდით.

**— რას იტყვით მის სათამაშო ძალაზე, უფრო ზუსტად, ყველა ელიტარული ჩოგბურთელი რომ შევაფასოთ, თქვენი, მათ წრესთან ახლოს მდგარი ადამიანის თვალსაზრისით, ვინ არის ა... წუთში უძლიერესი?**

— სამ ჩოგბურთელს გამოვარჩევ: აგასის, ჰიუიტს და კუერტენს. ესენი აშკარად სხვებზე მაგრები არიან. იგივე საფინი, კაფელნიკოვი, ფერერო, ივანიშევიჩი — ამათი კოზირი რა არის? მოწოდება. თუ მოწოდებები კარგად წაუვათ, იგებენ, თუ არა — პირიქით. ის სამი კი ყველა კომპონენტში ძლიერია. კუერტენზე იმდენად არ ვიტყვი და აგასივით და ჰიუიტივით ჩოგბურთის ფანატიკოსები ცხოვრებაში არ მინახავს, ჩოგბურთით ცხოვრობენ.

**— ირაკლი, ჩვენი ინტერვიუს მთავარი თემა აგასიზე თქვენი გამარჯვებაა. იმ ამბავზე მოგვიყევით, თუ შეიძლება...**

— შანხაის ტურნირი მეხუთედ ჩატარდა და აგასიზე მაღალი დონის იქ არავინ თამაშობდა. რამდენადაც ვიცი, მას საპრიზოების გარდა ცალკე 750 ათასი დოლარი გადაუხადეს უბრალოდ იქ ჩასვლისა და თამაშისთვის. სიტუაცია ისეთი იყო, რომ პირველ წრეში ძნელი მეტოქე არ უნდა მყოლოდა. მიხაროდა, ვინმე ჩინელს შევხვდები და ადვილად მოვუგებ-მეთქი. ამ დროს დამიძახეს, მოდი აქ, შეხედე, ვისთან გიწევს თამაშიო. აგასის დანახვაც არ მწყენია, საცაა კარიერას დაამთავრებს, მე კი მის პლაკატების შემყურე გავიზარდე, ჩემი კერპი იყო და კერპთან უბრალოდ თამაშიც დიდი ბედნიერებაა.

მე რომ კორტზე გავედი, აქა-იქ გაისმა ტაში. ის რომ გამოჩნდა, დაინგრა იქაურობა, აგასის ყველა იცნობს და მოგების იმედი არც მქონია, მაგრამ მოთელვისას ვიფიქრე, ჯანდაბას, იყოს ვინც არის, აგასი თუ ჭიჭიკია, მე ჩემი თამაში უნდა ვითამაშო-მეთქი. დაიწყო სეტი და მოწოდებები კარგად წამივიდა, სულ 13 ეისი ჩავაწოდე იმ თამაშში.

**— რომელ მომენტში მოხდა გარდატეხა?**

— გარდატეხა ბოლომდე არ მომხდარა, მაგრამ პირველი სეტის შემდეგ ვიგრძენი, რომ გამარჯვება შემეძლო (ლაბაძემ 7:6, 7:5 მოიგო — რედ.), მაგრამ ის აზრი სულ მღრღნიდა, აგასის დამარცხებას როგორ შევძლებ-მეთქი. მოკლედ, მეორე სეტის 6:5-ს ვიგებდი და აგასის მოწოდებაზე მატჩ-პოინტი მქონდა. ჩამოაწოდა, ბურთი ნახტომში დავაბრუნე, მაგრამ იგი ბადესთან კარგად გამოვიდა და მეც ადვილი ბურთი გავაფუჭე. ვიფიქრე, ეგ არის და წავაგე-მეთქი, მაგრამ მეორე მატჩ-პოინტი მომეცა და თითქმის იგივე სიუჟეტით ბოლო ქულის მოგება შევძელი.

**— ძნელია მაღალ დონეზე ჩოგბურთის თამაში?**

— უფრო ფსიქოლოგიურად, ვიდრე ფიზიკურად. რამდენიმე ძლიერ ტურნირში მაინც უნდა ითამაშო, რომ შეეჩვიო და რეიტინგის ლიდერებთან ბრძოლის არ მოგერიდოს. მერე ნელ-ნელა წავა... აგასის რაც მოვუგე, ხალხი უკვე მცნობს, ჩოგბურთელებზე ვამბობ. შანხაიში მე და საფინი ვსხედვართ ერთად და გრეგ რუზეცკი მოვიდა. სახეზე არ მიცნობდა და საფინს ეკითხება, აიო, ერთი ვინმე ყოფილა, აგასი გაუგდია და ვინ არის, რა კაციაო. პეტერბურგში კიდევ პირველი წრის თამაში ფელიქს მანტილიასთან წავაგე და ჩვენში გამარჯვებული ივანიშევიჩს უნდა შეხვედროდა. ადრე ივანიშევიჩი ჩემს თამაშზე რას მოვიდოდა, ახლა კი დაჯდა და თავიდან ბოლომდე გვიყურა. მოკლედ, გავეჩვიე უმაღლეს დონეზე თამაშს.

**— ვისთან ვარჯიშობთ და რა გრაფიკით?**

— ჩემი მწვრთნელია რობერტო ბროჯინი, რომელიც მილანში ცხოვრობს და ჩემს გარდა დავიდე სანგვინეტის ავარჯიშებს. ადრე ერთი წელი უნგრელ ატილა სავოლტსაც წვრთნიდა.

გრაფიკი დაახლოებით ასეთია — დავდივარ ტურნირებზე და 3-4 მათგანში რომ ვითამაშებ, მერე 5-6 დღე მასთან ვვარჯიშობ, ოღონდ იტალიაში კი არა, გერმანიაში.

**— თბილისში იშვიათად ხართ?**

— აქ უიმბლდონის მერე ერთი კვირით ჩამოვდივარ ხოლმე და ძალიან ცოტას ვვარჯიშობ, უფრო ბოლო დღეებში, რათა ფორმიდან სულ არ ამოვვარდე. ახლა 8 დღით ჩამოვედი და ისევ გერმანიაში წასვლას ვაპირებ, ტურნირებისთვის უნდა მოვემზადო.

**— უახლოეს ხანებში სად ითამაშებთ?**

— ახალი სეზონი იხსნება ინდოეთში, ნახევარმილიონიანი ტურნირით, მაგრამ იქამდე მილანშიც მინდა „ჩელენჯერზე“ თამაში. ახლა ჩემი მთავარი მიზანია, კლასიფიკაციაში 115-118-ე ადგილის არ ჩამოვცილდე, რაც საშუალებას მომცემს, ავსტრალიის ღია პირველობაზე საკვალიფიკაციო ეტაპის გარეშე ჩავერთო.

მთლიანად მომავალ სეზონში ალბათ 30-მდე ტურნირზე გამოვალ, რაც ჩოგბურთელისთვის ყველაზე ოპტიმალური რიცხვია. ალბათ ვიქნები „დიდი სლემის“ ტურნირებზე და სხვებზეც, გარდა „მასტერსებისა“, რომლებზეც საწყისი ბადე უფრო შეკვეცილია. ისე, ამბობენ, ახალ სეზონში „მასტერსების“ რაოდენობა შემცირდება და ბადეები გაფართოვდებაო. ეგებ იქ მოხვედრაც მოვახერხო.

**დავით გულუა**



ირაკლი ლაბაძე შანხაის ტურნირზე



## NHL. რეგულარული ჩემპიონატი

# ლინდროსმა გაასამმასა

19 ნოემბერი

**კაროლინა 5:2 კოლუმბუსი (2:0 2:2 1:0)**
1:0 ონილი 1(14), 2:0 უესლი 6(2), 2:1 უიტნი 22(5), 3:1 ბრინდამორი 32(5), 4:1 დენიელსი 33(2), 4:2 კრონი 38(1), 5:2 მალიკი 59(1)

**ტორონტო 5:1 ფლორიდა (2:1 1:0 2:0)**
0:1 იოკინენი 2(1), 1:1 დომი 3(2), 2:1 სუნდინი 17(9), 3:1 რაიხელი 30(4), 4:1 მაკეიბი 52(1), 5:1 სუნდინი 52(10)

**ატლანტა 3:2 ბუფალო (2:0 0:0 1:2)**
1:0 კოვალჩუკი 10(9), 2:0 კალიო 13(3), 2:1 პულტონი 43(2), 2:2 კონოლი 48(3), 3:2 პრკაჩი 48(4)

**დალასი 2:3 აილენდერსი (0:3 1:0 1:0)**
0:1 იაშინი 5(11), 0:2 ისბისტერი 8(5), 0:3 იაშინი 8(12), 1:3 ნუინდაიკი 22(9), 2:3 მატვიჩუკი 59(2)

არაერთი მიღწევით აღინიშნა ამ უქმეებზე დეტროიტში გამართული მატჩი, სადაც ჩემპიონატის ერთპიროვნულმა ლიდერმა მინესოტას უმასპინძლა და საუცხოოდაც ითამაშა. ერთბაშად სამმა დეტროიტელმა გაამდიდრა თავისი ისედაც უხვქულიანი მონაგარი. კაპიტანმა სტივ აიზერმანმა მორიგი 2 შაიბა შეიმატა და 651 გოლით თავად მარიო ლემიე განდევნა მე-7 ადგილიდან. ასევე დუბლით გამორჩეულმა ლუკ რობიტაილმა 602 გოლით ლიგის ისტორიაში ყველაზე შედეგიანი ევროპელი, იარი კური შეცვალა ამ სიის მე-12 ადგილზე. მესამე ცოცხალმა ლეგენდამ, ბრეტ ჰალმა („ოქროს ბრეტიც“ ხომ მოქმედ გოლეადორთა საუკეთესო ხუთეულში შედის) კი ამჯერად ასისტენტობა იკმარა, თუმცა 2 პასის წყალობით 1200-ე ქულას გამოჰკრა ხელი. მაგრამ მან უკვე მომდევნო შეხვედრაში, ლოს ანჯელესთან, გაიტანა და ეს დეტროიტისთვის ამ სეზონში უმცირესობაში გატანილი მე-7 გოლია.

უქმეებზე შედეგიანი თამაში აჩვენა ედმონტონმაც. მიუხედავად იმისა, რომ უკვე პირველ პერიოდში საუკეთესო ბომბარდირი, რაიან სმიტი დაკარგა, „მენავთობეებმა“ ერთ-ერთი ლიდერი ჩიკაგო გაანადგურეს. სხვა მატჩები უმეტესად დაბალი შედეგიანობით გამოირჩა, რაც, ცხადია, მეკარეების დამსახურებაა. კვირის ლაურეატს პატრიკ რუაზე ქვემოთ მოგახსენებთ, გარდა ამისა, კიდევ ხუთმა გოლკიპერმა მიითვალა შატაუტი. ყველაზე აღსანიშნავი კალგარელი რომან ტურეკის „მშრალი“ თამაშია, რომელმაც 38 მოგერიებით ისევ თავისი ყოფილი კლუბი სენტ ლუისი გააწბილა. „ალების“ ორივე გოლი ჯერომ იგინლამ მიითვალა, რომელიც 16 გოლით ყველას უსწრებს. დანარჩენი 4 „შატაუტი“ ტამპელი ნიკოლაი ხაბიბულინის (23-ე კარიერაში), ფლორიდელი ტრევორ კიდის, მონრეალელი ჟოზე თეოდორისა და პიტსბურგელი იოჰან ჰედბერგის ანგარიშზეა.

ოთხწლიანი უხეირობის შემდეგ ფილადელფიამ, როგორც იქნა, შეძლო სტუმრად ნიუ ჯერსის დამარცხება, ხოლო შეუდარებელმა „რეინჯერსმა“, ფლერი — ლინდროსი — იორკის სამეულმა, კვირას მორიგი ბენეფისი მოიწყო. ერიკ ლინდროსმა, რომელიც თანდათან ჩვეულ ფორმაში დგება, ატლანტასთან შეხვედრაში ჰეთ თრიქი და პასი მიაწოდვალა, თანაც მისთვის პირველი გოლი კარიერაში მე-300 გამოდგა. მთლიანობაში კი ამ ტრიოს ანგარიშზე ბოლო 8 შეხვედრაში 39 (!) ქულაა.

ახლა ორშაბათის მატჩებზეც. ფინიქსთან განადგურების შემდეგ სტარტის მოულოდნელი ლიდერის, აილენდერსის წაგებათა სერია ოთხ თამაშამდე გაიზარდა, რამაც გუნდის მწვრთნელი პიტერ ლავიოლეტი მცირე კრიზისზე აალაპარაკა. ეტყობა, მორიგი მეტოქე დალასი ნიუორკელთაგან საფრთხეს არ ელოდა და სასტიკად დაისაჯა კიდეც. ტეხასელთა სამი ჯარიმიდან ალექსეი იაშინმა ორი გამოიყენა, ერთი გოლიც ბრედ ისბისტერმა დაამატა და საბოლოოდ, მიუხედავად დიდი მონდომებისა, მასპინძლებმა მხოლოდ მინიმუმამდე შეძლეს ანგარიშის შემცირება.

ტორონტოსთან შეხვედრაში ფლორიდამ ჯერ პაველ ბურე დაკარგა, მერე კი თამაშიც წააგო. „პანტერების“ ლიდერი პირველ პერიოდში დარსი ტაკერის ძალისმიერმა ილეთმა იმსხვერპლა, რამაც სტუმრები გატეხა და მათ დარჩენილ დროში კიდევ ოთხი უპასუხო შაიბა გაუშვეს. 9 წარუმატებელი მატჩის შემდეგ ატლანტამაც (+0=1-8) იხეირა, ხოლო კოლუმბუსს იმანაც ვერ უშველა, რომ რეი უიტნიმ ზედიზედ მეხუთე შეხვედრაში გაიტანა.

**სამველ ლარიბიანი**

## კვირის მოთამაშე

### პატრიკ რუა (კოლორადო)



იქნებ სადღეისოდ ლიგაში მობერებულ პატრიკ რუაზე უკეთესი მეკარეებიც არიან, მაგრამ ის, რომ ამ გოლკიპერს პარტნიორთაგან ყველაზე დიდი ავტორიტეტი აქვს, არანაირ ეჭვს არ იწვევს. ძალიან გაუჭირდა გუნდს ბოლო ხანს. „ეველანშის“ მრავალრიცხოვან ლიდერებს მიზანმა უმტყუნათ, რის გამოც გუნდის შედეგიანობა ერთ-ორ გოლამდე შემცირდა. რადგან ცოტა გაგვაქვს, მე საერთოდ არ უნდა გავუშვაო, იფიქრა რუამ და წინა კვირაში საქმეს შეუდგა. ჯერ იყო მინესოტა, რომელსაც ჩემპიონმა მატჩის დასაწყისში გაუტანა და შემდეგ დიდი ჯაფა დაადგა. მაგრამ რუამ უკლებლივ ყველა, 26 დარტყმა მოიგერია და კოლორადოს რიგებში მე-200 გამარჯვება იზეიმა (მანამდე ჩემპიონს 6 მატჩი არ მოეგო). ამით ფრთაშესხმულმა პარასკევს აილენდერსთან მატჩში კიდევ უფრო გაიბრწყინა — 36 მოგერიება და მან გუნდს კიდევ ერთხელ მოაგებინა მინიმალური ანგარიშით. არადა, რუას, მიუხედავად უამრავი ტიტულისა, ლამის თორმეტი წელია, ზედიზედ ორი შატაუტი არ მიუთვლია. ყველაზე შთამბეჭდავი მაინც ნიუ ჯერსისთან ორთაბრძოლა გახლდათ. მეორე მესამედში „ეშმაკთაგან“ ყველას, გარდა მეკარისა, ჰქონდა რუას კარის დალაშქვრის შანსი, მაგრამ პატრიკმა ყველა დარტყმა მოიგერია და თავისი მშრალი სერია პერსონალურ რეკორდამდე — 183 წუთი და 53 წამი — გაზარდა. აღსანიშნავია, რომ ბოლოს თავისი კარი ზედიზედ ოთხჯერ ხელშეუხებლად შორეულ 1949 წელს მონრეალელმა ბილ დარნენმა შეინახა. ცხადია, ყოველივე ამის შემდეგ რუას წინ ვეღარავინ დაუდგებოდა, არადა, მას კვირის ლაურეატობას მრავალი კონკურენტი ეცილებოდა. მარტო პიტსბურგელი ალექსეი კოვალიოვის ზედიზედ ორი ჰეთ თრიქი რად ღირს.

**საუკეთესო ექვსეული. 12-18 ნოემბერი**

*პატრიკ რუა (კოლორადო, 1); ნიკლას ლიდსტრიომი (დეტროიტი, 2) — კარელ რაჩუნეკი (ოტავა, 1); ალექსეი კოვალიოვი (პიტსბურგი, 1) — სტივ აიზერმანი (დეტროიტი, 1) — მარიან გაბორიკი (მინესოტა, 1)*

ეროვნული ბიბლიოთეკა



ირლანდია — ახალი ზელანდია. აარონ მაუგერმა მასპინძელი დენის ჰიკი (№ 11) გადათელა და ლელოს გატანაში არც ბრაიან ოდრისკოლს შეუშლევინ ხელი

# ევროპაში შავი გრიგალი ამოვარდა

**მარსელი**

**საფრანგეთი 14:13 ავსტრალია**

**საფრანგეთი: პუანტრენო (ჟანჟანი), რუჟერი, მარში, ტრაი, ბორი, მიშალაკი, გალტიე; კრანკა, იბანიესი (ბრუ), დე ვილიე, ორადუ, პრივატი (ნალე), ბეტსენი, მანი, ტაბაკო**
**1 ლ: მარში; 3 ს: მიშალაკი (2), ტრაი**
**ავსტრალია: ბერკი (თიუნი), ლეითემი, ბონდი (ფლეტლი), გრეი, როფი, ლარკემი, გრეგანი; სტაილზი, ფოლი (ქენონი), დარვინი (მური), ჰარისონი (კოკბეინი), გიფინი, ფინეგანი, ვო (სმიტი), კეფუ**
**1 ლ: თიუნი; 1 გ: ფლეტლი; 2 ს: ბერკი**

ერთი კვირის წინ სამხრეთ აფრიკის დამმარცხებელმა საფრანგეთის ერთობ გაახალგაზრდავებულმა ნაკრებმა შაბათს მარსელში მსოფლიოს ჩემპიონ ავსტრალიას უმასპინძლა და მისი ძლევაც შეძლო. 1994 წლიდან ეს პირველი შემთხვევაა, როცა „მამლებმა" ზედიზედ ორჯერ აჯობეს სამხრეთ ნახევარსფეროს ბობოლებს. შვიდი წლის წინ ფრანგებმა ზედიზედ ორჯერ ახალი ზელანდია გააწბილეს. თავად ავსტრალიასთან კი ჩვენი ეროვნული ნაკრების დამრიგებლის კლოდ სორელის თანამემამულეებს 1993 წლის შემდგომ ველარ გაეხარათ. მათ ამ ხნის განმავლობაში ექვსი მარცხი დაგროვებიათ, რომელთაგან უმწარესი და უმნიშვნელოვანესი 1999 წლის მსოფლიოს თასის ფინალში განცდილი იყო.

„ისევ შეიძლებოდა წაგვეგო, როგორც ხდებოდა ხოლმე. თითქმის ყოველთვის გვეგონა, რომ მოგება ძალიან ახლოს იყო, მაგრამ ის ბოლო მომენტში გვისხლტებოდა ხელიდან. ახლა კი ბიჭებმა ყველაფერი გააკეთეს მის შესანარჩუნებლად და მიუხედავად იმისა, რომ ავსტრალიელებმა მეორე ტაიმში დიდებული თამაში გვიჩვენეს, გამარჯვება მაინც ჩვენ დაგვრჩა" — განაცხადა მასპინძელთა თავკაცმა ბერნარ ლაპორტმა.

მართალია, ფრანგებმა ოდენ ერთი ქულით აჯობეს ოზებს, მაგრამ ეს მაინც დამსახურებულად მოხდა. არადა, „მამლების" დამრტყმელებს ფრედერიკ მიშალაკსა და დამიენ ტრაის ოთხი საჯარიმო და თითო-თითო გარდასახვა და არეკნი რომ არ გაეცუდებინათ, ანგარიშში სხვაობა გაცილებით სოლიდური იქნებოდა. მასპინძლებმა მატჩი მშვენივრად ჩაატარეს. ისინი ბურთის მოპოვებისას მეტად ეფექტურები იყვნენ და მას კარგადაც ინარჩუნებდნენ, დაცვაში მედგრად იდგნენ და უნებლიე შეცდომებიც, ფაქტობრივად, არ დაუშვიათ.

ფრანგთა ზეწოლას ავსტრალიელებმა კარგად გაუძლეს, მაგრამ იმაზე გაცილებით მეტი შეცდომა დაუშვეს და იმაზე ხშირად ჯარიმდებოდნენ, ვიდრე ამას ჩვეულებრივ აკეთებენ-ხოლმე, რამაც მათ მეტოქეს პირველ ტაიმში 11:3 დაწინაურების საშუალება მისცა.

საწყისი ათი წუთი საკმაოდ თანაბარი თამაში მიმდინარეობდა და მიშალაკის მე-3 წუთზე გატანილ საჯარიმოს მეტიუ ბერკმა სამ წუთში ზუსტი საჯარიმოთივე უპასუხა. აქედან მოყოლებული ინიციატივა მთლიანად ფრანგების ხელში გადავიდა, მაგრამ მათი დომინირება ანგარიშზე არ აისახა, რადგან სწორედ ამ დროში გააცუდა მიშალაკმა ორი საჯარიმო და ერთი არეკნი. არ გაუმართლა ბერკსაც, რომელსაც მორიგი სამი ქულის აღებაში ქარმა შეუშალა ხელი 23-ე წუთზე.

27-ე წუთზე კი „ველოდრომზე" თავმოყრილმა მაყურებელმა პირველი ლელოც იხილა. მარჯვენა ფლანგზე ტონი მარში დარჩათ ოზებს უყურადღებოდ და მასაც არ გასჭირვებია მეტოქის ლელოში ბურთიანად შეღწევა. მიშალაკმა ვერ გარდასახა და ათიოდ წუთის შემდეგ უკვე ტრაი მივიდა ბურთთან დასარტყმელად. მან საჯარიმო ზუსტად შეასრულა და პირველი ტაიმის ანგარიშიც დაფიქსირდა.

შესვენების დასრულებისთანავე თავი ისევ ტრაიმ გამოიჩინა და თავისიანები 11 ქულით დააწინაურა. 54-ე წუთზე ბერკმა ანგარიშში სხვაობა შეამცირა. ამის მერე მინდორზე სიტუაციის ბატონ-პატრონნი ავსტრალიელები გახდნენ, მაგრამ ფრანგები დაცვაში კედლად აღიმართნენ და მოწინააღმდეგეს ლელოს გატანის საშუალებას არაფრით აძლევდნენ. „ვოლაბებს" ყველაზე რეალური შანსი 74-ე წუთზე მიეცათ, მაგრამ ჟანჟანმა ბენ თიუნის დაჭერა უკანასკნელ წამს მაინც მოახერხა. თუმცა თიუნი ულელოოდ არ დარჩა და კრის ლეითემმაც გარდასახა, ოღონდ ეს უკვე მსაჯის მიერ წამატებულ მე-6 წუთზე მოხდა და ავსტრალია მარცხს ველარ გადაურჩა.

**დუბლინი**

**ირლანდია 29:40 ახალი ზელანდია**

**ირლანდია: დემპსი, ჰორგანი (მალინზი), ოდრისკოლი, მეგზი, ჰიკი, ჰამფრიზი, სტრინგერი; კლოჰესი, ვუდი, ჰეიესი (ბირნი), გოლვეი (ლონგველი), ოკელი, მილერი, უოლესი, ფოლი**
**3 ლ: მეგზი, ჰიკი, მილერი; 1 გ: ჰამფრიზი, 2 ს: ჰამფრიზი; 2 ა: ჰამფრიზი**
**ახალი ზელანდია: მაკდონალდი, ჰოულეტი, უმაგა, მაუგერი, ლომუ, მერთენსი, კელეჰერი; ფიკი (ჰიუეტი), ოლივერი, სომერვილი, ჯეკი, მაქსველი, თორნი, მაკკაუ, რობერტსონი**
**6 ლ: ჯეკი, თორნი, ჰოულეტი, მაუგერი, ლომუ, ჰიუეტი; 5 გ: მერთენსი**

საკმაოდ ძლიერად მოთამაშე ირლანდიის ნაკრებს დაახლოებით ტაიმნახევრის განმავლობაში ახალი ზელანდიის ჯობნა განაღდებული ეგონა, მაგრამ... შესვენების შემდეგ „შავმა გრიგალმა" ძირფესვიანად მოთხარა „სამყურები".

ირლანდიის ოცნება ისევ ოცნებად დარჩა. მას ხომ არასოდეს დაუმარცხებია ახალი ზელანდია 14 დაპირისპირებაში და ეს 1905 წლიდან გრძელდება. ამ შეხვედრამდე მასპინძლები გაიძახოდნენ, ან ახლა ან არასოდესო. თუმცა მათ ცოტა ხნით კიდევ მოუწევთ ლოდინი.

არადა, პირველ ორმოცწუთეულში „მწვანეები" მოგებასთან ძალიან ახლოს იყვნენ. ისინი უელსთან, ინგლისთან და სამოასთან ზედიზედ მიღწეული სამი გამარჯვებით თავის ძალებში დარწმუნებულნი გავიდნენ მინდორზე და ძლიერადაც შეუტიეს. დევიდ ჰამფრიზის წინამძღოლობით მათ ბევრი თავსატეხიც გაუჩინეს „ოლ ბლექსის" დაცვას. სწორედ მისი ბრწყინვალე თამაშის წყალობით გაიტანა ლელო მეგზმა, რასაც ჰამფრიზმა 8 ქულა დაუმატა და ირლანდია 13:0 დაწინაურდა.

ნელ-ნელა ბურთზე მონოპოლია ახალზელანდიელებმა გამოაცხადეს და რომ არა საკმაოდ დიდი წუნი ხელით თამაშისას, ისინი პირველ ტაიმში ერთადერთი ლელოთი არ დაკმაყოფილდებოდნენ. ჰამფრიზმა ერთი დარტყმაც შეასრულა ზუსტად და ტაიმი 16:7 დასრულდა.

თამაშის განახლებისთანავე ოდრისკოლის მეცადინეობით ჰიკმ უწია „აღთქმულ მიწას" და ირლანდია 14 ქულით გაიჭრა წინ, რაც ნამდვილად მოულოდნელობა იყო. თუმცა სენსაცია მაინც არ შედგა და მასპინძელთა ახალზელანდიელმა თავკაცმა უორენ გეტლანდმა თავის კოლეგა ჯონ მიტჩელს დებიუტი ვერ ჩაუმწარა.

სამ წუთში ჯერ რუბენ თორნმა გამოიჩინა თავი და მერე დაგ ჰოულეტმა. კიდევ რამდენიმე წუთში მაუგერმა ფრაზე გაილაღა და მართალია თანაგუნდელები დაივიწყა და პასი არ მისცა, ლელო მაინც გავიდა. ამათ შემხედვარე ჯონა ლომუს ეტყობა გაახსენდა, რომ „შავების" საუკეთესო მელელოვეა და თავისი 32-ე სანაკრებო ლელო მიითვალა. გატეხილმა ირლანდიამ კიდევ ერთი ლელო გაუშვა და ვინაიდან ენდრიუ მერთენსმაც მეორე ტაიმში ოთხი გარდასახვა შეასრულა ზუსტად, სტუმრები, ფაქტობრივად, მეტოქისთვის მიუწვდომელნი გახდნენ.

„სამყურებმა" ოდენ ანგარიშში სხვაობის შემცირებაღა მოახერხეს და მორიგი მარცხი იწვნიეს სამხრეთელ ბობოლასთან. აღსანიშნავია, რომ ირლანდიას სამხრეთის დიდი სამეულის (ავსტრალია, ახალი ზელანდია, სამხრეთ აფრიკა) წევრი 1979 წლის მერე აღარ დაუმარცხებია.

**მარიფილდი**

**შოტლანდია 16:25 არგენტინა**

**შოტლანდია: ლი, გ. მიურეი, მაკლარენი, ლესლი, რიდი, თაუნსენდი, ნიკოლი; სმიტი, ბალოკი, სტიუარტი (გრემი), ს. მიურეი, გრიმსი, უაიტი, მოუერი, პეტრი (სიმფსონი)**
**2 ლ: თაუნსენდი, ლი; 2 ს: თაუნსენდი**
**არგენტინა: კორლეტო, კამარდონი, ორენგო, არბისუ, ალბანეზე, კონტეპომი, პიჩოტი; რეეჯიარდო (გრაუ), მენდესი, ჰასანი, ფერნანდეს ლობე, ალვარესი, ფელანი (ოსტილია), მარტინი, ლონგო**
**1 ლ: კორლეტო; 1 გ: კონტეპომი; 6 ს: კონტეპომი**

მეც მინდა სამხრეთელ ბობოლებში მოხსენიებაო და ევროპაში ტურნედ მყოფი არგენტინა ექსპრესებს დაერია. ერთი კვირის წინ „პუმებმა" უელსელები დაფლითეს, ახლა კი მსგავსი დღე აყარეს შოტლანდიელებს. სტუმართა შორის წინა შეხვედრის დარად ისევ დამრტყმელი ფელიპე კონტეპომი გამოირჩა, რომლის ანგარიშზეც 20 ქულაა, რაც მხოლოდ 5 ქულით ნაკლებია მის უელსურ მონაგარზე.

თავიდან მეტოქეებმა თითო საჯარიმო გაცვალეს და 24-ე წუთამდე თანაბარი თამაშიც გაგრძელდა. მერე კი არგენტინის ლელოსთან შერკინება დაინიშნა, ბურთი პიჩოტს მიუვიდა, რომელმაც მისი მოგერიება ვერ მოასწრო, რადგან ნიკოლმა შებოჭა და ლევან ცაბაძის კასტრელმა თანაგუნდელმა გრეგორ თაუნსენდმა აუღელვებლად დაამიწა ბურთი, ოღონდ გარდასახვა გააცუდა. 36-ე წუთზე კონტეპომიმ ერთი საჯარიმოც შეაგდო და ტაიმიც დასრულდა.

შესვენების შემდეგ კიდევ თითო საჯარიმო გაიცვალა და 49-ე წუთზე კორლეტომ ბრწყინვალე დრიბლინგი ლელოთი დააგვირგვინა. კონტეპომის გარდასახვით არგენტინა 16:11 გავიდა წინ. თუმცა სკოტებმა მალე გაათანაბრეს ანგარიში, როცა დერიკ ლიმ ივარგა. ოღონდ გამარჯვება მაინც არგენტინას დარჩა, რადგან კონტეპომიმ კიდევ სამი საჯარიმო გაიტანა.

**თვიქნემი**

**ინგლისი 134:0 რუმინეთი**

**ინგლისი: რობინსონი, კოენი, ტინდელი, გრინვუდი (კეტი), ლუგერი, ჰოჯსონი, ო. ჰილი (ბრაკენი); როუნტრი (უაიტი), რიგანი, ლენარდი, კეი (გრიუკოკი), ბორთვიკი, მუდი, ბეკი (სანდერსონი), უორსლი**
**20 ლ: რობინსონი (4), ლუგერი (3), კოენი (3), ჰოჯსონი (2), ტინდელი (2), მუდი (2), ო. ჰილი, სანდერსონი, რიგანი, უორსლი; 14 გ: ჰოჯსონი; 2 ს: ჰოჯსონი**
**რუმინეთი: ბრეზოიანუ, ტეოდორესკუ, დობრე, ობრია (ჩოლაკუ), გიოკი, ტოფანი, სირბუ (კოდია); დიმა (ტოდერაშკი), ბალანი, სოკაჩუ (ფლორია), პეტრე (დრაგომირი), ნედელკუ, კოროდიანუ, სამუილი (პასაკე), პეტრაკე**

შაბათს ინგლისის ეროვნულმა ნაკრებმა ქულების რეკორდი დაამყარა და ევროპის ერთა თასზე საქართველოს მეტოქე რუმინეთი 134:0 გააცამტვერა. ამ მატჩის მნახველს ინგლისის სიძლიერეზე მეტად რუმინეთის სისუსტე მოხვდებოდა თვალში, რაც ბევრის თქმით, მოწინავე რუმინელ მორაგბეებსა და მათ ფედერაციას შორის არსებული უთანხმოების ბრალია, რის გამოც საფრანგეთში მოთამაშე ბევრი ლეგიონერი ნაკრებში გამოსვლაზე უარს აცხადებს. თუმცა, აუცილებლად უნდა აღვნიშნოთ, რომ თვიქნემში თითქმის ყველა უძლიერესი რუმინელი იყო ჩასული, ხოლო თუ მათ მთელი ძალით არ ითამაშეს, ეს სხვა საქმეა. მატჩის შემდეგ, რუმინელთა თავკაცმა მირჩა პარასკივმა შეგირდები ერთობ ლანძღა უჯიგრობისთვის და თანამდებობიდანაც გადადგა.

ასეა თუ ისე, ინგლისელებს საშუალოდ ყოველ ორ წუთში ერთი ლელო გაჰქონდათ და ერთობ დაგვიმცირეს ძირითადი მეტოქე. გარე ნახევრმცველ ჩარლი ჰოჯსონის ანგარიშზე მთელი 44 ქულაა, რაც ასევე ინგლისის რეკორდია. არადა, ეს ჰოჯსონისთვის ოდენ პირველი [illegible] იყოს, რადგან მატჩის მიწურულს მორიგი გარდასახვა ძელს მოარტყა და მსოფლიოს რეკორდს ვერ შეწვდა. შეგახსენებთ, რომ ინგლისს აქამდე სარეკორდოდ ბევრი ქულა (110) 1998 წელს გაეტანა ჰოლანდიისთვის მსოფლიოს თასის შესარჩევ შეხვედრაში.

**გენუა**

**იტალია 26:54 სამხრეთ აფრიკა**

**იტალია: მარტინი, პერძიანო (პაჩე), პიაჩენზონი, სტოიკა, დ. დალანი, დომინგესი (მაცარიოლი), ტრონკონი; ლო ჩიჩერო (დე კარლი), მოსკარდი, მურარო (პაოლეტი), ჟაკერი (ბორტოლამი), ვიზერი, პერსიკო, ბერგამასკო, ქუინატო (ზენატი)**
**2 ლ: დომინგესი, ბენატი; 2 გ: დომინგესი, მაცარიოლი; 3 ს: დომინგესი; 1 ა: დომინგესი**
**სამხრეთ აფრიკა: იანტიესი, პოლსე (მონტგომერი), ჰალსტიდი, ფან სტრაატენი (იაკობსი), ჰოლი; კოენი, ფან დერ ვესტჰოიზენი (დე კოკი); ლე რუ ([illegible] ბილიონი), სმიტი, მეიერი (ფისახი), [illegible]ტფილდი, ა. ჯ. ფენტერი, ფოსი (კრიხე), ფან ნიკერკი (ა. ფენტერი), სკინსტედი**
**8 ლ: ჰალსტიდი (2), ფან დერ ვესტჰოიზენი, ჰოლი, სმიტი, მეტფილდი, მეიერი, სკინსტედი; 7 გ: ფან სტრაატენი (5), კოენი (2)**

სანამ სამხრეთ აფრიკის A ნაკრები თბილისში ბორჯღალოსნებს დაჯაბნიდა, მანამდე ერთი დღით ადრე „ქურციკების" პირველმა გუნდმა გენუაში იტალიელებს სძლია. აფრიკელებმა 8 ლელო გაიტანეს და საკმაოდ [illegible] გაიმარჯვეს, მიუხედავად იმისა, რომ „სკუადრა აძურაში" მეორედ დაბრუნებული დიეგო დომინგესი მშვენივრად გაისარჯა და 19 ქულა მოიხვეჭა. სტუმრებმა ტაიმი 21:12 მოიგეს და მერე [illegible] სულ აიშვეს. მატჩის ძირითადი [illegible]ის ბოლოს მომხდურები 54:19 იგებდნენ და ბენატის ლელომ იტალიას ოდენ ცოტათი დაუტკბო „მწარე" საღამო.

**კარდიფი**

**უელსი 51:7 ტონგა**

**უელსი: 6 ლ: გარეთ ტომასი, ჰაული, ს. ქვინელი, რობინსონი, რ. უილიამსი, ბ. უილიამსი; 3 გ: ჰარისი; 5 ს: ჰარისი**
**ტონგა: 1 ლ: აფაეკი; 1 გ: ჰოლა**

უელსმა ტონგას სძლია და შეიძლება ამ მოგებით თავის ახალზელანდიელ მწვრთნელ გრემ ჰენრის თანამდებობაც შეუნარჩუნა. ჰენრის წყალი კარდიფის „მილენიუმზე" ირლანდიასთან და არგენტინასთან ზედიზედ წაგებებმა შეუყენა.

ამიტომაც მას შემადგენლობა ერთობ გადაეხალისებინა და ახალი კაპიტანიც დაენიშნა — სკოტ ქვინელი. მასპინძლებმა ჯამში ექვსი ლელო გაიტანეს, რასაც ტონგელებმა მხოლოდ ერთით უპასუხეს. ისე, მეორე ტაიმში ოკეანეთელები მსაჯმა უმცირესობაში დატოვა, რადგან გას ლეგერი უხეშობისთვის სულ გააძევა მოედნიდან.

უელსელთა რიგებში ერთ-ერთი საუკეთესო იყო იესტინ ჰარისი, რომელიც ცამეტკაცა რაგბიდან ახალი გადმობარგებულია. მან საშმეოთხედელად ითამაშა და ზუსტი დარტყმებით 21 ქულაც დააგროვა. ჰარისმა პირველ ტაიმში ოთხი საჯარიმო და ერთი გარდასახვა შეაგდო. „ზღვის არწივებმა" სწორედ შესვენებამდე გაიტანეს თავიანთი ერთადერთი ლელო და ტაიმი 19:7 დასრულდა.

მეორე ორმოცწუთეულის დასაწყისში ტონგელებმა ჰოლა და აფაეკი დაკარგეს ათ-ათი წუთით, მერე კი ლეგერი საერთოდაც, რამაც მასპინძლებს [illegible] გამარჯვების შესაძლებლობა მისცა.

**გაგი გურულ...**



ინგლისი — რუმინეთი. ჩარლი ჰოჯსონი (ბურთით) და მისი თანაგუნდელები თითქმის მარტონი იყვნენ მინდორზე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მშვენიერი კომპანია: ასანიძე & იბერკომპანი



„იბერკომპანის“ პრეზიდენტი გოჩა ენუქიძე, მსოფლიოს ჩემპიონი გიორგი ასანიძე და „იბერმობილის“ პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი

**კარგი** მაგალითის მიმცემს კარგი მიმბაძველიც სჭირდება. ახლა წარმოვიდგინოთ, რომ საქართველოში არსებულმა ყველა ნავთობკომპანიამ თითოთითო სპორტსმენზე იზრუნოს და მას გვერდში ამოუდგეს. მაშინ ხომ ბევრად უკეთეს შედეგს მოვიმკით და თუ მაინცდამაინც ნიმუში გვჭირდება, აგერ, ბატონო, ნავთობკომპანია „იბერკომპანი-ჰოლდინგი“ და მისი ხელმძღვანელობა. კომპანია და მისი პრეზიდენტი გოჩა ენუქიძე უკვე რა ხანია, ჩვენს სახელოვან ძალოსან გიორგი ასანიძეს ხელს უმართავს.

ყველაფერი კი მაშინ დაიწყო, როცა შარშან საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციამ თავისი ტრადიციული გამოკითხვა მოაწყო და გიორგი ასანიძე 2001 წლის საუკეთესო სპორტსმენი გახდა. სწორედ მას შემდეგ თანამშრომლობენ ასანიძე და „იბერკომპანი“. მაშინ კომპანიის ხელმძღვანელობამ ვალდებულება აიღო, წლის საუკეთესო სპორტსმენისთვის ოთხი წლის განმავლობაში, ანუ 2004 წლის ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე, ყოველთვიური 300-ლარიანი სტიპენდია დაენიშნა. გარდა ამისა, ევროპისა თუ მსოფლიოს ჩემპიონატებზე წარმატების შემთხვევაში ცალკე პრემიებსაც დაპირდნენ. „იბერკომპანის“ პირველად ჯიბეზე ხელის გაკვრა ამ გაზაფხულზე მოუხდა, როდესაც ტრენჩინში გამართულ კონტინენტის პირველობიდან გიორგი ასანიძე გამარჯვებით დაგვიბრუნდა. ევროპის ჩემპიონს 1000 ამერიკული დოლარის საკრედიტო ბარათი გადაეცა, რომ აღარაფერი ვთქვათ ასანიძის ავტომობილის საწვავით მომარაგებაზე.

„იბერკომპანიში“ რომ სიტყვას პირნათლად ასრულებენ, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდით, როდესაც გუშინ კომპანიის ოფისში მასმედიის წარმომადგენლები მიგვიწვიეს. მიზეზი გიორგი ასანიძის მსოფლიოს ჩემპიონობა გახლდათ. ამჯერად მსოფლიოს ჩემპიონს ტიტულის საკადრისი საჩუქარი, ავტომობილი BMW 525 გადაეცა. სიურპრიზიც ამას ჰქვია. „იბერკომპანი-ჰოლდინგის“ გვერდში ამოუდგა მეორე ნავთობკომპანია „იბერმობილი“ და მისი პრეზიდენტი ტარიელ ხეჩიკაშვილი. ათენის ოლიმპიურ თამაშებამდე ასანიძის ავტომობილს „იბერმობილი“ უფასო სერვის-მომსახურებით უზრუნველყოფს. ესეც კარგი მაგალითის კარგი მიმბაძველი.

„მოხარული ვართ, რომ ჩვენს წამოწყებას გამოხმაურება მოჰყვა. ვიმედოვნებთ, გიორგი კიდევ არაერთხელ გაახარებს როგორც ჩვენ, ისე მთელ საქართველოს. გარწმუნებთ, ჩვენ ვალში არ დავრჩებით. ყოველ მის წარმატებას კომპანიის ადეკვატური რეაქცია მოჰყვება. ასე რომ, ჩვენ გიორგის გვერდში ვუდგავართ“ — დამსწრე საზოგადოებას განუცხადა „იბერკომპანის“ პრეზიდენტმა გოჩა ენუქიძემ.

საჩუქრის პრეზენტაციაზე ბევრი თბილი სიტყვა ითქვა როგორც კომპანიებისა და მისი ხელმძღვანელობის, ისე გიორგი ასანიძის მისამართითაც.

„გიორგი ოლიმპიურ საზეობათა ლიდერია. იგი სიდნეიში მოპოვებულ ოლიმპიურ ბრინჯაოს ათენში ოქროთი შეცვლის. „იბერკომპანისა“ და „იბერმობილს“ კი მსურს მადლობა გადავუხადო იმ შესანიშნავი ნაბიჯისთვის, რომელიც მათ სპორტისთვის გადადგეს. ვიმედოვნებ, რომ მათ ქმედებას სხვებიც მიბაძავენ“ — გოჩა ენუქიძესა და ტარიელ ხეჩიკაშვილს გარჯა დაუფასა ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ჯანო ბაგრატიონმა.

„იბერკომპანიში“ მყოფ საპატიო სტუმართა შორის იმყოფებოდნენ საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი, საქართველოს ეოკ-ის პირველი, ახლა კი საპატიო პრეზიდენტი ქალბატონი ნონა გაფრინდაშვილი, სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარე ირაკლი მეძმარიაშვილი და მისი მოადგილე, ოლიმპიური ჩემპიონი ლერი ხაბელოვი, სეოკ-ის გენერალური მდივანი ემზარ ზენაიშვილი, ხოლო საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტი ელგუჯა ბერიშვილი კი სულაც თავად წაუძღვა შეხვედრას.

სხვათა შორის, საქართველოს სპორტის სახელმწიფო დეპარტამენტის თავმჯდომარემ საქართველოში სპორტის განვითარების საქმეში შეტანილი წვლილისთვის სიგელით დააჯილდოვა „იბერკომპანის“ პრეზიდენტი გოჩა ენუქიძე.

მართლაც კარგია, რომ „იბერკომპანისა“ და „იბერმობილის“ სახით ქართულ ნიჭს დამფასებელი ჰყავს. ღმერთმა ინებოს, მათ სხვა მიმდევრებიც გამოუჩნდნენ. ეს სპორტსმენებს მეტ სტიმულს შესძენს და ვფიქრობთ, არც ეს უკანასკნელნი დარჩებიან ვალში, მით უმეტეს, რომ ამის პოტენცია არსებობს. წერილს კი ყველასთვის კარგად ნაცნობი პირველი არხის სპორტული კომენტატორის თემურ ჯაფარიძის მიერ ლონისძიებაზე წარმოთქმული სიტყვებით დავასრულებთ: „კარგია, რომ არსებობს ხალხი, რომელმაც შრომა იცის და არსებობენ ისეთებიც, რომლებიც მათ შრომას აფასებენ“.

**გიგა გურასპაშვილი**



მსოფლიოს ჩემპიონი და მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონი: გიორგი ასანიძე და ნონა გაფრინდაშვილი



## იტალია

XI ტური

სკიპერი — კინდერი 80:79, ბენეტონი — ბიელა 112:80, როზეტო — სიენა 69:58, ვარეზე — სკავოლინი 76:77, ტრიესტი — ვიოლა 93:81, კანტუ — ადეკო 78:74, იმოლა — მიულერი 72:83, ფაბრიანო — სნაიდერო 110:96, აველინო — ლივორნო 84:67

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბენეტონი | 10 | 10 | 0 | 958:759 | 20 |
| სიენა | 10 | 9 | 1 | 850:722 | 19 |
| კინდერი | 10 | 9 | 1 | 852:728 | 19 |
| კანტუ | 11 | 8 | 3 | 858:827 | 19 |
| სკიპერი | 10 | 8 | 2 | 858:765 | 18 |
| ტრიესტი | 10 | 7 | 3 | 819:793 | 17 |
| ფაბრიანო | 11 | 6 | 5 | 913:926 | 17 |
| სკავოლინი | 10 | 6 | 4 | 820:801 | 16 |
| სნაიდერო | 11 | 4 | 7 | 935:931 | 15 |
| მიულერი | 11 | 4 | 7 | 876:890 | 15 |
| იმოლა | 11 | 4 | 7 | 844:896 | 15 |
| ბიელა | 11 | 4 | 7 | 893:981 | 15 |
| აველინო | 10 | 4 | 6 | 809:845 | 14 |
| როზეტო | 10 | 4 | 6 | 832:889 | 14 |
| ვარეზე | 11 | 3 | 8 | 956:976 | 14 |
| ადეკო | 11 | 3 | 8 | 865:912 | 14 |
| რომა | 10 | 3 | 7 | 757:776 | 13 |
| ლივორნო | 10 | 3 | 7 | 779:846 | 13 |
| ვიოლა | 10 | 0 | 10 | 723:934 | 10 |

## ესპანეთი

IX ტური

ფორუმი — ტაუ 77:86, ფუენლაბრადა — კასერესი 107:91, გრანადა — რეალი 86:98, ესტუდიანტესი — ხიხონი 84:68, ხირონა — ლეიდა 77:81, პამესა — კანარიასი 89:87, კახა სან ფერნანდო — ხუვენტუდი 80:76, უნიკახა — ლეჩე 76:63, ბარსელონა — კანტაბრია 101:71

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| უნიკახა | 9 | 9 | 0 | 733:578 | 18 |
| რეალი | 9 | 8 | 1 | 749:670 | 17 |
| ბარსელონა | 9 | 7 | 2 | 800:738 | 16 |
| ფუენლაბრადა | 9 | 6 | 3 | 712:706 | 15 |
| ფორუმი | 9 | 5 | 4 | 691:669 | 14 |
| პამესა | 9 | 5 | 4 | 717:708 | 14 |
| ლეიდა | 9 | 5 | 4 | 731:751 | 14 |
| ლეჩე | 9 | 5 | 4 | 685:719 | 14 |
| ტაუ | 8 | 5 | 3 | 618:544 | 13 |
| ხუვენტუდი | 9 | 4 | 5 | 765:761 | 13 |
| სან ფერნანდო | 9 | 4 | 5 | 688:705 | 13 |
| ესტუდიანტესი | 9 | 3 | 6 | 678:665 | 12 |
| კანარიასი | 9 | 3 | 6 | 659:677 | 12 |
| გრანადა | 9 | 3 | 6 | 756:788 | 12 |
| ხირონა | 9 | 3 | 6 | 685:737 | 12 |
| კასერესი | 9 | 3 | 6 | 722:822 | 12 |
| ხიხონი | 9 | 1 | 8 | 708:760 | 10 |
| კანტაბრია | 8 | 1 | 7 | 609:705 | 9 |

## საფრანგეთი

VII ტური

ლე მანი — ბურგი 92:79, რასინგი — ვილერბანი 76:72, შოლე — მონპელიე 77:64, ლიმოჟი — გრაველინი 98:86, შალონი — დიჟონი 72:61, ტულონი — ნანსი 90:101, პო ორტეზი — სტრასბური 94:89, ლე ავრი — ანტიბი 66:76

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პო ორტეზი | 7 | 7 | 0 | 572:501 | 14 |
| შალონი | 7 | 6 | 1 | 512:472 | 13 |
| ნანსი | 7 | 5 | 2 | 627:581 | 12 |
| შოლე | 7 | 5 | 2 | 564:539 | 12 |
| გრაველინი | 7 | 5 | 2 | 608:589 | 12 |
| ვილერბანი | 7 | 4 | 3 | 588:528 | 11 |
| ლე მანი | 7 | 4 | 3 | 623:590 | 11 |
| სტრასბური | 7 | 4 | 3 | 612:586 | 11 |
| რასინგი | 7 | 4 | 3 | 553:540 | 11 |
| დიჟონი | 7 | 3 | 4 | 546:555 | 10 |
| ლიმოჟი | 7 | 3 | 4 | 550:575 | 10 |
| ანტიბი | 7 | 2 | 5 | 519:556 | 9 |
| მონპელიე | 7 | 2 | 5 | 515:561 | 9 |
| ლე ავრი | 7 | 1 | 6 | 507:564 | 8 |
| ტულონი | 7 | 1 | 6 | 553:626 | 8 |
| ბურგი | 7 | 0 | 7 | 512:598 | 7 |

## საბერძნეთი

VIII ტური

პაოკ — დაფნი 97:72, ირაკლისი — ირაკლიონი 86:73, დრამა — პანიონიოსი 87:84, იონიკოსი — ოლიმპიაკოსი 63:83, პანათინაიკოსი — არისი 97:78, მარუსი — პერისტერი 54:76, ნიარ ისტი — აეკ 77:84

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| აეკ | 8 | 8 | 0 | 717:586 | 16 |
| ოლიმპიაკოსი | 8 | 7 | 1 | 702:568 | 15 |
| ირაკლისი | 8 | 6 | 2 | 611:558 | 14 |
| პანათინაიკოსი | 8 | 6 | 2 | 668:621 | 14 |
| პანიონიოსი | 8 | 5 | 3 | 654:606 | 13 |
| ირაკლიონი | 8 | 4 | 4 | 657:658 | 12 |
| პაოკ | 8 | 4 | 4 | 657:658 | 12 |
| მარუსი | 8 | 4 | 4 | 650:636 | 12 |
| პერისტერი | 8 | 3 | 5 | 598:598 | 11 |
| დრამა | 8 | 3 | 5 | 629:714 | 11 |
| ნიარ ისტი | 8 | 2 | 6 | 589:643 | 10 |
| დაფნი | 8 | 2 | 6 | 606:697 | 10 |
| არისი | 8 | 1 | 7 | 601:690 | 9 |
| იონიკოსი | 8 | 1 | 7 | 570:668 | 9 |



# ჩემპიონი კინაღამ შერცხვა

**ერთადერთი** გამონაკლისი, რომელმაც ჩემპიონთა ლიგის საკმაოდ უინტერესო მეორე ტური გამოაცოცხლა, „პორტლენდ სან ანტონიოსა“ და „კოლდინგის“ მატჩი გახლავთ. ლიგის ამჟამინდელი ჩემპიონი თავის მოედანზე, პამპლონაში თამაშობდა და საერთო აზრით, გამარჯვებაც არ უნდა გასჭირვებოდა. მაგრამ, ყველასთვის მოულოდნელად, დანიის საუკეთესო კლუბმა ფავორიტს ისეთი წინააღმდეგობა გაუწია, რომ ცოტაც და კუდით ქვას ასროლინებდა: „კოლდინგი“ მრისხანე მეტოქეს არ შეუშინდა, ტაიმიც მოუგო (16:14) და თითქმის ბოლომდეც ინარჩუნებდა უპირატესობას, თუმცა მასპინძლებმა მაინც მოახერხეს ქულის გადარჩენა.

დანარჩენ შეხვედრებში ბრძოლა თითქმის არ ყოფილა. ერთადერთი გუნდი, ვინც სტუმრად გამარჯვება შეძლო, ლიგის მეორე ესპანური წარმომადგენელი, ლეონის „ადემარია“ — მოსკოველმა არმიელებმა მეტოქის ორგანიზებულ თამაშს ვერაფერი დაუპირისპირეს და შინ ზედიზედ მეორე მარცხით შემდგომ ეტაპზე გასვლის ყოველგვარი შანსი დაკარგეს.

### ვაჟთა ჩემპიონთა ლიგა

ჯგუფური ეტაპი. მეორე ტური

A ჯგუფი: პორტლენდ სან ანტონიო (ესპანეთი) — კოლდინგი (დანია) 28:28; ლოვჩენი (იუგოსლავია) — სპორტინგი (პორტუგალია) 26:22

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პორტლენდი | 1 | 1 | 0 | 64:54 | 3 |
| კოლდინგი | 1 | 1 | 0 | 48:46 | 3 |
| ლოვჩენი | 1 | 0 | 1 | 44:42 | 2 |
| სპორტინგი | 0 | 0 | 2 | 48:62 | 0 |

B ჯგუფი: ჯამბო (ხორვატია) — რედბერგსლიდსი (შვედეთი) 26:21; სანდეფიორდი (ნორვეგია) — ჰაპოელი (ისრაელი) 32:21

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ჯამბო | 2 | 0 | 0 | 62:49 | 4 |
| სანდეფიორდი | 1 | 0 | 1 | 60:50 | 2 |
| რედბერგსლიდსი | 1 | 0 | 1 | 50:54 | 2 |
| ჰაპოელი | 0 | 0 | 2 | 49:68 | 0 |

C ჯგუფი: პივოვარნა (სლოვენია) — კარვინა (ჩეხეთი) 31:21; ცსკა (რუსეთი) — ადემარი (ესპანეთი) 23:28

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| პივოვარნა | 2 | 0 | 0 | 58:46 | 4 |
| ადემარი | 1 | 0 | 1 | 55:52 | 2 |
| კარვინა | 1 | 0 | 1 | 50:58 | 2 |
| ცსკა | 0 | 0 | 2 | 48:55 | 0 |

D ჯგუფი: მაგდებურგი (გერმანია) — ვარდარი (მაკედონია) 33:19; ფოტექსი (უნგრეთი) — შამბერი (საფრანგეთი) 29:13

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ფოტექსი | 2 | 0 | 0 | 56:37 | 4 |
| მაგდებურგი | 1 | 1 | 0 | 59:45 | 3 |
| შამბერი | 0 | 1 | 1 | 39:55 | 1 |
| ვარდარი | 0 | 0 | 2 | 43:60 | 0 |

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი

იზოლირებული ბინა სარაჯიშვილის მეტროსთან

ტელეფონით ტელ: 60-21-23

საქართველოს ჩემპიონატი

# ტომარაძის მარცხიანი დაბრუნება

## პაველ გოოგე გამარჯვებულ შეგირდებს დიდ ორიანს უწერს

20 ნოემბერი. ბათუმი

**ბასკო 70:66 აზოტი**

20:20, 17:15, 14:17, 19:14

**ბასკო:** თორთლაძე (10), ბეჟანიშვილი (8), ტუჯანი (2), ორმოცაძე (11), ბერძენიშვილი (17); მარკოიშვილი (11), საყვარელიძე (5), არხიპოვი (2), სლიშალოვი (2), იმნაძე (2)

**აზოტი:** ელენტი (21), გოგობერიშვილი (15), ბაბიაშვილი (13), კოკოლიშვილი (9), მაჭარაძე (5); გაბისონია, ბერუაშვილი (3), ბოისა

**მსაჯები:** დავით ბერეკაშვილი, ზაზა მაჩალაძე

**კომისარი:** მურმან ქურიძე

**გოჩა ჯანაშია ბათუმიდან**

საინტერესო საკალათბურთო სანახაობას მონატრებული ბათუმი როგორც იქნა, ძლიერი გუნდის სტუმრობას ელირსა. „ბასკო" — „აზოტი" ყოველთვის განსაკუთრებული მოვლენა იყო და ინტრიგაც არასდროს მოჰკლებია, გუშინდელ პაექრობას მით უმეტეს. პირველი წრის ბოლოს ეს გუნდები თანაბარი ქულებით ლიდერობდნენ და გამარჯვებულიც ერთპიროვნულად ჩაუდგებოდა ცხრილს სათავეში. თანაც „აზოტი" ზურაბ ტომარაძის, „ბასკოს" ყოფილი მთავარი მწვრთნელის თავკაცობით ეწვია ზღვისპირეთს, რაც ერთიორად ზრდიდა მატჩისადმი ინტერესს.

რუსთაველთა თავკაცს „ბასკოს" თითოეული კალათბურთელის ავანჩავანი კარგად მოეხსენება. თავის მხრივ, არა მგონია, პაველ გოოგეს არ სცოდნოდა კოლეგის შესაძლებლობები. მისი ახლანდელი თანაშემწე ნუგზარ კანდელაკი ხომ ტომარაძის ასისტენტიც იყო და ამუკანასკნელის ტაქტიკურ საიდუმლოებებიც უცხო არ იქნებოდა მისთვის.

ტრიბუნაზე ანშლაგით და მოედანზე უშელავათო ბრძოლით აღინიშნა ეს მატჩი. დასაწყისი მასპინძლებისა გახლდათ და ბერძენიშვილის სროლით „ბასკო" დაწინაურდა. რუსთაველებმა პასუხი არ დააყოვნეს და ჯერ მაჭარაძემ იყოჩაღა ფარზე, ხოლო ბაბიაშვილის ორი საჯარიმოს გაცუდების შემდეგ კოკოლიშვილმა იბრძოლა, მეტოქეს ჯარიმაც აკიდებინა და ორივე სროლა ზუსტი გამოუვიდა.

„ბასკო" ასეთ პასუხს არ ელოდა და შეცდომებს უხშირა. ერთ-ერთი ასეთი შეცდომით ელენტმა ისარგებლა, პასი ჩაჭრა და სწრაფი გარღვევაც განახორციელა. გოოგემ სიტუაცია წუთშესვენებით განმუხტა, მაგრამ დროებით. წუთის ინტერვალში მისმა გუნდმა მხოლოდ ორმოცაძის თითო-თითო ზუსტი საჯარიმოს ხარჯზე გაზრდა ქულათა მარაგი მაშინ, როცა სტუმართაგან ბაბიაშვილმა და ელენტმა სხვაობა 6 ქულამდე აიყვანეს — 4:10.

ამასობაში შეხვედრა ბერძენიშვილი — ელენტის ერთგვარ დუელად იქცა. პირველი ფარზე აშკარად ჯაბნიდა მეურვეებს, მეორე კი მართლაც შეუდარებელი იყო. აჩიკომ ზედიზედ ოთხჯერ ისეთი შთამბეჭდავი სწრაფი შეტევა დააგვირგვინა, ნახვა ერთ რამედ ღირდა.

გოოგემ რომ შეატყო, თორთლაძე რუსთაველთა უკანახაზელს ვერ იჭერდა, მოედანზე ახალგაზრდა საყვარელიძეს უხმო. დათოს თავიდან კი გაუჭირდა ელენტის გაუვნებლება, მაგრამ მეოთხედის ბოლოსკენ მაინც იძალა და საიმედოდ ჩაკეტა მეურვე. „ბასკო" ბოლო ორ წუთში გამოცოცხლდა. ჯერ მარკოიშვილმა ისროლა შედეგიანად, რასაც ბეჟანიშვილის ზედიზედ ორი სამიანი მოჰყვა და ანგარიშიც გათანაბრდა. სტუმრებმა ელემენტარულ შეცდომებს მოუხშირეს, თანაც დაღლა დაეტყოთ და მარკოიშვილმა 38 წამით ადრე ზღვისპირელები წინ გაიყვანა, თუმც დროებით. გოგობერიშვილმა ბოლო წამებში შეძლო რთული ბურთის ჩაგდება და მეოთხედი 20:20 დასრულა.

მეორე მეოთხედში გუნდებმა დაცვაში თამაში გააძლიერეს, რაც შედეგზეც აისახა. ოთხწუთიან ინტერვალში ბაბიაშვილმა და ელენტმა იხეირეს მხოლოდ, ხოლო მასპინძელთაგან არხიპოვმა და მარკოიშვილმა. ამასობაში აჩიკო ელენტმა მესამე პერსონალური მიიღო და ტომარაძემ უმალ გაბისონიათი შეცვალა.

მეტოქეები კვლავ ფეხდაფეხ მისდევდნენ ერთმანეთს. ლიდერობა სტუმართაგან კოკოლიშვილმა იტვირთა. მან ორი ზუსტი სროლაც მოახერხა და გოგობერიშვილსაც კარგად აუბა მხარი, რომელმაც თავის მხრივ ბურთიც ჩააგდო და ერთი საჯარიმოც ზედ მიაყოლა.

„აზოტის" დაწინაურებას არ შეეგუა თორთლაძე. მან ჯერ გოგობერიშვილს სამიანით უპასუხა, ხოლო ბოლო წამებში ძალიან შორი მანძილიდან გარისკა სროლა და გაუმართლა კიდეც. „ბასკოც" ამ სამიანით დიდ შესვენებაზე ორი ქულის უპირატესობით წავიდა — 37:35.

შესვენების შემდეგ ელენტი გამოჩნდა სტუმართა რიგებში და შედეგიანადაც გააგრძელა დაწყებული საქმე. მას არც გოგობერიშვილი ჩამორჩა და მათი დიდი წვლილი იყო, ერთხანს 5 ქულით დაწინაურებულ „ბასკოსთან" სხვაობა ქულამდე რომ შემცირდა. თორთლაძემ მორიგი სამქულიანით კი გაზარდა ანგარიში, მაგრამ მერე ამას რუსთაველთა ჩინებული თამაში მოჰყვა. ელენტმა კიდევ ერთი სწრაფი გარღვევა გამოიყენა და მასპინძლებიც აირივნენ. გოგობერიშვილმა ორ ზუსტ საჯარიმო სროლას სწრაფი შეტევა მოაყოლა, რომლის შემდეგ წინ უკვე „აზოტი" გავიდა. მეოთხედის დამთავრებას 30 წამი უკლდა, ბათუმელთა მორიგი შეცდომით ელენტმა რომ ისარგებლა და ბერუაშვილს პასი გადასცა. მიხეილმა ბურთი ვერ ჩააგდო, მაგრამ ერთ საჯარიმოს მაინც გამოჰკრა ხელი.

„ბასკომ" ბოლო შეტევა წამოიწყო და ორმაგად შედეგიანიც. ორმოცაძესთან ბრძოლაში ელენტმა მეოთხე პერსონალური, ხოლო „ბასკომ" ორი ქულა მიიღო და ბოლო მეოთხედის წინ ჩამორჩენა ქულამდე დაიყვანა — 51:52.

ბოლო ათწუთეულში დაძაბულობამ პიკს მიაღწია და მეტოქეებმაც ელემენტარულ შეცდომებს უხშირეს. პირველად ბაბიაშვილს უმტყუნა ნერვებმა, რაც ორი უშედეგო შეტევით აღინიშნა მაშინ, როცა ზღვისპირელებმა საყვარელიძისა და ბერძენიშვილის მეოხებით წინ გაჭრა მოახერხეს. მათ არც ორმოცაძე ჩამორჩა და მისი დიდი ღვაწლი იყო, მატჩის დასრულებამდე 4 წუთით ადრე „ბასკო" 6 ქულით რომ დაწინაურდა.

უაღრესად დრამატული ბოლო ორი წუთი გამოდგა. კვლავ ელენტმა შეგვახსენა თავი, ორი გაცუდებული საჯარიმო სროლის შემდეგ ჩინებულად იბრძოლა და ბაბიაშვილს თითქმის დაკარგული ბურთი ჩააგდებინა.

სხვაობა ორად ორი ქულა იყო — 64:62. აქ კი ისევ საყვარელიძემ ივაჟკაცა, სამქულიანი ზუსტად შეასრულა და ხუთქულიანი სხვაობა აღადგინა. ბაბიაშვილმა ფარზე ბრძოლა მოიგო — 67:64. მასპინძლებმა ტუჯანის ორიდან ერთი ზუსტი საჯარიმო სროლით იხეირეს, ხოლო სტუმრებმა ისევ ბაბიაშვილის სიზუსტით. 38 წამი რჩებოდა, ტაბლოზე 68:66 იყო და ზვიადმა საჯარიმოები ააცილა, რასაც უზუსტობათა მთელი სერია მოჰყვა. ჯერ გოგობერიშვილი შეცდა უწყინარ სიტუაციაში, მერე იქვე ბეჟანიშვილმა გააკეთა უაზრო გადაცემა. 10 წამი რჩებოდა, „ბასკომ" სადავო ბურთი რომ მოიგო და ამ საოცრად დრამატულ და დაძაბულ სანახაობას ორმოცაძემ წერტილიც დაუსვა — 70:66.

***ზურაბ ტომარაძე, „აზოტის" მთავარი მწვრთნელი:*** „საინტერესო თამაში გამოდგა, ოღონდ ძალზე ბევრი იყო ტექნიკური წუნი და ელემენტარული შეცდომები. ეს უფრო მოუმზადებლობის ბრალია, რადგან ჯერ კიდევ სეზონის დასაწყისია და შეთამაშება გვაკლია. ჩემი გუნდით მაინც კმაყოფილი დავრჩი, განსაკუთრებით დაცვაში თამაშით".

***პაველ გოოგე, „ბასკოს" მთავარი მწვრთნელი:*** „თამაში ჩვენი კარნახით მიდიოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტებში წამყვანი მოთამაშეების ბავშვურმა შეცდომებმა გააძნელა მოგება. ჩემს შეგირდებს დიდ ორიანს ვუწერ როგორც დაცვაში, ისევე შეტევაში. განსაკუთრებით უკმაყოფილო ვარ ვეტერანებით და ლეგიონერებით. ჩვენ უფრო გრძელი სკამი აღმოგვაჩნდა და საბოლოო შედეგზე ამანაც იქონია დიდი გავლენა".

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ბასკო | 8 | 7 | 1 | 713:545 | 15 |
| აზოტი | 8 | 6 | 2 | 605:545 | 14 |
| სტუ-ჯეოსელი | 8 | 5 | 3 | 692:582 | 13 |
| დინამო | 8 | 5 | 3 | 633:577 | 13 |
| თსუ | 8 | 5 | 3 | 640:601 | 13 |
| მაკაბი | 8 | 5 | 3 | 708:669 | 13 |
| შევარდენი | 8 | 2 | 6 | 516:596 | 10 |
| სსუ | 8 | 1 | 7 | 476:663 | 9 |
| ქუთაისი | 8 | 0 | 8 | 536:741 | 8 |



ბასკოელი ამროსი ორმოცაძე (№ 16) და შოთა მაჭარაძე ფარზე ბრძოლისას

## კვირის მოთამაშეები

**აღმოსავლეთი**
**ალენ აივერსონი**
**• ფილადელფია •**




**დასავლეთი**
**კევინ გარნეტი**
**• მინესოტა •**




**ორიოდ** დღეა, რაც წინა სეზონის პირველმა მოთამაშემ ალენ აივერსონმა ნოაპერაციევ ხელში ბურთი აიღო და ნბა-ს მოედნებს დაუბრუნდა. წესით გახურებაც ვერ უნდა მოესწრო, მაგრამ მან უკვე პირველი ტიტულიც მოიპოვა. ეს ტიტული ნბა-ში არსებულთაგან ყველაზე მცირე და უმნიშვნელოა, არც წლის და არც თვის, არამედ კვირის საუკეთესო მოთამაშე გახდა (ისიც მხოლოდ ნბა-ს ნახევარში), მაგრამ აქ მთავარი ისაა, რომ აივერსონს, რომელსაც ყველა ფიზიოლოგიურ-ანატომიური კანონების გათვალისწინებით თამაში კი არა, სირბილი უნდა უჭირდეს, კვლავაც შეუძლია ბურთაობა და თან სხვებზე არანაკლებ ყოჩაღად.

აივერსონის სიჩაუქის მაჩვენებელია მისი გუნდის, „ფილადელფია სიქსერზის" გამოსვლაც. რაც უძვირფასესი მოთამაშე დაუბრუნდათ, ვიცე-ჩემპიონებმა ზედიზედ ხუთ მეტოქეს აჯობეს (მანამდე ზედიზედ ამდენივე წააგეს) და ამ ხუთი გამარჯვებიდან ოთხი გასულ კვირაში ჩაიწერეს. აივერსონის შედეგიანობამ ოთხ თამაშში საშუალოდ 26,3 ქულა, 4,5 მოხსნა, 4,3 პასი და 3,3 ჩაჭრა შეადგინა. ფილადელფიამაც იოლად აჯობა კონკურენტებს — ტრეისი მაკგრეიდის (ორლანდო), მაიკლ ჯორდანს (ვაშინგტონი), ედი ჯონსს (მაიამი), ანდრე მილერს, ლემონდ მიურეის (ორივე კლივლენდი) და ბრედ მილერს (ჩიკაგო).

აივერსონს კვირის მოთამაშის ტიტულში მოზიარეც ჰყავდა, რამეთუ ეს სეზონია, ამ წოდებას ერთდროულად დასავლელი და აღმოსავლელი იღებს. დასავლეთში საუკეთესოდ მიიჩნიეს „მინესოტას" 211-სანტიმეტრიანი თავდამსხმელ-ფრთა კევინ გარნეტი, რომელმაც „მგლებს" გასული კვირის სამი თამაშიდან ორი მოაგებინა. თავად კი მატჩში საშუალოდ 24,3 ქულა, 13,3 მოხსნა და 6 პასი მოიხვეჭა. გარნეტს აივერსონზე ნაკლები მღევარი ჰყავდა. გასული კვირა რიგიანად ჩაატარეს ლეიკერსელმა შაკილ ონილმა, სანანტონიოელმა სტივ სმიტმა და კლიპერსელმა ელტონ ბრენდმა.

NBA. რეგულარული ჩემპიონატი

# ჩუმად, ოქრო აელვარდა

19 ნოემბერი

**დენვერი 99:96 ნიუ ჯერსი**
(ძირითადი დრო 90:90)

**დენვერი:** ვან ექსელი (30), ლაფრენცი (25), აბდულ-ვაჰადი (12)

**ნიუ ჯერსი:** მარტინი (28), ჯეფერსონი (13), ჰარისი (13)

**საკრამენტო 113:77 ჰიუსტონი**

**საკრამენტო:** სტოიაკოვიჩი (25), კრისტი (23), პოლარდი (12 ქულა, 14 მოხსნა)

**ჰიუსტონი:** ფრენსისი (18), მობლი (12), ტომასი (12)

„დენვერ ნაგითსმა" ხალხი გაკვირვებას გადააჩვია, ხოლო სპეციალისტები — მის უცილობელ ჩავარდნაზე ლაპარაკს. ამისთვის კოლორადოელებმა უბრალოდ თამაშების მოგება იწყეს და სეზონის წინ მათზე გამოთქმული პროგნოზები სიტყვების რახარუხად აქციეს. ათი თამაშიდან ნახევრის მოგება ამ გუნდისთვის სწორედაც რომ მოულოდნელი შედეგია. „ოქროს ზოლები" მადლობას იტყოდნენ, თუ ორს მოიგებდნენ, მაგრამ ეს ადრე, ახლა კი მათთან შეხვედრას ყველა უფრთხის. „აზრზე არა ვარ, რა ხდება, ჩვენ ვთამაშობთ სასწაულებრივად კარგად თუ უბრალოდ ბედი გვწყალობს, ვერაფერს აგიხსნით. ვიგებთ და ვიგებთ, სხვა არც არაფერი უნდა გინდოდეს კაცს" — ამბობს გუნდის ლიდერი, 186-სანტიმეტრიანი გამთამაშებელი ნიკ ვან ექსელი, „ნაგითსის" გამარჯვებათა სულისჩამდგმელი.

„დენვერის" წარმატება საკვირველია, რადგან მას არა ჰყავს წინა სეზონში მატჩში საშუალოდ ოცი ქულის და ათი მოხსნის მომხვეჭი თავდამსხმელი ანტონიო მაკდაიესი, უმისოდ კი რაიმე წინსვლაზე ლაპარაკი ადრე უაზრობა იყო, ახლა კი...

19 ნოემბერს „დენვერს" „ნიუ ჯერსი" ემსხვერპლა და გამარჯვების მთავარი შემოქმედი, რაღა თქმა უნდა, ვან ექსელია. მასპინძელთა გამთამაშებელმა „ბადეთა" კალათში 30 ქულა ჩააგდო და მართალია, თავისიანებს გამარჯვებისკენ მიმავალი გზა გაუგრძელა, როცა მეოთხე მეოთხედის მიწურულს სამქულიანი ააცილა და შეხვედრა ოვერტაიმში გადაიყვანა, მაგრამ ამის გულისთვის მას თავში არავინ სცემს. „დენვერის" ლიდერმა დამატებით დროში გამოასწორა შეცდომა, როცა ორ საჯარიმოს სამქულიანი მოუნაცვლა და სტუმრები შინ ნაწყენნი გაუშვა.

ორშაბათის მეორე შეხვედრაში გაცილებით დიდ ბრძოლას ელოდნენ, მაგრამ მეტოქეებმა გააწბილეს საკრამენტოელი ქომაგობა. „საკრამენტო კინგზს" კრის ვებერი აკლია, თუმც „ჰიუსტონი" ვერც ამან იხსნა განადგურებისგან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ოლიმპიაში ცეცხლი დაინთო

როგორც წესი და რიგია, ბერძნულ ოლიმპიაში ოლიმპიური ჩირაღდანი აავიზგიზეს და ჰოლტ ლეიკ სიტისკენ გააქანეს, სადაც ზამთრის ოლიმპიური თამაშები გაიმართება. ჩირაღდნის ანთება კი თეატრალური წარმოდგენა გახლავთ — მსახიობი ტალია პროკოპიუ ჰერას ტაძრის უმაღლესი ქურუმის როლში გარდასახულა, ცეცხლი აუნთია და კიდევ ორ ერთობ სექსუალურ ქურუმთან ერთად იგი და ზეთისხილის რტო ბერძენი მოთხილამურისთვის, ლეფტერის ფატალისისთვის გადაუცია. ფატალისმა ჩირაღდანი გამოართვა და დააწვა...

ოღონდ ერთია: მოღრუბლულობის გამო ცეცხლი მზის სხივით ვერ აანთეს.



REUTERS ოლიმპიიდან



REUTERS ოლიმპიიდან



# მოდი, დავნიძლავდეთ!



REUTERS ბობლინგენიდან

გერმანიაში, შტუტგარტთან ახლოს, ბობლინგენში რომ ტელესტუდიაა, იქ დოლი დგას. დოლთან რომ კაცი მიმჯდარა, ფორმულა 1-ის გუნდ „ჯორდანის" მენეჯერი თუ პატრონი ედი ჯორდანია. და თუ თქვენ იკითხავთ, ჰერ ჯორდანი რამ გადარიაო, გიპასუხებთ, რომ ის გერმანიის უპოპულარულეს ტელეშოუში მონაწილეობს. შოუს ჰქვია „დავნიძლავდეთ, რომ..."




REUTERS მილანიდან

# ვივა კუბა!

ტაივანში მოყვარულ ბეისბოლისტთა მსოფლიოს ჩემპიონატი გაიმართა. საქმეში ჩახედული კაცი არ იკითხავს, ვინ გაიმარჯვაო. ცხადია კუბამ, თან უკვე ზედიზედ მეშვიდედ. გადამწყვეტ შეხვედრაში კ... ლებმა აშშ-ის ნაკრებს სძლიეს 5:3. ასე რომ, ვივა კუბა!



REUTERS ტაივანიდან

# სენსაციური ამბავი

იტალიაში ნამყოფი ხალხი დაგვერწმუნება, რომ თუ სადმე სამი იტალიელი დგას, საუბარი ფეხბურთს ეხება. ამიტომაც, დიდი მღელვარებით გვინდა გამცნოთ, რომ თქვენს წინაშე უნიკალური ფოტოა. მასზე ასახულია სამი იტალიელი, რომლებიც ფეხბურთზე არ საუბრობენ, მათი სალაპარაკო თემაველოსპორტია. ისინი გახლავან „ჯირო დიტალიას" გენერალური მენეჯერი კარმინე კასტელანო და დიდი ვარსკვლავები, მარკო პანტანი (შუაში) და მარიო ჩიპოლინი. ხოლო ეს ხალხი ერთად იმიტომ შეყრილა, რომ დადგინდა „ჯირო 2002"-ის მარშრუტი და ვადები. ოთხმოცდამეხუთე ჯირო 11 მაისს ჰოლანდიის ქალაქ გრონინგენში დაიწყება და 20 ეტაპის შემდეგ, 2 ივნისს მილანში დასრულდება. ტრასის სიგრძე 3 334 კილომეტრი გამოდის.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო კოტორეიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე
ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე, მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge